საქართველოს ინსტიტუციონალური განვითარების ცენტრი

პროგრამული ანგარიში

## შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთა საარჩევნო საჭიროებების შეფასება საქართველოს მასშტაბით

2014 წელი



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

საქართველოს ინსტიტუციონალური განვითარების ცენტრი

შინაარსი

კვლევის წინაპირობა....4

კვლევის მიზანი ....7

ამოცანები....7

განხორციელების გზები ....7

მეთოდოლოგია ....8

**პროექტის სამიზნე ჯგუფი, ვინც მონაწილეობდა პროექტში**....8

შერჩევა და კვლევის არეალი....8

ფოკუს-ჯგუფები....8

**პროექტის ფარგლებში განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებები**....11

რაოდენობრივი კვლევა ....11

რაოდენობრივ მონაცემთა შეგროვების პროცესი ....13

მონაცემთა დამუშავების პროცესი....14

**პროექტით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულების ანალიზი** ....15

შედეგები ....15

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საარჩევნო საჭიროებების შეფასება, რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შედეგები. ....15

ჩართულობა არჩევნებში ....15

პოლიტიკურ პროცესში ჩართულობა ....38

უფლებები....44

საზოგადოებრივი ღირებულებები ....55

შშმპ-თა არჩევნებში ჩართულობისკენ მიმართული ღონისძიებების შეფასება....57

ეკონომიკა....58

საინფორმაციო ველი ....60

დემოგრაფია....64

ორგანიზაციების აღწერა, რომლებიც მუშაობენ შშმ-თა საკითხებზე....67

ერთობლივი პროექტები არასამთავრობო ორგანიზაციებთან: ....69

ადვოკატირების გამოცდილება....71



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

ადამიანური რესურსები......72
გამოცხადებული კონკურსების თემატიკა......75
გრანტის ვადები, მოცულობა და საქმიანობის მიმართულებები......77
დაფინანსებული პროექტების არეალი......79
პროექტების განხორცილებისას გამოყენებული საქმიანობის ფორმები: ......79
დაფინანსებული პროექტების გავლენა......82
საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციონალური განვითარება......84
ორგანიზაციების დახასიათება ინსტიტუციური განვითარების დონეების მიხედვით......84
**პროექტის ეფექტი......88**
საჭიროებები და რეკომენდაციები......88
**სიძნელეები......93**
**პროექტის განხორციელებისას მიღებული დახმარებები......93**
დანართები......95


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

## კვლევის წინაპირობა

გაერთიანებული ერების შშმ პირთა უფლებების დაცვის შესახებ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები „აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირის თანაბარ უფლებას, სხვებთან თანასწორი არჩევანით იცხოვრონ საზოგადოებაში და იღებენ ეფექტურ და შესაბამის ზომებს, რათა ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ამ უფლების სრულ რეალიზებასა და მათ სრულყოფილ ჩართვას ადგილობრივ საზოგადოებაში." **(მუხლი 19)**[1]

„მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკურ უფლებებს, ამ უფლებებით სარგებლობის თანაბარ შესაძლებლობებს და ვალდებულებას იღებენ **(მუხლი 29)**[2]

(ა) უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანაბარი, ეფექტური და სრულყოფილი მონაწილეობა, უშუალოდ ან თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების საშუალებით, რაც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას ხმა მისცენ და კენჭი იყარონ (არჩეული იქნან). ამისათვის სხვა ზომებთან ერთად:

(I) უზრუნველყოფენ საარჩევნო პროცედურების, საშუალებებისა და მასალების მისაწვდომ, მარტივად გასაგებ და გამოსაყენებელ ფორმატს;

(II) იცავენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ არჩევნებისა და სახალხო რეფერენდუმების ფარულ კენჭისყრაში დაფარული, დაშინებისაგან თავისუფალი გზით მონაწილეობის, ასევე არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის დაყენების, სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე თანამდებობის დაკავებისა და საჯარო ფუნქციების შესრულების უფლებას, საჭიროების შემთხვევაში დამხმარე და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობით;

(III) უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, როგორც ამომრჩეველთა თავისუფალი ნების გამოხატვას და ამასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში მათი თხოვნის საფუძველზე, მათ მიერ არჩეული პირის დახმარებას კენჭისყრის პროცედურაში..

(ბ) აქტიურად უჭერენ მხარს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც უზრუნველყოფილი იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახელმწიფო საქმეთა მართვაში სრული, ეფექტური, თაბანარი და ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან თავისუფალი მონაწილეობა; ხელს უწყობენ მათ სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობას, მათ შორის:

---

[1] გაერთიანებული ერების კონვენცია შშმ პირთა უფლებების დაცვის შესახებ http://disability.ge/index.php?option=com_content&task=view&id=8685&Itemid=58

[2] გაერთიანებული ერების კონვენცია შშმ პირთა უფლებების დაცვის შესახებ http://disability.ge/index.php?option=com_content&task=view&id=8685&Itemid=58



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

(I) მონაწილეობას ქვეყნის სახელმწიფო და პოლიტიკურ ცხოვრებასთან დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების საქმიანობაში, პოლიტიკური პარტიების საქმიანობასა და ხელმძღვანელობაში.

(II) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების ჩამოყალიბებასა და მათში გაწევრიანებას, რათა წარმოადგინონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები საერთაშორისო, ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე.“

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციას" საქართველომ ხელი მოაწერა 2009 წელს და მას შემდეგ მხოლოდ 2013 წლის 26 დეკემბერს, პარლამენტმა 91 ხმით, ერთხმად მოახდინა, მისი რატიფიკაცია თანდართული დეკლარაციის გათვალისწინებით.

აღნიშნული კონვენციის მიხედვით ყველა სახელმწიფო ადმინისტრაციოული ორგანო, ვალდებულია დაიცვას კონვენციის შესაბამისი პუნქტი. შესაბამისად ცესკო ვალდებულია კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკურ უფლებების განხორციელებას.

ცესკოს მიერ შემუშავებულ სტრატეგიულ გეგმებში სპეციალური საკითხები ეთმობა შშმპ-თა საარჩევნო გარემოს ხელშწყობას და მათ ინფორმირებულობის გაზრდას. გარდა გეგემებისა, ცესკოს მიერ ხორციელდება რიგი ღონისძიებები, რომელიც ხელს უწყოს ამ მიმართულების გაძლიერებას. მაგ: 2013 წლის მანძილზე საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ იდენტიფიცირებული იქნა უბნები, სადაც ხმას აძლევდნენ შშმ პირები, მოხდა მათი კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება უბნებზე მათი საარჩევნო ხმის უფლების უზრუნველსაყოფად:

1. პანდუსების მოწყობა
2. ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ბიულეტენებით საარჩევნო უბნების უზრუნველყოფა
3. სპეციალური კაბინების დადგმა საარჩევნო უბნებზე
4. მობილური ჯგუფების ფორმირება და გადასატანი ყუთებით უზრუნველყოფა იმ შშმ პირებისთვის, რომლებიც ვერ გადაადგილდებიან საარჩევნო უბნამდე

ცესკოს სტრატეგიული გეგმის მე-4 მიზნის **ინფორმირებული ამომრჩეველი** მიხედვით შშმ პირებისთვის 2014 წელსაც განხორციელდა რიგი ღონისძიებები, რომლებიც გულისხმობს მათი ჩართულობის უზრუნველყოფას, მათი საჭიროებების მაქსიმალურ გათვალისწინებას საარჩევნო პროცესში და მათ მაქსიმალურ ინფორმირებას არჩევნების შესახებ.[3]

1. ეტლით მოსიარულე ამომრჩევლებისათვის საარჩევნო უბნების ადაპტირება და პორტატული პანდუსებით უზრუნველყოფა

[3] http://cesko02-01.itdc.ge/uploads/other/27/27538.pdf


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

2. სმენადაქვეითებული სმენის არმქონე ამომრჩელებისათვის საინფორმაციო ვიდეორგოლების მიწოდება ჟესტური თარგმანითურთ და კენჭისყრაში მონაწილეობის შესახებ საინფორმაციო რგოლი ჟესტურ ენაზე

3. უსინათლო ამომრჩეველს კანონის[4] შესაბამისად ჰქონდა საშუალება, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიეწვია ნებისმიერი პირი გარდა: საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით მცირემხედველ ამომრჩევლებს ჰქონდათ საშუალება ყველა საარჩევნო უბანზე მოეთხოვათ სპეციალური გამადიდებელი ხელსაწყო (ლინზა ფურცელი)

4. განხორციელდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინფორმირების კამპანია

5. კენჭისყრის დღეს მობილური ჯგუფები მოემსახურა შშმ ამომრჩვლის, იმ ნაწილს, ვისაც ეს სურდა

6. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრება გაიარეს სპეციალური სწავლება

7. შშმ პირები თავად დასაქმდნენ საარჩევნო პროცესში

გარდა თავად ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების მხარდაჭერით განხორციელებული პროექტებისა, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი ყოველწლიურად გამოყოფს სახსრებს და ფინანსურად მხარს უჭერს პროექტებს, რომლებიც ხორციელდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდასაჭერად, ამ პროექტებში მონაწილეობას იღებენ ორგანიზაციები, რომლებიც შშმპ-თა პრობლემატიკაზე მუშაობენ.

ამომრჩეველთა საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსურ მხარდაჭერას ახორციელებენ, როგორც საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, ასევე საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი. მათ მიერ დაფინანსებული პროექტების ნაწილი მიმართულია შშმ ამომრჩევლის განათლებაზე, რათა ამ უკანასკნელმა გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი.

მთლიანობაში ეს დიდი ჯაჭვი ხელს უნდა უწყობდეს სახელმწიფოს შეასრულოს საკუთარი ვალდებულებები, რომელიც აიღო მან კონვენციის ხელმოწერისა და რატიფიცირების პროცესში. შშმპ-თა საარჩევნო საჭიროებების კვლევა საშუალებას მისცემს ცესკოს შეაფასოს, რამდენად ადექვატურია ის ღონისძიებები, რომლებსაც ატარებს ის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლის საარჩევნო პროცესში ჩართულობის მიმართულებით.

[4] საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 65-ე მუხლის მე-3 პუნქტი



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

## კვლევის მიზანი

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლების იმ საჭიროებების იდენტიფიცირება, რაც გავლენას ახდენს მათ ჩართულობაზე არჩევნებში;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურობის შეფასება, რომელიც განხორციელდა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ;
- შშმ ამომრჩეველთა საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების შესაძლებლობების შეფასება/აღწერა.

## ამოცანები

- შშმ ამომრჩეველთა საარჩევნო საჭიროებების იდენტიფიცირება მთელი ქვეყნის მასშტაბით;
- შშმ ამომრჩეველთა ინფორმირებულობის დონის შესწავლა ზოგადად არჩევნების შესახებ;
- შშმ ამომრჩეველთა დამოკიდებულებების იდენტიფიცირება არჩევნების პროცესის მიმართ;
- შშმ ამომრჩეველთა დამოკიდებულებების იდენტიფიცირება საარჩევნო სუბიექტების და საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ;
- შშმ ამომრჩეველთა ინფორმირებულობის შესწავლა საარჩევნო უფლებების შესახებ.
- ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო პროცესში ჩართული შშმ ამომრჩეველთა მონაწილეობის დინამიკის შეფასება;
- შშმ ამომრჩევლის განათლებაზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეფინგი და საარჩევნო საკითხების კუთხით შშმ ამომრჩევლის განათლებაზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროფილის შექმნა;
- რეკომენდაციების შემუშავება ამომრჩეველთა საგანმანათლებლო პროგრამების სამომავლო ინიციატივების უზრუნველსაყოფად

## განხორციელების გზები

- ფართომასშტაბიანი რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ჩატარება ქვეყნის მასშტაბით;
- ზრუნვაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებთან ინტერვიუები და მათი გამოცდილების აღწერა, ბენეფიციართა არჩევნებში ჩართულობასთან დაკავშირებით;



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

საქართველოს ინსტიტუციონალური განვითარების ცენტრი

- ინფორმაციის ღია წყაროებზე დაყრდნობით სამაგიდო კვლევის (Desk Research) ჩატარება, რომლის შედეგად დადგინდება შშმ ამომრჩევლის არჩევნებში მონაწილეობის დინამიკა ბოლო სამ და საარჩევნოადმინისტრაცის მიერ განხორცილებული საქმიანობის აღწერა.

## მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდად არჩეული იქნა, როგორ რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდი.

გამოყენებული იქნა:

1. ფოკუს-ჯგუფების მეთოდი
2. ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი
3. პირისპირ ინტერვიუს მეთოდი

კვლევის ინსტრუმენტებს წარმოადგენდა:

1. ფოკუს-ჯგუფების Gide-Line (დისკუსიის სასაუბრო დანართი #1)
2. სტრუქტურირებული ანკეტა დახურული და ღია კითხვებით. (დანართი #2).
3. სტრუქტურირებული ანკეტა დახურული და ღია კითხვებით ორგანიზაციებისთვის (დანართი #3).

# პროექტის სამიზნე ჯგუფი, ვინც მონაწილეობდა პროექტში

## შერჩევა და კვლევის არეალი

### ფოკუს-ჯგუფები

კვლევის ფარგლებში სულ ჩატარდა 15 ფოკუს-ჯგუფი[5] საქართველოს მასშტაბით. საერთო ჯამში მონაწილეობა ფოკუს-ჯგუფებში მიიღო 151-მა შშმ პირმა. ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობას იღებდა რეგიონებში და თბილისში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბენეფიციარი და არაბენეფიციარი მონაწილეები. ცხრილში #1 მოცემულია ფოკუს-ჯგუფების გეოგრაფიული არეალი და რაოდენობრივი განაწილება.

**ცხრილი 1.** ფოკუს-ჯგუფების გეოგრაფიული არეალი

| ქალაქი | ფოკუს-ჯგუფის რაოდენობა | ჯგუფის სახეობა | სულ მონაწილეთა |
|---|---|---|---|

[5] ოზურგეთში მოხდა ჯგუფების გაერთიანება, ზუგდიდის ერთი ჯგუფი გადავიტანეთ საჩხერეში, საჩხერის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რეგისტრირებული კავშირის თხოვნით.



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

| | | | | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | თბილისი | 3 | 1. ეტლით მოსარგებლე, მოძრაობის შეზღუდვით, უსინათლო და მცირედმხედველი<br>2. ყრუ და სმენადაქვეითებული[6]<br>3. მენტალური სფეროს შეზღუდვით და მათი მშობლები | 33 |
| 2 | გორის | 2 | 1. ეტლით მოსარგებლე<br>2. უსინათლო, მცირედმხედველი, ყრუ და სმენადაქვეითებული | 23 |
| 3 | მარნეული | 1 | 1. ეტლით მოსარგებლე, მოძრაობის შეზღუდვით, და მენტალური სფეროს შეზღუდვით და მათი მშობლები | 12 |
| 4 | ახალციხე | 1 | 1. ეტლით მოსარგებლე, მოძრაობის შეზღუდვით და უსინათლო და მცირედმხედველი | 8 |
| 5 | თელავი | 1 | 1. ეტლით მოსარგებლე, მოძრაობის შეზღუდვით და უსინათლო და მცირედმხედველი | 8 |
| 6 | ბათუმი | 2 | 1. ეტლით მოსარგებლე, მოძრაობის შეზღუდვით და უსინათლო და მცირედმხედველი<br>2. ეტლით მოსარგებლე, მოძრაობის შეზღუდვით და უსინათლო და მცირედმხედველი | 15 |

[6] სურდოთარჯიმანის თანხლებით



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7 | ქუთაისი | 2 | 1. ეტლით მოსარგებლე, მოძრაობის შეზღუდვით და უსინათლო და მცირედმხედველი<br>2. მენტალური სფეროს შეზღუდვით | 22 |
| 8 | ზუგდიდი | 1 | 1. ეტლით მოსარგებლე, მოძრაობის შეზღუდვით და უსინათლო და მცირედმხედველი | 7 |
| 9 | ოზურგეთი[7] | 1 | 1. ეტლით მოსარგებლე, მოძრაობის შეზღუდვით<br>2. მენტალური სფეროს შეზღუდვით | 13 |
| 10 | საჩხერე | 1 | 1. ეტლით მოსარგებლე, მოძრაობის შეზღუდვით და უსინათლო და მცირედმხედველი | 10 |
| | სულ: | 15 | | 151 |

ფოკუს-ჯგუფის ხანგრძლივობა ყველა ჯგუფისთვის განსხვავებული იყო და მერყეობდა 1 სთ-დან 1სთ და 45 წთ-მდე. რეკრუტირების პროცესი მიმდინარეობდა კვლევითი ჯგუფის ექსპერტის შშმ-თა საკითხებში და ადგილობრივი სუპერვაიზორების დახმარებით.

ჯგუფებში მონაწილეების აქტივობა საშუალოზე მაღალი იყო, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით აქტიურები იყვენ ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა შშმპ-თა უფლებები ზოგადად და პოლიტიკური პროცესი საქართველოში.[8]

[7] ოზურგეთის ორი ჯგუფის რეკრუტირება და ჯგუფზე მოყვანა მოხდა ერთიდაიმავე დროს. შესაბამისად ერთ ნაწილს მოუწევდა დალოდებოდა პირველი ჯგუფის დასრულებას და მიეღო მონაწილეობა მეორე ჯგუფში, კვლევითმა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება ჩაეტარებინა გაერთიანებული ფოკუს-ჯგუფი.

[8] კვლევა დაემთხვა წინასაარჩევნო პერიოდს და ამ საკითხების აქტუალობა ბუნებრივი იყო.



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

## რაოდენობრივი კვლევა

საქართველოს მასშტაბით დაუზუსტებელი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 122000[9] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია, რომელთაგან საარჩევნო ასაკის მოქალაქე დაახლოებით 50% შეიძლება იყოს. თუმცა სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად პენსიას შეზღუდული შესაძლებლობის გამო იღებს 127 491 პირი მთელი საქართველოს მასშტაბით. რიგი კვლევების მიხედვით ეს რაოდენობა არ შესაბამება რეალობას და მათი რაოდენობა გაცილებით მეტია. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების რიცხვი მთლიანი მოსახლეობის 3%–ს შეადგენს. მაშინ, როდესაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ქვეყნების უმეტესობაში ეს რიცხვი 10%–ია, ხოლო მსოფლიოს მოსახლეობის 15% შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვას განსაკუთრებით აფერხებს ის, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია ზუსტი სტატისტიკა იმის შესახებ, თუ რამდენი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია საქართველოში," - ნათქვამია სახალხო დამცველის ანგარიშში.[10]

რადგან ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით არის 127 491 შშმ პირი საქართველოს მასშტაბით, რომელიც იღებს პენსიას აღნიშნული კატეგორიით, აქედან თუ 50% ანუ ~63500 შშმ ამომრჩეველია[11], გენერალურ ერთობლიობად, შერჩვის რაოდენობის დასათვლელად აღებულია სწორედ ეს რიცხვი. შერჩევის ცდომილების დასათვლელად გამოყენებულია ფორმულა.

$$e = \sqrt{\frac{z^2 pq(N-n)}{(N-1)n}}$$

შესაბამისად შერჩევის ზომა 400 რესპონდენტი იძლევა 3,49%-იან ცდომილებას 95% სანდოობის მაჩვენებელზე

ცხრილი 2. შერჩევის ცდომილების დათვლა

| | n | N | N-n | (N-1)n | Z2pq | | Sampling error |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შერჩევის ზომა | 400 | 63500 | 63100 | 25399600 | 0.49 | 0.001217 | **3.49%** |

როგორც პროექტის მიხედვით იყო გათვალისწინებული, რაოდენობრივი კვლევის ბაზად გამოყენებული იყო შშმ ორგანიზაციების ბაზები ქვეყნის მასშტაბით. აუცილებელია აღინიშნოს, რომ კვლევითი ჯგუფის მიერ გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია შრომის, ჯანმრთელობისა სოციალური

[9] წყარო: http://identoba.com
[10] http://www.netgazeti.ge/GE/94/News/8430/
[11] ეს მხოლოდ იმ რიცხევზზე დაყრდნობით, (საერთო რაოდენობის 72%) რაც გამოქვეყნებულია სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

დაცვის სამინისტროდან შშმპ-თა ბაზების შესახებ თუმცა ის არ იქნა მოწვდილი ორგანიზაციისთვის. (იხ. დანართი#8)

მოხდა ქვეყნის მასშტაბით შშმპ-თა საკითხებზე მომუშვე ორგანიზაციების ბაზების გაერთიანება და შემთხვევითი შერჩვის პრინციპით 400 რესპონდენტის გამოკითხვა.

რეპონდენტებთან დაკავშირება ხდებოდა მისამართების მიხედვით. გამოპასუხების %-ლი მაჩვენებელი შეადგენდა 70%-ს, რაც საშუალოზე მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს.

ცხრილი **3.** რაოდენობრივი კვლევის არეალი

| | % | რაოდენობა |
|---|---|---|
| შიდა ქართლი | 10.0 | 40 |
| სამცხე-ჯავახეთი | 5.5 | 22 |
| სამეგრელო | 10.3 | 41 |
| კახეთი | 3.5 | 14 |
| იმერეთი | 10.0 | 40 |
| გურია | 10.3 | 41 |
| აჭარა | 10.3 | 41 |
| თბილისი | 40.3 | 161 |
| სულ: | **100** | **400** |

ცხრილი **4.** რესპონდენტთა განაწილება რეგიონისა და დედაქალაქის მიხედვით




ცხრილი **5.** რესპონდენტის სტატუსის განაწილება

| | **% რესპონდენტებიდან** | **რაოდენობა რესპონდენტებიდან** |
|---|---|---|



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

| | | |
|---|---|---|
| ეტლით მოსარგებლე | 40.8 | 163 |
| უსინათლო და მცირედმხედველი | 31.8 | 127 |
| ყრუ და სმენაქვეითებული | 17.5 | 70 |
| გადაადგილების შეზღუდვით | 6.5 | 26 |
| სხვა (მენტალური სფერო, სხვა ქრონიკული დაავადებები) | 3.5 | 14 |
| სულ: | **100.0** | **400** |

## რაოდენობრივ მონაცემთა შეგროვების პროცესი

ინტერვიუერების შერჩევისთვის გამოყენებული იქნა ორი სახის მიდგომა 1. პროექტის მოსამზადებელ ეტაპზე ჩატარდა კონკურსი. კონკურსის პირობით, იმ ინტერვიუერებს ენიჭებოდათ უპირატესობა, ვისაც ჰქონდა შშმპ-ებთან მუშაობის გამოცდილება. საბოლოო შერჩევაში მონაწილეობა მიიღეს იმ კონკურსანტებმა, რომლებსაც ჰქონდათ კვლევითი და შშმპ-თან მუშაობის გამოცდილება და რეკომენდაცია, რომელიც ადასტურებდა მათ შესაძლებლობებს ემუშავათ შშმ პირებთან. 2. ყრუ და სმენადაქვეითებულ რესპონდენტებთან ინტერვიუები ჩატარდა საქართველოს ყრუთა კავშირის ადამიანური რესურსის გამოყენებით.

ინტერვიუერებს წინასწარ უტარდებოდა ტრენინგი, რომელიც შედგებოდა ორი ნაწილისგან 1. ანკეტის შევსების ტექნიკა და 2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ინტერვიუს ჩატარების ტექნიკა.

ინტერვიუერი მიდიოდა მისამართზე და სთხოვდა კვლევაში მონაწილეობის მიღებას რესპონდენტს. იმ შემთხვევაში თუ რესპონდენტი ვერ ან არ იღებდა მონაწილეობას კვლევაში გადადიოდა შემდეგ მისამართზე.

ინტერვიუერი თავად უკითხავდა კითხვებს რესპონდენტს და პასუხებს ინიშნავდა ანკეტაში. გარდა ანკეტის შევსებისა, თბილისის ინტერვიუერებს ვთხოვდით აღეწერათ ინტერვიუს პროცესი და სუბიეტური შთაბეჭდილებები. (დანართი #5)

ერთი ანკეტის შევსებას რესპონდენტები საშუალოდ ანდომებდნენ 1 სთ-დან 2სთ და 30 წთ-მდე.

კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების შერჩევა განხორციელდა სამ შემდეგი გზებით:

1) Jobs.ge-ზე განვათავსეთ მოწვევა საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების კვლევაში მონაწილეობაზე. (დანართი #6 პატარა ანკეტა)
2) გამოვიყენეთ კოალიციაში დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის გაერთიანებული ორგანიზაციების ბაზა და კონკრეტულ ორგანიზაციებს ეგზავნებოდათ მოწვევა კვლევაში მონაწილეობის მისაღებად.

კვლევაში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი, სულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 18-მა ორგანიზაციამ (სია დანართი #4) მთელი საქართველოს მასშტაბით.



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

## მონაცემთა დამუშავების პროცესი

კვლევის რაოდენობრივი მონაცემები შეგროვების შემდეგ მოხდა მონაცემთა კოდირება და შეყვანილი იქნა პროგრამაში SPSS, (იხ. ბაზა GIDC მომაგრებული ფაილი). შეყვანილი მონაცემები დამუშავდა SPSS სტატისტიკურ პროგრამაში. სტატისტიკური ანალიზისას გამოყენებული იქნა აღწერითი და ანალიზური სტატისტიკის მეთოდები.

კველვაში მონაწილე ორგანიზაციების ორგანიზაციული განვითარების შეფასება ხორციელდებოდა ანკეტირების და ინტერვიუს საფუძველზე, ხოლო მათ მიერ განხორციელებული პროექტების შეფასება ხორციელდებოდა ფოკუს-ჯგუფების და ჩარღმავებული ინტერვიუს საშუალებით, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ორგანიზაციის ბენეფიციარი და არაბენეფიციარი წევრები.

კვლევის განხორციელების მოსამზადებელ ეტაპზე შემუშავებული იქნა კრიტერიუმები და ქვეკრიტერიუმები, რისი საშუალებითაც მოხდა შშმ ამომრჩეველთა განათლების პროექტების განმახორციელებლი ორგანიზაციების შეფასება.

ორგანიზაციული განვითარების შესაფასებლად შეირჩა შემდეგი კრიტერიუმები და ქვეკრიტერიუმები:

a. საქმიანობა სფერო;

b. ფინანსური შესაძლებლობები;

c. ადამინური რესურსები

d. სამიზნე ჯგუფებთან ურთიერთობის მექანიზმები

e. საზოგადოებასთან ურთიერთობა

შეფასების პროცესი მიმდინარეობდა, უშუალოდ საზოგადოებრივი ორგანიზაციებთან ინტერვიუირების საშუალებით, გამოყენებული იქნა კონტაქტის, როგორც პირისპირ, ასევე სკაიპინტერვიუ.

## რაოდენობრივი მონაცემების განხილვა

პროექტის ფარგლებში, რაოდენობრივი მოაცემები პირველადი დამუშავების შემდეგ სასტუმრო ჰოლიდეი ინ-ში ჩატარა შემაჯამებელი შეხვედრა, სადაც განხილული იქნა პირველადი სტატისტიკური მონაცემები, შეხვედრას ერსწრებოდნენ, როგორც კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე იმ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომელთაც არ მიიღეს კვლევაში მონაწილეობა, თუმცა გამოთქვეს დაინტერესება კვლევის შედეგების განხილვაში მონაწილეობის მიღების შესახებ. შეხვედრას ესწრებოდნენ ასევე კვლევითი ჯგუფის წარმომადგენლები. შეხვედრაზე დაისვა შეკითხვები და გამოითქვა მოსაზრებები, რომელიც გათვალისწინებული იქნა კვლევის საბოლოო ანგარიშში. სტატისტიკურ მონაცემები წარმოდგენილი იყო პრეზენტაციის სახით. შეხვედრის დღის წესრიგი იხ. დანართში #7



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

## შედეგები

### შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საარჩევნო საჭიროებების შეფასება, რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შედეგები.

#### ჩართულობა არჩევნებში

შეზღუდული შესაძლებლობები მქონე პირთა საარჩევნო პროცესში ჩართულობა წლიდან წლამდე იზრდება, თუმცა დინამიკის ზუსტი მაჩვენებელი არ არის ცნობილი. შშმ პირთა არჩევნებში ჩართულობის ზრდა ერთის მხრივ იმ საზოგადოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენაა, რომელიც შშმპ-თა მხარდაჭერის მიმართულებით საქმიანობენ, ხოლო მეორეს მხრივ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ბოლო წლებში ამ კონკრეტული სამიზნე ჯგუფის საარჩევნო უფლების მხარდასაჭერად გადადგმული ნაბიჯების შედეგი.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, რომელსაც ყოველწლიურად აქვეყნებს ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაცია, იდენტიფიცირებული შეზღუდულის შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთა (11 234-დან) 2014 წლის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 4883-მა ამომრჩეველმა ანუ 43%-მა. ეს რიცხვი არ ნიშნავს იმას, რომ ყველა თავად მივიდა საარჩევნო უბანზე, თუმცა მათ მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში სხვადასხვა საშუალებით: უბანზე მისვლა, გადასატანი ყუთით სარგებლობა და მობილური ჯგუფის მომსახურებით სარგებლობა.

კვლევის შედეგების მიხედვითაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთა აქტივობის ანალოგიური მაჩვენებელი დაფიქსირდა.

დიაგრამა 1. შშმ ამომრჩვლის საარჩევნო აქტივობა - მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა არჩევნებში[12]

[12] აუცილებელია განვმარტოთ, რომ მონაცემებს აქვს მხოლოდ სტატისტიკური მნიშვნელობა, რომელიც შესაძლებელია ასახავდეს რესპონდენტთა ზოგად აქტივობას. მათი არჩევნებში ზუსტი მონაწილეობა მხოლოდ ცესკოს მიერ შეიძლება იყოს დათვლილი. ჩვენ ანგარიშში ამ რიცხვებს მხოლოდ ტენდენციების საზომად გამოვიყენებთ.



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.




ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეთა პასუხების მიხედვით, თავად მონაწილეთა თითქმის 80% ნამყოფია არჩევნებზე, თუმცა თვლიან, რომ მათი თემის წარმომადგენლები არ არიან აქტიურები და არ დადიან არჩვნებზე.

გავრცელებული მოსაზრების მიხედვით შშმ ამომრჩევლის ჯგუფის დიდი ნაწილი უხილავია, უმეტესობა სახლშია ჩაკეტილი და არ დადის არჩევნებზე. მათი მონაცემები არ არის აღწერილი და ოჯახის წევრებიც ცდილობენ მათ ხელი არ შეუწყონ მათ ინტეგრაციას „მალავენ“. ამ მოსაზრებას ისინი ამაგრებენ პირადი მაგალითებით. იხსენებენ დროს, როდესაც მათ არ უნდოდათ გარეთ გამოსვლა და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმა, თუმცა ამჯერად ისინი აქტიურები არიან.

უმეტესობა ფოკუს-ჯგუფზე დამსწრე ადამიანებისა საკუთარ აქტივობას იმ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას უკავშირებს, რომელთა პროექტებშიც არიან ჩართულები, ხოლო მანამ სანამ ისინი ჩაერთვებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობებში, ჩაკეტილები იყვნენ და არათუ არჩევნებზე, გარეთ გასვლაც არ უნდოდათ.

> “მიუხედავად იმისა, რომ შემიძლია მოვითხოვო საარჩევნო ყუთის მოტანა სახლში, არ ვიყენებ ამ შესაძლებლობას, ვცდილობ ვიყო აქტიური და დამოუკიდებელი, მივდივარ საარჩევნო უბნამდე და ვაკეთებ არჩევანს. საარჩევნო უბანში დამოუკიდებლად მისვლა არ შემიძლია, რადგან უბნამდე მისასვლელი არ არის ადაპტირებული შშმპებისთვის.” (გორი - უსინათლო და მცირემხედველთა ჯგუფი)

> „მე დიდხანს ვიყავი ჩაკეტილი და არ მინდოდა არჩვნებზე მისვლა, თუმცა ბოლო ხანი ისე გააქტიურდა ჩვენი საკითხი, მივდივარ და ვაძლევ ხმას. ჩემთვის ადვილია, ძალიან ბევრი ახლობელი მყავს, ყველა მიცნობს და მეხმარება სახლიდან უბნამდე მისასვლელ გზაზეც და უბანზეც. მაგრამ სოფლებში სხვაგრავარდ არის. უფრო ჩაკეტილები არიან და არ უნდათ საზოგადოებაში გამოსვლა“ (ახალციხე)

> „ვერ წარმოიდგენთ როგორი რთულია საზოგადოებაში გამოსვლა, ყველას ერთნაირი ძალა არა აქვს. მე ვმუშაობ კიდეც, ოჯახს მაღაზია აქვს და დასაქმებული ვარ. კიდეც



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

გადავადგილდები, მაგრამ ძალიან მიძნელდება მარტოს გამოსვლა, ქუჩა არ არის ადაპტირებული, საზოგადოება არ არის იმ დონეზე, რომ ცუდი არაფერი გაგრძნობინოს. არჩევნებზე მე კი დავდივარ, მაგრამ ვიცი, რომ ბევრი არ დადის“ (მარნეული ეტლით მოსარგებლე)

„მე თვითონ მივდივარ, წელს მობილური ჯგუფის სერვისით ვისარგებლე. მომაკითხეს და წავედი. ჩვენი უბანი ადაპტირებულიაო ვერ იტყვი, უბრალოდ კერძო სახლის პირველ სართულზეა და შესვლის პრობლემა არაა. ჩემი ტრამვის პირველ წლებში საერთოს არ მინდოდა გამოსვლე, მაგრამ ახლა მივეჩვიე, ეტლსაც და გარეთ გასვლასაც“ (ზუგდიდი)

ცხრილი 6. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა არჩევნებში - რესპონდენტთა განაწილება სტატუსის მიხედვით

| | ეტლით მოსარგებლე | | უსინათლო და მცირედმხედველი | | ყრუ და სმენადაქვეითებული | | სხვა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | % | N | % | N | % | N | % | N |
| დიახ ზოგიერთ არჩევნებში | 50,3 | 82 | 37,0 | 47 | 46,4 | 32 | 46,2 | 12 |
| დიახ ყველა არჩვნებში | 44,8 | 73 | 59,1 | 75 | 34,8 | 24 | 34,6 | 9 |
| არც ერთ არჩევნებში არ მიმიღია მონაწილეობა | 4,9 | 8 | 3,9 | 5 | 18,8 | 13 | 19,2 | 5 |

ცხრილი 7. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა არჩევნებში - რესპონდენტთა განაწილება თბილისისა და რეგიონის მიხედვით

| | თბილისი | | რეგიონი | | Sig [13] |
|---|---|---|---|---|---|
| | % | N | % | N | |
| დიახ ზოგიერთ არჩევნებში | 37,3 | 60 | 50,6 | 121 | <0.05 |
| დიახ ყველა არჩვნებში | 57,1 | 92 | 39,7 | 95 | <0.05 |
| არც ერთ არჩევნებში არ მიმიღია მონაწილეობა | 5,0 | 8 | 9,6 | 23 | <0.05 |
| სულ: | 100 | 160 | 100 | 239 | |

როგორც ცხრილიდან ჩანს თბილისსა და რეგიონში სიტუაცია განსხვავებული და თბილისში შშმპთა აქტივობა უფრო მაღალია, ვიდრე რეგიონებში. განსხვავება სტატისტიკურად დადასტურებულია

[13] ჯგუფებს შორის განსხვავების სტატისტიკური მაჩვენებელი Sig.=0.000<0.05 განსხვავება ჯგუფებს შორის სტატისტუკყრად სანდოა და არის შემთხვევითი.



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

(Sig<0.005). ერთის მხრივ ეს არის თბილისის ინფრასტრუქტურის შედარებით უკეთის მდგომარეობის გამო, ხოლო მეორეს მხრივ ინფორმირებულობის დონის გასხვავების გამო.

ანალოგიური დასკვნები შესაძლებელია გამოვიტანოთ ფოკუს-ჯგუფების შედეგების მიხედვითაც. რეგიონში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფებზე დამსწრე მონაწილეები მცირედ, მაგრამ უფრო ნაკლებად აქტიურობენ არჩევნებში მონაწილეობის კუთხით, ვიდრე დედაქალაქში.

> **„ჩვენ ძალიან გვინდა ჩავრთოთ ყველა და მივიყვანოთ არჩევნებზე, რადგან ვთვლით, რომ ჩვენ ძალიან კარგს ვაკეთბთ არჩევნებში რომ ვნონაწილეობთ, მაგრამ სოფლებამდე მისასვლელი გზა ძალიან ცუდია. 20 კმ. არც ერთი მანქანა არ ივლის უგზოობაში და მიუტანს ინფორმაციას სახლში ჩაკეტილ ადამიანს. არადა მაგალითი თუ არ დაინახეს, ვერ გამოვლენ“** (საჩხერე)

> **„თვითონ ქალაქში მარტო მე ვმოძრაობ ასე აქტიურად ეტლით, მე ვიცი რომ რაიონში არსებობს ახალგაზრდები, ვისაც სჭირდება ეტლი, მაგრამ არც კი უთქვამთ ამის შესახებ. ისინი, ალბათ სახლში აძლევენ ხმას გადასატანი ყუთით, ან მაგასაც არ აკეთებენ“** (ახალციხე, ეტლით მოსარგებლე)

> **„ჩვენი ქალაქი ყველაზე ადაპტირებულია, მაგრამ რაიონები და სოფლები არა. ასეთივე განსხვავებაა თბილისსა და რეგიონებს შორის. თბილისში მეტი ორგანიზაცია მუშაობს შშმპთა დასახმარებლად. მათი სერვისი სოფლებში რთულად აღწევს, ამიტომ დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ თბილისში მეტი დადის არჩევნებზე, ვიდრე რეგიონებში“** (ბათუმი)

მათ შორის ვინც ერთხელ მაინც ყოფილა რომელიმე არჩევნებზე (368 რესპონდენტი) 65,2% ერთხელ მაინც ყოფილა საარჩვენო უბანზე რომელიმე არჩევნების დროს და იქ მიუცია ხმა, ხოლო 42,7%-ს, რომელიმე არჩევნების დროს ერთხელ მაინც უსარგებლია გადასატანი ყუთით.

დიაგრამა 2. თუ მიგიღიათ მონაწილეობა, რა საშუალებით მიგიციათ ხმა არჩვნეში (პასუხები დათვლილია რესპონდენტიოს საარჩევნო გამოცდილებიდან)






პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

მათ შორის ვინც ისარგებლა გადასატანი ყუთით, ამ წესით არჩევნებში მისი მონაწილეობა განპირობებული იყო იმით, რომ საარჩევნო უბნამდე მისასვლელი გზა არ არის ადაპტირებული მისი შესაძლებლობების შესაბამისად, ნაწილი კი თვლის, რომ გადასატანი ყუთი მოხერხებულია, ვიცი, რომ მომიტანენ და ჩემი ხმა არ დაიკარგება. დიაგრამაზე #3 მოცემულია პასუხების განაწილება. რესპონდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა რამოდენიმე პასუხი დაესახელებინათ.

**დიაგრამა 3. რატომ ისარგებლეთ გადასატანი ყუთით და არ მიხვედით საარჩევნო უბანზე[14]**




მათ შორის ვინც ისარგებლა გადასატანი ყუთით, სხვადასხვა არჩევნების დროს, 58%-ის პასუხების მიხედვით ან თავად შეატყობინა სპეციფიური საჭიროებების შესახებ საარჩევნო ადმინისტრაციას ან მათმა ოჯახის წევრმა, 42%-ის პასუხების მიხედვით კი თავად საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მიუტანეს ყუთი ბინაზე.

გადასატანი საარჩევნო ყუთის მოთხოვნის პროცედურა უმრავლესობა 77.9% რესპონდენტისთვის ძალიან მარტივია.

**დიაგრამა 4. წინასწარ თუ შეატყობინეთ სპეციფიური საჭიროებების შესახებ საარჩევნო ადმინისტრაციას**

**დიაგრამა 5. პროცედურის სირთულის შეფასება**

[14] პასუხებში „**სხვა**" იგულისხმება: არ მაქვს/გაფუჭებული მაქვს ეტლი, არ მყავს გამცილებელი, საარჩევნო გარემო ჩემს უბანზე არღვევს ჩემს ღირსებას, ამიტომ გადასატანი ყუთი მირჩევნია. აღნიშნული პასუხები მხოლოდ თითოჯერ იყო დასახელებული.



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.







მათ, ვინც აღნიშნა, რომ პროცედურა რთული ან უფრო რთული იყო, სირთულეების ჩამონათვალში დაასახელა: 1. გაუჭირდა საკონტაქტო ინფორმაციის მოძიება, თუ სად უნდა დაერეკა ყუთის მოსათხოვნად (1 პასუხი), ჯგუფის არაორგანიზებულობა (2 პასუხი), კონფიდენციალურობა არ არის დაცული (2 პასუხი).

გამოკითხულთა 66.7% თვლის, რომ გადასატანი ყუთით სარგებლობისას დაცულია კენჭისყრის ფარულობა, 8.7% თვლის, რომ  არ არის დაცული, ხოლო 24%-ს გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივი კვლევისას პასუხების ამგვარი განაწილება მივიღეთ, თვისობრივმა კვლევამ  განსხვავებული შედეგები დაგვანახვა. ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეთაგან უფრო მეტი წილი თვლის, რომ უმეტეს შემთხვევაში ირღვევა კენჭისყრის ფარულობა, რადგან კენჭისყრას ხშირ შემთხვევაში ესწრებიან ოჯახის წევრები ან ამომრჩეველს მისი მდგომარეობიდან გამომდინარე არა აქვს შესაძლებლობა განმარტოვდეს და ისე მისცეს ხმა.

> **„დაუცველია კენჭისყრის ფარულობა, აბა წარმოიდგინეთ, თუ მხოლოდ მე ვარ ის ადამიანი, რომელმაც გადასატანი ყუთით მისცა ხმა, ცხადია ყველა გაიგებს, რომელ კანდიდატს მივეცი ხმა.“** (თბილისი)
>
> **„ჩემთან ორი ადამიანი მოვიდა და მე ხმა მივეცი, დედას თანდასწრებით. მე არ მექმნება უხერხულობა დედას თანდასწრებით რომ ვაძლევ ხმას“** (თბილისი)
>
> **„სახლში მოდიან და იქ აძლევს ხმას ჩემი შვილი, ჩემს დაუხმარებლად ვერ შემოხაზავს, კაბინაშიც ვერ შევა მარტო, რიგში დგომაც უჭირს, ამიტომ სახლში მოაქვთ ყუთი. ცხადია დარღვეულია ფარულობა, მაგრამ დამოუკიდებლად ვერც საარჩევნო უბანზე მიიღებს მონაწილეობას და სხვა რა გზაა“** (თბილისი)

ცხადია დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ფოკუს-ჯგუფის მონაწილე კარგად იცავს საკუთარ ხმის უფლებას და შეუძლია მოითხოვოს მარტო დატოვონ საარჩევნო ყუთთან, თუმცა, ასეთი შემთხვევები იშვიათია:



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

> „ჩემი ხმა აბსოლუტურად დაცულია, მე ვსარგებლობ გადასატანი საარჩევნო ყუთით, მე ყოველთვის მოვითხოვ დამტოვონ მარტო და თუ უნდათ დამელოდონ კარს უკან, მართალია, ამ არჩევნებზე ცოტა გაბრაზებული ვარ. რატომღაც ჩემით გაიხსნა უბანი და 9 საათზე, დილაუთენია დამადგნენ გადასატანი ყუთით, მთელი დელეგაციით მაგრამ ეს, არაფერი. მე ძალიან მიჭირს გადაადგილება, ეტლში ვერ ვჯდები, დახმარებით შემიძლია დგომა. მე შემიძლია დახმარებით მივიდე საარჩევნო უბანზე და იქ მივცე ხმა, მაგრამ საარჩევნო კაბინა, იმდენად არამყარია, მე ვერაფერს დავეყრდნობი. ამიტომ, ყოველთვის ვისარგებლებ გადასატანი ყუთით." (ბათუმი)

მათ შორის, ვისაც საერთოდ არ მიუღია არჩევნებში მონაწილეობა, მთავარ მიზეზად ასახელებს არჩევნების პროცესისადმი დაბალ ინტერესს და თვლის, რომ მისი არჩევანი არაფერს შეცვლის ქვეყანაში.

დიაგრამა 6. რატომ არ დადიხართ არჩევნებზე[15]




[15] როდესაც დიაგრამაზე მოცემული %-ული განაწილების ჯამი 100%-ზე მეტია, ეს იმას ნიშნავს, რომ რესპონდენტს ეძლეოდა საშუალება არსებული პასუხებიდან აერჩია 1-ზე მეტი პასუხი და შედეგები დათვლილია ყველა დასახელებული შემთხვევებიდან



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ იმ რესპონდენტების 43.3%, ვისაც არასდროს მიუღია მონაწილეობა არჩევნებში, იმ შემთხვევაში მიიღებს მონაწილეობას, თუ მეტი ინფორმაცია ექნება არჩვნების შესახებ და თუ მის გადაადგილებას უზრუნველყოფენ საარჩევნო უბნამდე (20%).

დიაგრამა 7. რა შემთხვევაში მიიღებდით არჩევნებში მონაწილეობას




გამოკითხულთა უმეტესობა დაინტერესებულია (81%) ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებით/პოლიტიკური პროცესებით.

დიაგრამა 8. რამდენად დაინტერესებული ხართ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებით / პოლიტიკური პროცესებით



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.




აქტივობის ანალოგური მაჩვენებელი დაფიქსირადა ფოკუს-ჯგუფებზეც. უნდა აღინიშნოს, რომ ფოკუს-ჯგუფების ყველა მონაწილე ინფორმირებული იყო, რომ აუხლოეს არჩევნებს, თვითმმართველობის არჩევნები წარმოადგენდა და თითქმის ყველამ იცოდა თუ ვინ იყრიდა კენჭს მათ საარჩევნო უბანზე. აღსანიშნავია, რომ ფოკუს-ჯგუფები ჩატარდა არჩევნებამდე და არჩევნების შემდგომ პერიოდში. აპრილის ბოლოსა და მაისის დასაწყისში ჩატარებულ ჯგუფებში გაცილებით ნაკლები იყო ინფორმაცია, პროცედურებზე, კანდიდატებზე და საარჩევნო საკითხებზე, ვიდრე 10 მაისის შემდგომ ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფებზე. ანალიზის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ ინტენსიური კამპანია და საარჩევნო საკითხების შესახებ ინფორმაციის გავცელება მაისის მეორე ნახევრიდან დაიწყო *და ასეთი განსხვავება ბუნებრივია. ანუ ის, რომ უმეტესობა ფოკუს-ჯგუფებზე ინფორმირებული იყო საარჩევნო საკითხების შესახებ, საარჩევნო საინფორმაციო კამპანიის შედეგია.*

თავად საარჩევნო პროცესს რესპონდენტთა უმეტესობა 40.5% ნეირტალურად აფასებს. 35,8% დადებითად, ხოლო 17,3% უარყოფითად. შეფასების საერთო ქულა 5 ბალიან სკალაზე 3,17 ქულას შეადგენს.

დიაგრამა 9. როგორ შეაფასებთ არჩევნების პროცესს ქვეყანაში



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.




ფოკუს-ჯგუფზე საარჩევნო პროცესი უფრო დადებითად შეაფასეს და გამოთქვეს მოსაზრებები, რომ ბოლო წლებში ძალიან შეცვლილია სიტუაცია არჩევნების კუთხით ქვეყანაში. არჩევნები მშვიდად ტარდება და არჩევნების მიმართ ნდობამ მოიმატა.

თუმცა აუცილებელია აღინიშნოს, რომ პოლიტიკური პროცესი კვლავ გავლენას ახდენს არჩევნების მიმართ დამოკიდებულებაზე. საზოგადოების ნაწილი, რომელსაც მოლოდინი არჩევანმა არ გაუმართლა, უფრო ნეგატიურადაა განწყობილი საარჩევნო პროცესის მიმართ მთლიანად, ვიდრე ის ამომრჩეველი, ვინც თვლის, რომ მან სწორი არჩევანი გააკეთა.[16]

ცხრილი 8. როგორ შეაფასებთ არჩევნების პროცესს ქვეყანაში - თბილისისა და რეგიონის ჭრილი

| | თბილისი | | რეგიონები | | P value |
|---|---|---|---|---|---|
| | % | N | % | N | |
| უარყოფითად | 11,8 | 19 | 5,9 | 14 | 0.001 <0.05 |
| უფრო უარყოფითად | 11,8 | 19 | 7,1 | 17 | |
| არც დადებითად არც უარყოფითად | 40,4 | 65 | 40,6 | 97 | |
| უფრო დადებითად | 29,2 | 47 | 30,5 | 73 | |
| ძალიან დადებითად | 1,9 | 3 | 8,4 | 20 | |
| მ.პ.გ. | 5,0 | 8 | 7,5 | 18 | |
| | 100,0 | 161 | 100,0 | 239 | |

როგორც ცხრილიდან ჩანს თბილისის რესპონდენტების უფრო მეტი ნაწილი აფასებს უარყოფითად არჩევნების პროცესს ქვეყანაში (23,6), ვიდრე რეგიონის რესპონდენტები (13%). განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

ცხრილი 9. როგორ შეაფასებთ არჩევნების პროცესს ქვეყანაში - სტატუსის ჭრილი

[16] აღნიშნული დასკვნა, ფოკუს-ჯგუფზე გამოთქმული მოსაზრებების შედეგია.



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

| | ეტლით მოსარგებლე | | უსინათლო და მცირედმხედველი | | ყრუ და სმენადაქვეითებული | | სხვა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | % | N | % | N | % | N | % | N |
| უარყოფითად | 11,0 | 18 | 7,1 | 9 | 1,4 | 1 | 12,5 | 5 |
| უფრო უარყოფითად | 10,4 | 17 | 10,2 | 13 | 2,9 | 2 | 10,0 | 4 |
| არც დადებითად არც უარყოფითად | 37,4 | 61 | 30,7 | 39 | 62,9 | 44 | 45,0 | 18 |
| უფრო დადებითად | 30,1 | 49 | 40,2 | 51 | 17,1 | 12 | 20,0 | 8 |
| ძალიან დადებითად | 5,5 | 9 | 4,7 | 6 | 7,1 | 5 | 7,5 | 3 |
| მ.პ.გ. | 5,5 | 9 | 7,1 | 9 | 8,6 | 6 | 5,0 | 2 |
| | 100 | 163 | 100 | 127 | 100 | 70 | 100 | 40 |

როგორც ცხრილიდან ჩანს განსხვავებები არსებობს ჯგუფებს შორის სტატუსის მიხედვით. ყრუ დასმენადაქვეითებული ამომრჩეველი უფრო ნეიტრალურია შეფასებაში, ვიდრე ეტლით მოსარგებლე და უსინათლო და მცირედმხედველი ამომრჩეველი.

ფოკუს-ჯგუფების შედეგების მიხედვითაც სმენადაქვეითებულთა ჯგუფში მეტად გაჭირდა არჩევნების პროცესის შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი ძალიან აქტიური იყო და მონდომებული საკუთარი აზრის გამოთქმაში, არჩევნების პროცესის შეფასება გაუჭირდათ, თვლიან, რომ მათ ცოტა აქვთ ინფორმაცია არჩევნების პროცესების შესაფასებლად.

> **„ყრუ და სმენადაქვეითებულთა დიდმა ნაწილმა წერა-კითხვა იცის, თუმცა წაკითხულიდან აზრის გამოტანა უძნელდება. ჟესტური ენა საქართველოში არ არის კარგად განვითარებული და მისი შესაძლებლობებიც არ არის ისეთი, რომ ყველა სიტყვა, მით უფრო პოლიტიკური სიტყვები ახსნას. ამიტომ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ნაკლებია და შესაბამისად შეფასებაც გაგვიჭირდება. ისე არჩევნებზე დავდივართ და ხმას ვაძლევთ, ოჯახის წევრები გვეხმარებიან, უფრო მეტად მეგობრებისგან ვიღებთ ინფორაციას და კიდევ ამ ორგანიზაციისგან. აქ ვნახეთ კლიპები ჟესტური თარგმანით, აქ არის[17] თარჯიმანი და გვიტარებს ტრენინგებს, როგორ მივიღოთ მონაწილეობა არჩევნებში“** (თბილისი, სმენადაქვეითბულთა ჯგუფი)

მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო პროცესს ზოგადად უფრო მეტად დადებითად აფასებენ რესპონდენტები, ვიდრე უარყოფითად, მაინც თვლიან, რომ მათი საარჩევნო უფლების რეალიზებას არსებული გარემო ხელს ნაკლებად უწყობს. რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, მათ შორის ვისაც მიუღია მონაწილეობა არჩვნებში უმეტესობა 45.9% თვლის, რომ მას არსებული გარემო ხელს არ უწყობდა საარჩევნო უფლების რეალიზებაში.

დიაგრამა 10. რამდენად გიწყობდათ ხელს არსებული გარემო თქვენი საარჩევნო უფლების რეალიზებაში, განაწილება მათ შორის ვისაც ერთხელ მაინც მიუღია არჩევნებში მონაწილეობა

[17] ყრუ და სმენადაქვეითებუთა კავშირის ოფისს გულისხმობს, რადგან ფოკუს-ჯგუფი თბილისში ჩატარდა მათ ოფისში



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.




ყველაზე რადიკალურები ყრუ და სმენადაქვეითებული ამომრჩევლები აღმოჩნდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური გარემო არ არის ბოლომდე ადაპტირებული და ეტლით მოსარგებლეების უმეტესობას ქუჩაში გამოსვლა და გადაადგილებაც უჭირთ, ისინი, მაინც უფრო ლოიალურები აღმოჩნდნენ.

ცხრილი **10**. რამდენად გიწყობდათ ხელს არსებული გარემო თქვენი საარჩევნო უფლების რეალიზებაში, განაწილება მათ შორის ვისაც ერთხელ მაინც მიუღია არცვნებში მონაწილეობა - სტატუსის ჭრილი

| | ეტლით მოსარგებლე | | უსინათლო და მცირედმხედველი | | ყრუ და სმენადაქვეითებული | | სხვა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | % | N | % | N | % | N | % | N |
| სრულიად მიწყობდა | 25,3 | 38 | 7,7 | 9 | 1,8 | 1 | 4,8 | 1 |
| მეტნაკლებად მიწყობდა | 34,7 | 52 | 52,1 | 61 | 16,4 | 9 | 33,3 | 7 |
| საერთოდ არ მიწყობდა | 38,7 | 58 | 36,8 | 43 | 78,2 | 43 | 61,9 | 13 |
| უარი პასუხზე | 1,3 | 2 | 3,4 | 4 | 3,6 | 2 | | |
| სულ: | 100 | 150 | 100 | 117 | 100 | 55 | 100 | 21 |

საინტერესოა, რომ არ აღმოჩნდა დადებითი კავშირი[18] ორ ცვლადს შორის კერძოდ: არჩევნების პროცესის შეფასებასა და უწყობდათ თუ არა ხელს არსებული საარჩევნო გარემო საარჩევნო უფლებების რეალიზებაში. რის საფუძველზეც შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საარჩევნო პროცესი ქვეყანაში შშმ ამომრჩევლისთვის ზოგად კონტექსტში განიხილება და არ არის დაკავშირებული კონკრეტულად შშმ პირთა საარჩევნო უფლების რეალიზების აღქმასთან.

მათ შორის ვინც თავად დადის არჩევნებზე, 83% თვლის, რომ მას შეუძლია მივიდეს საარჩევნო უბანზე, ამიტომ სხვა გზას არ მიმართავს.

დიაგრამა **11**. რატომ ირჩიეთ საარჩევნო უბანზე მისვლა?

---

[18] Spearman's rho=0.87, Sig. (2-tailed)=0.116



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.




სხვადასხვა არჩევნების დროს საარჩევნო უბანზე მისულთა შორის 34%-ს უსარგებლია დამხმარე საშუალებით. მათ შორის ვინც ისარგებლა სპეციალური დამხმარე საშუალებებით, (82 რესპონდენტი) რესპონდენტთაგან მესამედზე მეტს უსარგებლია პანდუსით და მობილური ჯგუფის მომსახურებით.

**დიაგრამა 12. გთხოვთ გვიპასუხოთ საარჩევნო უბანზე მისვლისას ისარგებლეთ თუ არა სპეციალურად თქვენთვის არსებული დამხმარე საშუალებებით.**



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.




ყველაზე მეტად რესპონდენტები სპეციალიზირებული კაბინით, საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო ფორმითა და მობილური ჯგუფის მომსახურებით არიან კმაყოფილები. მისი კომფორტულობა 5 ბალიან შკალაზე შესაბამისად 4.43; 4.41 და 4.04 ქულით შეაფასეს.

დიაგრამა 13. დამხმარე საშუალებების კომფორტულობის შეფასება




ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა აზრითაც ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია სპეციალიზირებული საშუალებები, თუმცა გარკვეული დისკომფორტი არსებობს. მაგალითად სპეციალური კაბინები ერთი ზომისაა და ზოგი ეტლით მოსარგებლესთვის ძალიან მაღალია.

> **„მე ვერ ვისარგებლე კაბინით, ჩემს ზომაზე არ არის. სჯობს მისი სიმაღლე რეგულირდებოდეს სხვადასხვა სიმაღლისთვის.“** (გორი)



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

**„მე მაგალითად ვერ ვისარგებლებ სპეციალური კაბინით, ეტლით საერთოდ ძალიან იშვიათად დავდივარ, მაგრამ რომც მივიდე ეტლით ეს კაბინაც მაღალია ჩემთვის. კი მე თვითონ მივდივარ არჩევნებზე, მაგრამ კაბინით ვერ ვსარგებლობ.“** (მარნეული)

უსინათლოთა და მცირედმხედველებს ბრაილის შრიფტით სარგებლობა რიგ შემთხვევაში არ შუძლიათ, რადგან ბრაილით ყველა უსინათლო ვერ კითხულობს. რელიეფური რიცხვებიც არ არის ბოლომდე გამოსავალი, რადგან ზოგ უსინათლოს ტაქტილური შეგრძნებებიც დაქვეითებული აქვს. თუმცა მონაწილეებს კარგად ესმით, რომ რომ არა ეს ნაბიჯები, შესაფასებელიც არაფერი იქნებოდა.

მონაწილეთა აზრით, არჩევნებზე ყველა საშუალება გამოყენებული უნდა იქნას, მაგრამ აუცილ;ებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა შენიშვნა, რომელიც შშმპ-თა მხრიდან გამოითქმება. ყველაზე მეტად ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებს ჩარჩო ფორმა მოეწონათ, რადგან თვლიან, რომ ეს მხოლოდ უსინათლოებს კი არა კოორდინაციის დარღვევის მქონე შშმპ-ებსაც გამოადგებათ.

**„ჩარჩო ფორმა ძალიან კარგია, მე სულ მიდევს ჩანთაში და ახლაც თან მაქვს. მე ვიცი, რომ ამ ფორმით ძალიან ადვილია ხმის მიცემაც და ხელის მოწერაც. უხერხულობას აღარ ქმნის საარჩევნო უბანზე“** (თბილისი)

**„წელს იქნება თუ არა ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ბიულეტენები არ ვიცი, შარშან იყო და მე ვისარგებლე, თუმცა ყველამ არ იცის ბრაილი და ვერ შეძლებს გამოყენებას, მას ისევ ის დარჩენია, რომ გამცილებელი შიყვანოს კაბინაში და მას მოახაზინოს ბიულეტენში ნომერი. მაგალითად ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ბიულეტენი უფრო დიდი იყო ზომით და მისი კონვერტში ჩადება პრობლემას წარმოადგენდა, მგონია, დიდხანს რომ წვალობ კონვერტში ჩასადებად, მაინც შეიძლება ვიღაცამ დაინახოს, ვინ მოხაზე“** (თბილისი)

**„ჩემი შვილი ბავშვობიდან არ არის უსინათლო, ამიტომ მას ბრაილი არ უსწავლია, ასეა ბევრი მისნაირი, დიაბეტის შედეგად რომ დაკარგეს თვალის ჩინი. მე დავყვები არჩვნებზე და მე ვხაზავ მის მაგივრად. რაღაც უნდა იყოს ასეთი ადამიანებისთვის, რომ ასწავლონ დამოუკიდებლად როგორ შეძლოს ბიულეტენის მოხაზვა“** (გორი)

**„წელს არ დაბეჭდეს ბრაილით, ეტყობა ბიუჯეტს გაუფრთხილდნენ. აჯობებდა დაბეჭდილიყო და ვისაც უნდოდა ესარგებლა“** (თბილისი)

**„ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ბრალის შრიფტი, თუმცა არსებობს ხმოვანი პროგრამები, რომლებითაც შესაძლებელია სხვადასხვა ვებ-გვერდის მოსმენა, თუმცა მე მყავს ბევრი ნაცნობი, ვისაც აქვს საშუალება მოიხმაროს ეს პროგრამები და ცესკოს საიტი ამ მიმართულებით რატომღაც არაადაპტირებულია“** (ბათუმი)

შენიშვნები გამოითქვა მობილურ ჯგუფებთან დაკავშირებით

**„ზუგდიდში მობილური ჯგუფები არ დადიოდნენ სპეციალური მანქანით, ეს იყო ჩვეულებრივი მიკროავტობუსი, ლიფტის გარეშე. კი წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ მაინც არღვევს ჩემს ღირსებას, დახმარების გარეშე მაინც არ შემიძლია ჩავჯდე და**



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

გადმოვიდე. ბიუჯეტის შედგენისასა აუცილებელია გაითვალისწინოს ცესკომ, რომ თითო მუნიციპალიტეტესვის თითო ადაპტირებული მანქანის ყიდვა საჭიროა. ეს არა მხოლოდ შეზღუდული შსაძლებლობის მქონე ადამიანებს გაუადვილებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, არამედ დაანახვებს საზოგადოებას, რომ სახელმწიფო ზრუნავს ყველა მოქალაქეზე თანაბრად და ასეთუ მიდგომები აუცილებელია“ (ზუგდიდი)

„მობილური ჯგუფი კარგია, მაგრამ მაინცდამაინც დათქმულ დროს უნდა წახვიდე არჩევნებზე, ეს არ მომწონს, თუ პრეტენზია გვაქვს გარემოს შექმნაზე, რამოდენიმე შშმპ-ს მისვლა უბანზე სანახაობას ემსგავსება და ყველა უყურებს ამ ადამიანებს. ყველას მაშინ უნდა შეეძლოს მისვლა, როცა უნდა“ (თბილისი)

მათ შორის, ვინც შეაფასა დამხმარე საშუალებები, ვეკითხებოდით თუ რა არ მოეწონათ ყველაზე მეტად. რაოდენობრივ კვლევაშიც ანალოგიური ხარვეზები დასახელდა:

1. არ მომეწონა პანდუსი/პანდუსი იყო არაკომფორტული
2. უბანზე არ იყო თარჯიმანი
3. პანდუსს ქონდა არასწორი დახრის კუთხე
4. ბიულეტენზე ტექსტის ამოკითხვა გამიჭირდა
5. ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ბიულეტენის შემთხვევაში არ არის დაცული კონფიდენციალურობა. ადვილია გამოცნობა, ვინ მისცა ხმა
6. სპეციალიზებული კაბინა არ იყო კომფორტული
7. პანდუსამდე მისასვლელი გზა იყო დაზიანებული

როდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესობა 45,6% თვლის, რომ საარჩევნ გარემო გაუმჯობესდა შშმ ამომრჩევლისთვის

დიაგრამა 14. გთხოვთ შეაფასოთ, თქვენს გამოცდილაბაზე დაყრდნობით, რამდენად გაუმჯობესდა საარჩევნო გარემო  შშმ ამომრჩევლისთვის



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.




ცხრილი 11. გთხოვთ შეაფასოთ, თქვენს გამოცდილაბაზე დაყრდნობით, რამდენად გაუმჯობესდა საარჩევნო გარემო შშმ ამომრჩევლისთვის - სტატუსის ჭრილი

| | ეტლით მოსარგებლე | | უსინათლო და მცირედმხედველი | | ყრუ და სმენადაქვეითებული | | სხვა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | % | N | % | N | % | N | % | N |
| ვერ შევაფასება, რადგან მხოლოდ ერთ არჩევნებზე ვიყავი | 1,2 | 2 | | 0 | 7,1 | 5 | 7,5 | 3 |
| ძალიან გაუარესდა | 1,8 | 3 | ,8 | 1 | 0 | 0 | 2,5 | 1 |
| მცირედით გაუარესდა | 3,7 | 6 | 3,1 | 4 | | | 2,5 | 1 |
| დარჩა იგივე | 37,4 | 61 | 48,8 | 62 | 24,3 | 17 | 37,5 | 15 |
| მცირედით გაუმჯობესდა | 29,4 | 48 | 29,9 | 38 | 22,9 | 16 | 37,5 | 15 |
| მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა | 19,0 | 31 | 7,9 | 10 | 28,6 | 20 | 2,5 | 1 |
| მ.პ.გ. | 7,4 | 12 | 8,7 | 11 | 11,4 | 8 | 2,5 | 1 |
| უარი | 0 | 0 | 0,8 | 1 | 5,7 | 4,0 | 7,5 | 3 |
| სულ: | 100 | 163 | 100 | 127 | 100 | 70 | 100 | 40 |

ცხრილი 12. გთხოვთ შეაფასოთ, თქვენს გამოცდილაბაზე დაყრდნობით, რამდენად გაუმჯობესდა საარჩევნო გარემო შშმ ამომრჩევლისთვის - თბილისი, რეგიონის ჭრილი

| | თბილისი | | რეგიონი | |
|---|---|---|---|---|
| | % | N | % | N |
| ვერ შევაფასება, რადგან მხოლოდ ერთ არჩევნებზე ვიყავი | 1,2 | 2 | 3,3 | 8 |



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ძალიან გაუარესდა | 2,5 | 4 | ,4 | 1 |
| მცირედით გაუარესდა | 6,2 | 10 | ,4 | 1 |
| დარჩა იგივე | 46,0 | 74 | 33,9 | 81 |
| მცირედით გაუმჯობესდა | 20,5 | 33 | 35,1 | 84 |
| მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა | 14,3 | 23 | 16,3 | 39 |
| მ.პ.გ. | 8,7 | 14 | 7,5 | 18 |
| უარი | 0,6 | 1 | 2,9 | 7 |
| სულ: | 100,0 | 161 | 100,0 | 239 |

გარდა ზოგადი შეფასებებისა, ჩვენ გვაინტერესებდა რესპონდენტების აზრი კონკრეტულად ცესკოს საქმიანობის შესახებ. ამიტომ რესპონდენტებს დავუსვით რამოდენიმე კითხვა, რომელთა შედეგები შესაძლებელია გამოვიყენოთ ცესკოს მიერ შშმპ-თა საარჩევნო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად გადადგმული ნაბიჯების შეფასება. თვისობრივი კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ შშმ ამომრჩევლისთის ძალზე მნიშვნელოვანია ის ნაბიჯები რომელიც გადაიდგა ბოლო წელების მანძილზე. ისინი თვლიან, რომ ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს და ფიზიკური გარემო, რომელიც აფერხებს შშმ-თა მონაწილეობას არჩევნებში, საბოლოოდ მივიდეს საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებამდე.

> **„ჩვენ განსაკუთრებული და გამორჩეული მიდგომები ცოტა გვაღიზიანებს. მე არ მჭირდება სპეციალურად, ჩემთვის გაკეთბული პანდუსი, მაგრამ ეს ნაბიჯები კარგია, ჩვენ გვჭირდება გარემო მთლიანად ქალაქში, სახელმწიფოში იყოს ადაპტირებული და თავი არ ვიგრძნო გამორჩეულად“** (თბილისი)

5 ბალიან სკალაზე რესპონდენტებს ვაფასებინებდით წინადადებებს თუ რამდენად ეთანხმებოდნენ თითოეულ მათგანს. სადაც 1 ნიშნავდა საერთოდ არ ვეთანხმები, ხოლო 5 სრულიად ვეთანხმები. წინადადებები გამოხატავდა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტს. როგორც აღმოჩნდა საერთო ჯამში საარჩევნო ადმინისტრაციას შშმ ამომრჩეველი 5 ბალიან სკალაზე 3.34 ქულით აფასებს, რაც საშუალოზე მაღალი მაჩვენებელია. დიაგრამაზე #15 მოცემულია საშუალო ქულების განაწილება სხვადასხვა ასპექტის მიხედვით.

**დიაგრამა 15. გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენად ეთანხმებით ქვემოთჩამოთვლილ წინადადებებს**



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.




მცირე განსხვავებები დაფიქსირდა რეგიონისა და თბილისის რესპონდენტების საშუალო ქულების შედარებისას. სტატისტიკურად მნიშვნელობანია განსხვავებები შემდეგ წინადადებების შეფასებისას. „მე ვენდობი ყველა ტიპის ინფორმაციას რომელსაც მაწვდის ცესკო“ და „საარჩევნო ადმინისტრაცია დამოუკიდებელია“[19]

დიაგრამა 16. გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენად ეთანხმებით ქვემოთჩამოთვლილ წინადადებებს - განსხვავება თბილისსა და რეგიონს შორის

[19] Sig. (2-tailed)=0.003 და Sig. (2-tailed)=0.000



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.




მცირე განსხვავებები დაფიქსირდა საშუალოებს შორის სტატუსის მიხედვითაც, თუმცა მხოლოდ საარჩენვო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობის შეფასების საკითხში აღმოჩნდა განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.

დიაგრამა 17. გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენად ეთანხმებით ქვემოთჩამოთვლილ წინადადებებს - განსხვავება სტატუსის მიხედვით



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.




გამოკითხულთა უმეტესობას აქვს მიღებული არჩევნებში ხმის მიცემის პროცედურებთან დაკავშირებით ინფორმაცია. 82.6%-ს ინფორმაცია მედიის საშუალებით მიუღია, 10.6%-ს არასამთავრობო ორგანიზაციის საშულებით, ხოლო 10.4%-ს თავად ცესკოს წარმომადგენლებისგან.

დიაგრამა **18**. მიგიღიათ თუ არა რაიმე ინფორმაცია არჩევნებში ხმის მიცემის პროცედურებთან დაკავშირებით



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.




ანალოგიური შედეგი დაფიქსირდა ფოკუს-ჯგუფებზეც. თითქმის ყველა მონაწილეს ჰქონდა მიღებული ინფორმაცია ხმის მიცემის პროცედურებთან დაკავშირებით. მათი ინფორმაციის წყაროც უმეტესად მედიაა, თუმცა მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ცესკოს წარმომადგენლებთან შეხვერები და არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტებში მონაწილეობა.

ცესკოს ცხელი ხაზის შესახებ ინფორმირებული არიან რესპონდენტები - მათმა 45%-მა ეს ინფორმაცია 2013 წლის არჩევნებამდე იცოდა, ხოლო 17%-სთვის თვითმმართველობის არჩევნებისთვის გახდა ცნობილი.

**დიაგრამა 19. იცით თუ არა საარჩევნო ადმინისტრაციის ცხელი ხაზის არსებობის შესახებ?**



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.




ცხელი ხაზის შესახებ ინფორმირებულობის მიხედვით განსხვავებები დაფიქსირდა თბილისისა და რეგიონის ჭრილში და სტატუსის მიხედვით. როგორც მოსალოდნელი იყო თბილისში გამოკითხული რესპონდენტების მეტმა ნაწილმა იცოდა ცხელი ხაზის არსებობის შესახებ ვიდრე რეგიონებში.[20] სტატუსის მიხედვით, ყველაზე ნაკლებად ინფორმირებული ყრუ და სმენადაქვეითებულა ჯგუფი აღმოჩნდა. [21] ცხრილები #13 და #14

### ცხრილი 13. იცით თუ არა საარჩევნო ადმინისტრაციის ცხელი ხაზის არსებობის შესახებ - თბილისი-რეგიონის ჭრილი

| | თბილისი | | რეგიონი | |
|---|---|---|---|---|
| | % | N | % | N |
| დიახ ვიცოდი ამის შესახებ2013 წლის არჩევნებამდე | 63.4 | 102 | 33.1 | 79 |
| დიახ ეხლა ვარ ინფორმირებული | 14.9 | 24 | 18.8 | 45 |
| არა არ ვიცი | 21.7 | 35 | 48.1 | 115 |
| სულ | 100 | 161 | 100 | 239 |

### ცხრილი 14. იცით თუ არა საარჩევნო ადმინისტრაციის ცხელი ხაზის არსებობის შესახებ - სტატუსის ჭრილი

| | ეტლით მოსაგრებლე | | უსინათლო და მცირედმხედველი | | ყრუ და სმენადაქვეიტებული | | სხვა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | % | N | % | N | % | N | % | N |
| დიახ ვიცოდი ამის შესახებ2013 წლის | 51.5 | 84 | 52.0 | 66 | 28.6 | 20 | 27.5 | 11 |

[20] Independent Samples Test, Sig.=0.000,
[21] ANOVA Between Groups, Sig.=0.000



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| არჩევნებამდე | | | | | | | | |
| დიახ ეხლა ვარ ინფორმირებული | 22.7 | 37 | 15.0 | 19 | 8.6 | 6 | 17.5 | 7 |
| არა არ ვიცი | 25.8 | 42 | 33.1 | 42 | 62.9 | 44 | 55.0 | 22 |
| სულ | 100.0 | 163 | 100.0 | 127 | 100.0 | 70 | 100.0 | 40 |

მათ შორის ვისაც ცხელი ხაზის შესახებ აქცს ინფორმაცია (250 რესპონდენტი), 64% ინფორმირებულია, რომ შეუძლია ცხელი ხაზის საშუალებით შუძლია მოითხოვოს მობილური ჯგუფის მომსახურება. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ჯგუფებს შორის არ დაფიქსირებულა.

დიაგრამა 20. იცით თუ არა რომ საარჩევნო ადმინისტრაციის ცხელი ხაზის საშუალებით შეგიძლიათ დარეკოთ და მოითხოვოთ მობილური ჯგუფის მომსახურება




### პოლიტიკურ პროცესში ჩართულობა

ფოკუს-ჯგუფში მონაწილე რესპონდენტების უმეტესობა საკმაოდ ინფორმირებული იყო პოლიტიკური საკითხების შესახებ და ცდილობდა აქტიურად ესაუბრა პოლიტიკურ თემაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ კვლევა ჩატარდა თვითმმართველობის არჩევნების პერიოდში და თემაც უფრო აქტუალური იყო, ვიდრე არასაარჩევნო პერიოდში იქნებოდა.

გამოკითხულთა უმეტესობას მიუღია ინფორმაცია არჩევნებში მონაწილე პარტიების, მათი პროგრამების, კანდიდატების შესახებ. ინფორმაციის ყველზე გავრცელებული წყარო მედიაა, შემდეგ თავად პოლიტიკური პარტიები და შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციები.

დიაგრამა 21. მიგიღიათ თუ არა ინფორმაცია არჩევნებში მონაწილე პარტიების, მათი პროგრამების, კანდიდატების შესახებ



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.




ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა უმრავლესობა უკმაყოფილოა პოლიტიკოსთა დამოკიდებულებით შშმპ-თა მიმართ, თვლიან, რომ არც ერთი მათგანის წინასაარჩევნო პროგრამაში არ არის ასახული შშმპ-თა ინტერესები. ასევე თვლიან, რომ პოლიტიკოსები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს მხოლოდ „ქველმოქმედების ობიექტად განიხილავს" და არა აქვთ ხედვა თუ როგორ უნდა გახადონ გარემო ყველა შესაძლებლობის ადამიანისთვის ხელმისაწვდომი.

რაოდენობრივი კვლევის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, შშმ ამომრჩეველი ცდილობს იყოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართული. გამოკითხულთა მესამედზე ოდნავ ნაკლები (30.6%) დასწრებია კიდეც პოლიტიკოსებთან წინასაარჩევნო შეხვედრას, თუმცა ამ შემთხვევების ნახევარზე მეტი (54%) თვითმმართველობის არჩევნებზე მოდის, ანუ იმ არჩევნებზე, როდესაც პოლიტიკური პროცესი უფრო გაშლილია მთელს ქვეყანაში და ბევრი კანდიდატი აწარმოებს წინასაარჩევნო შეხვედრებს.

დიაგრამა **22.** დასწრებიხართ თუ არა რომელიმე პარტიის ან დამოუკიდებელი კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრას






პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

ცხრილი 15. დასწრებიხართ თუ არა რომელიმე პარტიის ან დამოუკიდებელი კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრას - განაწილება სტატუსის მიხედვით

| | ეტლით მოსარგებლე | | უსინათლო და მცირედმხედველი | | ყრუ და სმენადაქვეითებული | | სხვა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | % | N | % | N | % | N | % | N |
| დიახ | 35.6 | 58 | 29.1 | 37 | 20.0 | 14 | 32.5 | 13 |
| არა | 63.2 | 103 | 69.3 | 88 | 77.1 | 54 | 67.5 | 27 |
| უარი პასუხზე | 1.2 | 2 | 1.6 | 2 | 2.9 | 2 | 0.0 | 0 |
| სულ: | 100 | 163 | 100 | 127 | 100 | 70 | 100 | 40 |

როგორც ცხრილიდან #16 ჩანს რეგიონში გამოკითხულთაგან, უფრო მეტი რესპონდენტია ნამყოფი რომელლიმე პოლიტიკური პარტიის ან დამოუკიდებელი კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრაზე.

ცხრილი 16. დასწრებიხართ თუ არა რომელიმე პარტიის ან დამოუკიდებელი კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრას - განაწილება თბილისისა და რეგიონის მიხევდით

| | თბილისი | | რეგიონი | |
|---|---|---|---|---|
| | % | N | % | N |
| დიახ | 24.8 | 40 | 34.3 | 82 |
| არა | 73.9 | 119 | 64.0 | 153 |
| უარი პასუხზე | 1.6 | 2 | 1.7 | 4 |
| სულ | 100 | 161 | 100 | 239 |

დიაგრამა 23. რომელი არჩევნების დროს - განაწილება მათ შორის ვინც დასწრებია შეხვედრას (124 რესპონდენტი)






პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

გამოკითხულთა აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მოისმინეს წინასაარჩევნო შეხვედრაზე ეს შშმპ-თა საკითხებია, თუმცა ფოკუს-ჯგუფებზე გამოითქვა მოსაზრება, რომ შეხვედრებზე საარჩევნო კანდიდატები შშმპ-თა თემას საკუთარი ინიციატივით არ ეხებოდნენ და მხოლოდ მას მერე საუბრობდნენ აღნიშნულ საკითხებზე, როდესაც შეხვედრაზე მისული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლები ეკითხებოდნენ ამის შესახებ.

დიაგრამა 24. თქვენი აზრით რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მოისმინეთ წინასაარჩევნო შეხვედრისას




ფოკუს-ჯგუფებზე გამოითქვა მოსაზრება, რომ პოლიტიკოსების წინასაარჩევნო პროგრამებში ძალიან ნაკლებად არის წარმოდგენილი შშმპ-თა საკითხები. მაშინც კი, როდესაც კითხვას უსვამენ მათ თუ რა ღონისძიებებს მიმართავენ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობები მქონე პირთა მიმართულებით, პასუხები საკმაოდ არაადექვატურია და ეტყობათ, რომ „შეხვედრამდე მათ ნაფიქრი ამ საკითხებზე არა აქვთ“.

> **„კანდიდატებთან შეხვედრაზე ვყოფილვარ და რომ გვიკითხავს ჩვენს შესახებ რას აპირებენ, ყველაფერზე გვეუბნნებიან, რომ იქნება უფასო. თუ ამდენი უფასო სერვისის მოწოდება შეუძლიათ, მაშინ მოგვცენ განათლება და პირობები და ჩვენ თავად გამოვიმუშავებთ თანხას. ტყუილია ეს ყველაფერი. ჩვენ გვინდა მოგვცეს საშუალება სახელმწიფომ მოვიღოთ განათლება და დამოუკიდებლად შევძლოთ მუშობა.“** (ბათუმი)

> **„კანდიდატებთან შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია, ყველას ხვდებიან, მასწავლებლებს, ექიმებს, მაგრამ მინდა ჩვენს თემსაც შეხვდნენ. მართალია**



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

გამოდიფერენცირება გამოდის და არ არის სწორი, მაგრამ სულ არაფერს სჯობს“ (ბათუმი)

„ჩვენი ინიციატივით შევხვდით კანდიდატს, მაგრამ ძალიან მცირე რაოდენობა მოვიდა შეხვედრაზე, შშმპ-თა მხრიან იყო აქტივობა დაუსვეს კითხვები, მაინც ვფიქრობ, რომ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. ვკითხეთ რას აპირებდნენ შშმპ-თა მიმართულებით, სამწუხაროდ იქვე მოიფიქრეს პასუხი და გვითხრეს, რომ უფასო სასადილოს გახსნიდნენ“ (ბათუმი)

„მე საერთოდ აქტიური ადამიანი ვარ, გავიგე ჩემს უბანში კანდიდატს ხვდებოდნენ და მეც წავედი, სტადიონზე იყო შეხვედრა. იქ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კი არა, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ადამიანს შეუწუხდებოდა გული. ეტლით მიმაჭყლიტეს ბადეზე, ძლივს გადავრჩი დაუზიანებლად“ (ქუთაისი)

„საარჩევნო შეხვედრაზე არ ვყოფილვარ არასდროს, ჩვენით მგონია არავინ ინტერესდება. ახლაც მიკვირს ჩვენთან შეხვედრა რომ მოინდომეთ მოგვიწვიეთ შეხვედრაზე“ (საჩხერე)

„ჩვენი ინიციატივით შევხვდით ორი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებს. თავად უბან-უბან დადიან, მაგრამ ერთხელ არ გაახსენდებათ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შეხვდნენ. არც არიან მზად ჩვენთან შესახვედრად. მხოლოდ გვპირდებიან, რომ რაღაცაში ერთჯერადად გაგვიწევენ დახმარებას. კონვენციის შესახებ საერთოდ არა აქვთ წარმოდგენა, ვეხუმრე კიდეც კარცერ-ლუქსი უნდა გავაკეთოთ და ყველას ძალით წაგაკითხოთ კონვენციათქო“ (საჩხერე)

„მე დავდივარ შეხვედრებზე კი არა თვითონ ვარ საარჩევნო შტაბში დაკავებული. ჩვენ ძალიან გვეხმარება ადგილოვრივი დეპუტატი. ხშირად მოდის ჩვენს ცენტრში და კითხულობს ჩვენს ამბებს, გვეხმარება მატერიალურრადაც და აქ ყველას უყვარს“ (ოზურგეთი)

“მე თავად ვიყრიდი კენჭს. შეხვედრებიც მქონდა ამომრჩეველთან და გეტყვი ჩემს გამოცდილებას. საზოგადოება ასეთი ტიპის ურთიერთობისთვიის ჯერ მზად არ არის, კენჭს იყრიდეს ქალი და ისიც ეთლით მოსარგებლე? პირველი რაც შეხვედრაზე ამოვიკითხე, მაინც ის იყო, რომ „მიხედე ჯავმრთელობას და ნუ იწვალებ თავს პოლიტიკაში“ (ზუგდიდი)

„ძალიან კარგია ახლა შესაძლებლობა რომ არსებობს საინიციატივო ჯგუფებმა წარადგინონ საკუთარი კანდიდატი, ეს ერთგვარი სტიმულია, რომ მაგალითად შშმ პირემბა, ქალთა ორგანიზაციებმა წარადგინონ თვითმმართველობის არჩევნებში კანდიდატი, მაგრამ კარგად მოგეხსენებათ, რომ საარჩევნო კამპანიას თანხებიც სჭირდება, ალბათ აქ უნდა დადგეს მათი დაფინანსების საკითხიც და ცესკომ უნდა დაიწყოს ამ მიმართულებით მუშაობა“ (ზუგდიდი)


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

როგორც დიაგრამაზე ჩანს, იმ ადამიანთა 43% ვინც დასწრებია წინასაარჩევნო შეხვედრას, თვლის, რომ იქ მოსმენილი ინფორმაცია საკმარისი არ არის არჩევანის გასაკეთებლად.

დიაგრამა **25**. იყო თუ არა საკმარისი თქვენთვის არჩევანის გასაკეთებლად, წინასაარჩევნო შეხვედრისას მოსმენილი ინფორმაცია




მათ შორის ვინც არ დასწრებია წინასაარჩევნო შეხვედრებს, (276 რესპონდენტი), უმეტესობა ამის მიზეზად ფიზიკურ გარემოსა ასახელებს, 27% თვლის, რომ ასეთ შეხვედრებს აზრი არა აქვს, ხოლო 19.6%-ს ასეთი შხვედრის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონია. როგორც ვხედავთ აქაც გამოიკვეთა სამი ძირითადი ფაქტორი, რომელიც აფერხებს შშმპ-თა ჩართულობის გაზრდას: ფიზიკური გარემო, პასიური მოქალაქეობრივი პოზიცია და არაინფორმირებულობა.

დიაგრამა **26**. რატომ არ დასწრებიხართ რომელიმე პარტიის ან დამოუკიდებელი კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრას



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.




## უფლებები

რაოდენობრივი კვლევის მიხედვით 62,8% რესპონდენტთა აზრით შშმ-თა საარჩევნო ხმის უფლება დაცულია. გამოკითხულთა 20% თვლის, რომ არ არის დაცული, ხოლო 15%-ს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა.

დიაგრამა 27. როგორ ფიქრობთ, დაცულია თუ არა ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები შშმ ადამიანების საარჩევნო ხმის უფლება






პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

მცირე განსხვავებები დაფიქსირდა სტატუსის მიხედვით, კერძოდ ყრუ და სმენადაქვეითებულ რესპონდენტების უფრო მცირე რაოდენობას მიაჩნია, რომ დაცულია საარჩევნო ხმის უფლება, თუმცა ეს მონაცემი მაინც მაღალია და 57.1%-ს შეადგენს. გარდა ამისა ყრუ და სმენადაქვეითებული ამომრჩევლების მეოთხედზე ოდნავ მეტს 25,7% გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს აღნიშნული ჯგუფის ნაკლებინფორმირებულობას სხვა ჯგუფებთან შედარებით.

ცხრილი **17.** როგორ ფიქრობთ, დაცულია თუ არა ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები შშმ ადამიანების საარჩევნო ხმის უფლება - სტატუსის ჭრილი

| | ეტლით მოსარგებლე | | უსინათლო და მცირედმხედველი | | ყრუ და სმენადაქვეითებული | | სხვა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | % | N | % | N | % | N | % | N |
| დიახ | 65,6 | 107 | 66,9 | 85 | 57,1 | 40 | 47,5 | 19 |
| არა | 19,6 | 32 | 18,9 | 24 | 15,7 | 11 | 32,5 | 13 |
| უარი პასუხზე | 2,5 | 4 | 2,4 | 3 | 1,4 | 1 | 2,5 | 1 |
| არ ვიცი.მ.პ.გ. | 12,3 | 20 | 11,8 | 15 | 25,7 | 18 | 17,5 | 7 |
| სულ | 100 | 163 | 100 | 127 | 100 | 70 | 100 | 40 |

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები თბილისსა და რეგიონს შორის არ დაფიქსირებულა.

ცხრილი **18.** როგორ ფიქრობთ, დაცულია თუ არა ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები შშმ ადამიანების საარჩევნო ხმის უფლება - თბილისის და რეგიონის ჭრილი

| | თბილისი | | რეგიონი | |
|---|---|---|---|---|
| | % | N | % | N |
| დიახ | 65,8 | 106 | 60,7 | 145 |
| არა | 17,4 | 28 | 21,8 | 52 |
| უარი პასუხზე | 1,2 | 2 | 2,9 | 7 |
| არ ვიცი.მ.პ.გ. | 15,5 | 25 | 14,6 | 35 |
| სულ: | 100 | 161 | 100 | 239 |

რესპონდენტთა 61,8% ეთანხმება მოსაზრებას, იმის შესახებ რომ საქართველოს ხელისუფლება სამართლიანად ექცევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. 28,8% კი ამ აზრს არ ემხრობა. თუმცა ამ აზრს სრულიად რესპონდენტთა მესამედზე ნაკლები ემხრობა. რესპონდენტა დანარჩენ ნაწილს გარკვეული პრეტენზიები აქვს სახელმწიფოსთან. რაც კარგად ჩანს მაგალითად რესპონდენტების შესახებ მოკლე ჩანაწერებში. დანართი #5-ში.

დიაგრამა **28.** რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით აზრს, რომ საქართველოს ხელისუფლება სამართლიანად ექცევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს.



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.




სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები დაფიქსირდა, როგორც სტატუსის[22], ასევე თბილის-რეგიონი ჭრილში. როგორც აღმოჩნდა სმენადაქვეითებული რესპონდენტები ყველზე მეტად არ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ საქართველოს ხელისუფლება შშმ პირებს სამართლიანად ექცევა. როგორც ცხრილიდან #20 ჩანს დედაქალაქის რესპონდენტები უფრო ემხრობიან მოსაზრებას, რომ სახელმწიფო მათ სამართლიანად ექცევა, ვიდრე რეგიონის რესპონდენტები, რაც სავარაუდოდ გამოწვეულია იმით, რომ რეგიონში დედაქალაქთან შედარებით ნაკლებად ხელმისაწვდომია გარემო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებითვის.

ცხრილი 19. რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით აზრს, რომ საქართველოს ხელისუფლება სამართლიანად ექცევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს - სტატუსის ჭრილი

| | ეტლით მოსარგებლე | | უსინათლო და მცირედმხედველი | | ყრუ სმენადაქვეითებული | | სხვა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | % | N | % | N | % | N | % | N |
| სრულად ვეთანხმები | 38,0 | 62 | 36,2 | 46 | 2,9 | 2 | 30,0 | 12 |
| ძირითადად ვეთანხმები | 27,6 | 45 | 36,2 | 46 | 32,9 | 23 | 27,5 | 11 |
| ძირითადად არ ვეთანხმები | 22,1 | 36 | 21,3 | 27 | 42,9 | 30 | 22,5 | 9 |
| საერთოდ არ ვეთანხმები | 4,9 | 8 | | | 5,7 | 4 | 2,5 | 1 |
| უარი პასუხზე | 2,5 | 4 | 1,6 | 2 | 1,4 | 1 | 7,5 | 3 |
| არ ვიცი | 4,9 | 8 | 4,7 | 6 | 14,3 | 10 | 10,0 | 4 |
| სულ | 100 | 163 | 100 | 127 | 100 | 70 | 100 | 40 |

[22] ANOVA Between Groups, Sig.=0.000, Independent Samples Test, Sig.=0.000



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

ცხრილი 20. რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით აზრს, რომ საქართველოს ხელისუფლება სამართლიანად ექცევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს - დედაქალაქის და რეგიონის ჭრილი

| | თბილისი | | რეგიონები | |
|---|---|---|---|---|
| | % | N | % | N |
| სრულად ვეთანხმები | 48,4 | 78 | 18,4 | 44 |
| ძირითადად ვეთანხმები | 20,5 | 33 | 38,5 | 92 |
| ძირითადად არ ვეთანხმები | 22,4 | 36 | 27,6 | 66 |
| საერთოდ არ ვეთანხმები | ,6 | 1 | 5,0 | 12 |
| უარი პასუხზე | 6,2 | 3 | 2,9 | 7 |
| არ ვიცი | 1,9 | 10 | 7,5 | 18 |
| სულ: | 100 | 161 | 100 | 239 |

ყველაზე ნაკლებად რესპონდენტები, ფინანსური კომპანიების წარმომადგენლებს ენდობიან, ხოლო ყველაზე მეტად ექიმებს. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობა 5 ბალიან შკალაზე 3,5 ქულას შეადგენს, რაც საშუალოზე მაღალი მაჩვენებელია. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რესპონდენტები ექიმების შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ენდობიან.

დიაგრამა 29. რამდენად ენდობით ქვემოთ ჩამოთვლილ ადამიანებს, რომ ისინი თავისი სამუშაოს შესრულების დროს, პატიოსნად მოექცევიან თქვენნაირ ადამიანს






პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

სტატისტიკურად მნიშვნელონვანი განსხვავებები დაფიქსირდა სხვადასხვა ჯგუფების პასუხებს შორის. კერძოდ ყრუ და სმენადაქვეითებული რესპონდენტები, უფრო მეტად ენდობიან ექიმებს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ვიდრე სხვა ჯგუფის რესპონდენტები.

ცხრილი 21. რამდენად ენდობით ქვემოთ ჩამოთვლილ ადამიანებს, რომ ისინი თავისი სამუშაოს შესრულების დროს, პატიოსნად მოექცევიან თქვენნაირ ადამიანს სტატუსის ჭრილი

| | ეტლით მოსარგებლე | უსინათლო და მცირედმხედველი | ყრუ და სმენადაქვეითებული | სხვა |
|---|---|---|---|---|
| მშენებლები, სანტექნიკოსები, მანქანის ხელოსნები, და სხვა ხელოსნები | 3,40 | 3,82 | 3,50 | 3,97 |
| ფინანსური კომპანიების წარმომადგენლები, როგორებიცაა ბანკები, მიკროსაფინანსო და სადაზღვევო კომპანიები | 3,12 | 3,05 | 3,56 | 3,60 |
| კერძო სექტორში მომუშავე პირები | 3,18 | 3,27 | 3,61 | 3,70 |
| საჯარო მოხელეები | 3,08 | 3,12 | 3,64 | 3,46 |
| საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები | 3,54 | 3,27 | 3,94 | 3,47 |
| არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები | 3,59 | 3,43 | 4,08 | 4,09 |
| სოციალური მუშაკები | 3,39 | 3,20 | 3,73 | 3,42 |
| ექიმები | 3,66 | 3,70 | 4,33 | 3,62 |

საშუალოებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა თბილისისა და რეგიონის რესპონდენტთა პასუხებს შორის არ დაფიქსირებულა

ცხრილი 22. რამდენად ენდობით ქვემოთ ჩამოთვლილ ადამიანებს, რომ ისინი თავისი სამუშაოს შესრულების დროს, პატიოსნად მოექცევიან თქვენნაირ ადამიანს თბილისი რეგიონის ჭრილი

| | თბილისი | რეგიონი |
|---|---|---|
| მშენებლები, სანტექნიკოსები, მანქანის ხელოსნები, და სხვა ხელოსნები. | 3,43 | 3,71 |
| ფინანსური კომპანიების წარმომადგენლები, როგორებიცაა ბანკები, მიკროსაფინანსო და სადაზღვევო კომპანიები | 3,16 | 3,25 |
| კერძო სექტორში მომუშავე პირები. | 3,22 | 3,42 |
| საჯარო მოხელეები | 3,05 | 3,32 |
| საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები | 3,38 | 3,59 |
| არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები | 3,68 | 3,73 |
| სოციალური მუშაკები | 3,34 | 3,41 |
| ექიმები | 3,91 | 3,68 |



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

რესპონდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ ქვეყანაში მცხოვრებ ისეთ ადამიანებს, როგორიც თავად არიან, ღიად შეუძლიათ თქვან რასაც ფიქრობენ.

დიაგრამა 30. როგორ ფიქრობთ, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ თქვენნაირ ადამიანებს აქვთ თუ არა უფლება, რომ ღიად თქვან, რასაც ფიქრობენ




ცხრილი 23. როგორ ფიქრობთ, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ თქვენნაირ ადამიანებს აქვთ თუ არა უფლება, რომ ღიად თქვან, რასაც ფიქრობენ - სტატუსის ჭრილი

| | ეტლით მოსაგრებლე | | უსინათლო და მცირედმხედველი | | ყრუ და სმენადაქვეითებული | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | % | N | % | N | % | N |
| დიახ | 81.6 | 133 | 82.7 | 105 | 71.4 | 50 |
| არა | 11.7 | 19 | 10.2 | 13 | 15.7 | 11 |
| უარი პასუხზე | .6 | 1 | | | | |
| არ ვიცი/მ.პ.გ | 6.1 | 10 | 7.1 | 9 | 12.9 | 9 |

კვლევის ერთ-ერთი საკითხი იყო დაგვედგინა, როგორ აფასებენ შშმ პირები თუ რამდედან დაცულია მათი უფლებები ქვეყანაში. როგორც შედეგებმა აჩვენა, მთლიანობაში რესპონდენტები თვლიან, რომ ყველაზე ნაკლებად მათი შრომის უფლებაა დაცული, ხოლო ყველზე მეტად საცხოვრებლისა და ოჯახის პატივისცემის უფლება. უფლებების დაცვის კუთხით რესპონდენტთა შეფასებები განსხვავდება ჯგუფების მიხედვით და განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

დიაგრამა 31. როგორ ფიქრობთ, დაცულია თუ არა ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები თქვენნაირი ადამიანების ქვემოთჩამოთვლილი უფლებები.



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.




დიაგრამა 32.  როგორ ფიქრობთ, დაცულია თუ არა  ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები თქვენნაირი



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

ადამიანების ქვემოთჩამოთვლილი უფლებები., პროცენტული განაწილება




შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ შრომითი ურთიერთობში რესპონდენტთა აზრით ყველაზე ნაკლებადაა დაცული უფლებები. შესაბამისად გამოკითხულთა 71,5% თვლის, რომ



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლება არ არის დაცული იმუშაონ შრომის ჩვეულებრივი პირობების საწარმოებში. 80.6% თვლის, რომ სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები შშმ პირებს არ უქმნიან პირობებს საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობებით, ტრანსპორტითა და სატრანსპორტო კომუნიკაციებით, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობისათვის, თავისუფალი ორიენტაციისა და გადაადგილებისათვის.

**დიაგრამა 33.** ასახავს თუ არა ქვემოთჩამოთვლილი წინადადებები ჩვენს ქვეყანაში შშმპ-თა მიმართ არსებულ დამოკიდებულებებს






პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

სტატისტიკურად მნიშვნელოვანია განსხვავებები სტატუსისა და თბილისი-რეგიონის მიხედვით. თბილისში გამოკიხული რესპონდები ნაკლებად ეთანხმებიან ქვემოთჩამოთვლილ ფრაზების უმეტესობას.

ცხრილი 24. ასახავს თუ არა ქვემოთჩამოთვლილი წინადადებები ჩვენს ქვეყანაში შშმპ-თა მიმართ არსებულ დამოკიდებულებებს სტატუსის ჭრილი

| | ეტლით მოსარგებლე | | უსინათლო და მცირედმხედველი | | ყრუ და სმენადაქვეითებული | | სხვა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | კი | არა | კი | არა | კი | არა | კი | არა |
| | % | % | % | % | % | % | % | % |
| სახელმწიფო უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ დაცვას და უქმნის მათ საჭირო პირობებს ინდივიდუალური განვითარების, შემოქმედებითი და საწარმოო შესაძლებლობების რეალიზაციისათვის | 27,2 | 72,8 | 21,3 | 78,7 | 39,1 | 60,9 | 22,5 | 77,5 |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა უზრუნველყოფილია სასამართლო ან კანონით გათვალისწინებული სხვა წესით | 61,6 | 38,4 | 54,5 | 45,5 | 76,5 | 23,5 | 43,6 | 56,4 |
| სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები შშმ პირებს უქმნიან პირობებს საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობებით, ტრანსპორტითა და სატრანსპორტო კომუნიკაციებით, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობისათვის, თავისუფალი ორიენტაციისა და გადაადგილებისათვის | 18,8 | 81,3 | 13,4 | 86,6 | 37,3 | 62,7 | 10,5 | 89,5 |
| სახელმწიფო უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო, პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციას | 25,9 | 74,1 | 29,1 | 70,9 | 53,7 | 46,3 | 38,5 | 61,5 |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სახელმწიფო უქმნის აუცილებელ პირობებს განათლებისა და პროფესიული მომზადებისათვის | 32,5 | 67,5 | 34,6 | 65,4 | 57,4 | 42,6 | 30,0 | 70,0 |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლება აქვთ იმუშაონ შრომის ჩვეულებრივი პირობების საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმის მიუხედავად | 34,0 | 66,0 | 21,3 | 78,7 | 22,1 | 77,9 | 41,0 | 59,0 |
| შრომით ურთიერთობაში აკრძალულია დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით | 67,3 | 32,7 | 63,4 | 36,6 | 42,6 | 57,4 | 74,4 | 25,6 |



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

ცხრილი 25. . ასახავს თუ არა ქვემოთჩამოთვლილი წინადადებები ჩვენს ქვეყანაში შშმპ-თა მიმართ არსებულ დამოკიდებულებებს - თბილისი რეგიონის ჭრილი[23]

| | თბილისი | | რეგიონი | |
|---|---|---|---|---|
| | კი | არა | კი | არა |
| | % | % | % | % |
| სახელმწიფო უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ დაცვას და უქმნის მათ საჭირო პირობებს ინდივიდუალური განვითარების, შემოქმედებითი და საწარმოო შესაძლებლობების რეალიზაციისათვის | 20,0 | 80,0 | 31,5 | 68,5 |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა უზრუნველყოფილია სასამართლო ან კანონით გათვალისწინებული სხვა წესით | 53,4 | 46,6 | 64,4 | 35,6 |
| სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები შშმ პირებს უქმნიან პირობებს საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობებით, ტრანსპორტითა და სატრანსპორტო კომუნიკაციებით, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობისათვის, თავისუფალი ორიენტაციისა და გადაადგილებისათვის | 12,0 | 88,0 | 24,4 | 75,6 |
| სახელმწიფო უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო, პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციას | 26,6 | 73,4 | 37,1 | 62,9 |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სახელმწიფო უქმნის აუცილებელ პირობებს განათლებისა და პროფესიული მომზადებისათვის | 40,8 | 59,2 | 34,9 | 65,1 |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლება აქვთ იმუშაონ შრომის ჩვეულებრივი პირობების საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმის მიუხედავად | 14,2 | 85,8 | 37,8 | 62,2 |
| შრომით ურთიერთობაში აკრძალულია დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით | 45,6 | 54,4 | 72,9 | 27,1 |

[23] t-test for Equality of Means Sig. (2-tailed)<0.05



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

## საზოგადოებრივი ღირებულებები

კვლევის რაოდენობირივ ნაწილში არ იყო გათვალისწინებული გვეკვლია თუ რას ფიქრობენ შშმ პირები იმ ატიტუდების შესახებ, რომელც არსებობს შშმპ-თა მიმართ საზოგადოების მხრიდან. თუმცა ფოკუს-ჯგუფებზე აქტიურად მსჯელობდნენ მონაწილეები საკითხზე. მათი აზრით, ყველაზე მეტად, საზოგადოების დამოკიდებულებები უშლის ხელს შშმ-თა ინტეგრაციას საზოგადოებაში, რადგან შშმ პირები სტიგმატიზირებულები არიან და მათ არ განიხილავენ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ნაწილმა კარგად იცის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ადექვატურად უნდა მოექცეს უმეტეს შემთხვევაში გადამეტებულ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენენ მათ მიმართ, რაც ისეთივე შეურაცხმყოფელია, როგორც დაცინვა ან მითითება. ეს კარგად იგრძნობა საარჩევნო უბანზე:

> „რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა, როდესაც საარჩენო უბანზე მივსულვარ და გამიგონია: „ბრმა მოდის გამოატარეთ, ურიგოდ გამოუშვით“ ყველას შეუძლია მოვიდეს, ხელი მოგკიდოს, თითქოს გეხმარებიან, მაგრამ ვერ ხვდებიან, რომ ამით უფრო მეტად გაგდებენ უხერხულ მდგომარეობაში. პირველ რიგში საზოგადოებამ უნდა ისწავლოს ჩვენი პატივისცემა“ (თბილისი)

> „საზოგადოება ჯერ ვერ მიეჩვია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან ურთიერთობას, თუნდაც სკოლები ავიღოთ, ძალიან ბევრს სკოლაში მშობლები წინააღმდეგნი არიასმ მათმა შვილმა შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვთან ერთად ისწავლოს“ (მარნეული)

> „არ გვიცნობს საზოგადოება, ჩვენც მხოლოდ ჩვენნაირებთან გვაქვს ურთიერთობა, ხალხს გონია, რომ ჩვენ გიჟები ვართ, იმიტომ, რომ ვერ ვლაპარაკობთ, ეს ძალიან ცუდია“ (თბილისი)

> „ვიცი, რომ საარჩევნო კომიის წევრებს ტრენინგები უტარდებათ როგორ უნდა მოიქცნენ შშმ ამომრჩეველთან, მაგრამ ვფიქრობ თვითონ შშმ-მ უნდა ჩაურაროს ტრენინგები მათ, რადგან ჩვენ უკეთსად ვიცით, როგორ გვჭირდება მოქცევა“ (თბილისი)

> „ჩვენ ვეძებთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს სოფელ-სოფელ, კარგია, რომ ინტერნეტი არსებობს და ვისაც აქვს საშუალება და ინტერნეტთან წვდომა ერთმანეთს ვირტუალურად ვპოულობთ და შემდეგ ვცდილობთ გარეთ გამოვიყვანოთ. რატომღაც მშობლებს, ახლობლებს კიდევ არ ესმით რატომ უნდა შეუწყონ ხელი მათ შშ ახლობლებს, რომ მოახდინონ ინტეგრაცია. ამ მიმართულებით ნაბიჯებია გადასადგმელი. მაგრამ აუცილებელია თვითონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები ჩაერთონ სამუშაო ჯგუფებში, სადაც ჩვენი საკითხების გადაწყვეტა იგეგმება“ (ბათუმი)



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

**„ბევრი მალავს საკუთარ შვილს. ჩვენ ვნახეთ ახალგაზრდა გოგნა, რომელსაც იმის გამო, რომ დედას არ უნდოდა ეტლით ვინმეს ენახა, ნაწოლები ჰქონდა გაჩენილი უმოძრაობით“** (გორი)

ფოკუს-ჯგუფზე გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით თუ არ იქნება შშმპ-თა აქტივობის მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან, თავად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ვერ შეძლებენ თვითორგანიზებას და სიტუაციის შეცვლას. საჭიროა, სახელმწიფომ შექმნას პირობები, გააუმჯობესოს გარემო, გახადოს ხელმისაწვდომი ყველა სერვისი, რომელსაც დღეს ვერ იღებს საზოგადოების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ნაწილი. მხოლოდ ამ ღონისძიებების შემდეგ იქნება შესაძლებელი საზოგადოების ატიტუდები შშმპ-თა მიმართ გახდეს ადექვატური.

გამოთქმულ მოსაზრებებს ადასტურებს სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიში, სადაც სპეციალური თავი ეთმობა შშმპ-თა მდგომარეობას *„საქართველოში საზოგადოებრივი ტრანსპორტი, საცხოვრებელი სახლები, სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებები, სახელმწიფო უწყებათა შენობები, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები, ქუჩები, სკვერები, შენობა-ნაგებობების გარე და შიგა ინფრასტრუქტურა არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების მიხედვით. არ ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომი ფიზიკური გარემოს სტანდარტების გათვალისწინება პროექტირებისა და მშენებლობის პროცესში. პრობლემა ეხება როგორც ძველი, ისე რეაბილიტირებული და ახალი შენობა-ნაგებობების ინფრასტრუქტურას. არსებული ბარიერების გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მცირე გამონაკლისის გარდა, ვერ ახერხებენ საცხოვრებელი სახლებიდან დამოუკიდებლად გადაადგილებას.”* ნათქვანია სახალხო დამცველის ანგარიშში. *„ჭიანურდება დედაქალაქის სატრანსპორტო ქსელის უზრუნველყოფა ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებებით. ამ მხრივ რთული მდგომარეობაა რეგიონებში. გარემოს ხელმისაწვდომობის პრობლემა ერთ-ერთ გადაულახავ ზღვარს აწესებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომისა და დასაქმების უფლების დადებითად გადაჭრის გზაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ქვეყნის მასშტაბით არსებული არაადაპტირებული საარჩევნო გარემო (საარჩევნო უბნების ინფრასტრუქტურა) ხელის შემშლელი ფაქტორია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ მნიშვნელოვანი პოლიტიკური უფლების-არჩევნებში მონაწილეობის განხორციელების დროს.“*



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს პროექტები და აქტივობები, რომელიც ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ჩაერთონ საარჩევნო პროცესებში უფრო აქტიურად, გამოკითხულთა მხოლოდ 39%-ს სმენია ასეთი ღონისძიებების შესახებ. ხოლო 3%-ს მიუღია მონაწილეობა თავად ამ ღონისძიებებში. სამწუხაროდ ჩვენ ამ კვლევის ფარგლებში არ შეგვიძლია ვივარაუდოდ, რამდენად გაიზარდა ამ ტიპის ღონისძიებებში ჩართულობის ხარისხი და ინფორმირებულობის დონე, თუმცა შესაძლებელია ვივარაუდოდ, რომ არჩევნებში შშმპ-თა მონაწილეობის ზრდა განპირობებულია ამ ტიპის აქტივობებით.

დიაგრამა 34. გსმენიათ თუ არა რაიმე ღონისძიებაზე რომელიც მიმართული იყო შშმ პირების არჩევნებში მონაწილეობის გააქტიურებაზე (შეხვედრა, სატელევიზიო გადაცემა, კლიპი და ა.შ.




საინტერესოა აღინიშნოს, რომ თავად რესპონდენტებს შშმპ-თა საარჩევნო უფლების განსახორციელებლად ყველაზე მეტად „შშმ პირების გააქტიურება და საზოგადოებრივ პროცესებში მათი ჩართვის ხელშწყობა“ ესაჭიროებათ ფიზიკური გარემოს ადაპტაციასთან ერთად.

დიაგრამა 35. შშმპ-თა საარჩევნო უფლების განსახორციელებლად ყველაზე მეტად რა არის საჭირო






პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

როგორც მოსალოდნელი იყო, რეგიონის რესპონდენტების მეტი ნაწილი 54,7% ამბობს, რომ საჭიროა შშმ პირების გააქტიურება და საზოგადოებრივ პროცესებში მათი ჩართვის ხელშწყობა, ვიდრე თბილისის რესპონდენტებისა (31,4%)

დიაგრამა 36. შშმპ-თა საარჩევნო უფლების განსახორციელებლად ყველაზე მეტად რა არის საჭირო რეგიონის ჭრილი

| | თბილისი | რეგიონი |
|---|---|---|
| | % შემთხვევებიდან | % შემთხვევებიდან |
| საარჩევნო უბანზე ფიზიკური გარემოს ადაპტაცია | 45,3% | 40,2% |
| საარჩევნო უბნამდე მისასვლელი გზის ადაპტაცია | 42,1% | 26,1% |
| არჩევნების და საარჩევნო პროცესის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა | 26,4% | 15,0% |
| საზოგადოების დამოკიდებულებების შეცვლა შშმ პირთა მიმართ | 21,4% | 33,8% |
| შშმ პირების გააქტიურება და საზოგადოებრივ პროცესებში მათი ჩართვის ხელშწყობა | 31,4% | 54,7% |

## ეკონომიკა

გამოკითხულთა ნახევარზე ოდნავ ნაკლები 44,3% თვლის, რომ მისი ფინანსური მდგომარეობა მძიმე ან უკიდურესად მძიმეა. 26,3% მიიჩნევს, რომ მისი ფინანსური შესაძლებლობები დამაკმაყოფილებელია და შუძლია ყოველდღიური საჭიროებები ნაწილობრივ დაკმაყოფილება, ხოლო 29% -ს შუძლია დაიკმაყოფილოს მისი ყოველდღიური საჭიროებები. მხოლოდ 1-მა რესპონდენტთა აღნიშნა, რომ მას შუძლია ფულის დახარჯვა თავისუფლად.

დიაგრამა 37. თქვენი შეფასებით როგორია თქვენი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა და შემოსავლები






პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

აღსანიშნავია, რომ თბილისისა და რეგიონის რესპონდენტების მიერ საკუთარი ფინანსური შესაძლებლობების აღქმა განსხვავდება. თბილისის რესპონდენტების გაცილებით მეტი წილი ამბობს, რომ მისი ეკონომიკური მდგომარეობა ცუდი ან ძალიან ცუდია - 63,2%, ვიდრე რეგიონის რესპონდენტებისა - 30,1%

ცხრილი 26. თქვენი შეფასებით როგორია თქვენი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა და შემოსავლები - თბილისი რეგიონის ჭრილი[24]

| | თბილისი | | რეგიონები | |
|---|---|---|---|---|
| | % | N | % | N |
| ძალიან ცუდი – არსებული შემოსავლით ვერ ვუზრუნველყოფთ მინიმალურ მოთხოვნილებას კვებაზე | 21,1 | 34 | 5,9 | 14 |
| ცუდი –შემოსავალი (აღებული მოსავალი) მხოლოდ კვებაზე გვყოფნის | 44,1 | 71 | 24,3 | 58 |
| დამაკმაყოფილებელი –ჩვენ შეგვიძლია ჩვენი ყოველდღიური საჭიროებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება | 19,9 | 32 | 30,5 | 73 |
| საშუალო –შეგვიძლია ჩვენი ყოველდღიური ფინანსური საჭიროებების დაკმაყოფილება | 14,3 | 23 | 38,9 | 93 |
| კარგი - შეგვიძლია ფულის დახარჯვა თავისუფლად | 0 | 0 | ,4 | 1 |
| უარი | ,6 | 1 | | |
| სულ: | 100 | 161 | 100 | 239 |

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (59%) მომავალ ეკონომიკურ წინსვლას არ ელის და თვლის, რომ მისი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა მომავალი 12 თვის განმავლობაში იგივე დარჩება. ოპტიმისტურად მომავლის მიმართ რესპონდენთა 28%-ია განწყობილი.

ცხრილი 27. თქვენი შეფასებით, როგორ შეიცვალა თქვენი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გასული 12 თვის განმავლობაში




ცხრილი 28. თქვენი შეფასებით როგორ შეიცვლება თქვენი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა მომავალი 12 თვის განმავლობაში?




[24] t-test for Equality of Means Sig. (2-tailed)<0.05



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

რესპონდენტთა მეხუთედზე ოდნავ ნაკლები გასული წლის მანძილზე იღებდა სოციალურ დახმარებას, 13% წლის გარკვეულ მონაკვეთში, ხოლო 65,2% სოციალური დახმარება არ მიუღია. გამოკითხულთა ნახევარზე მეტს 53,3% უსარგებლია ჯანმრთლობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით და 90,9% თვლის, რომ მისთვის და მისი ოჯახისთვის ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით მიღებული მომსახურება ძალზე მნიშვნელოვანია.

**„2013 წლის თებერვლიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე გადასვლით მეტ-ნაკლებად გაუმჯობესდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო დაზღვევის პირობები. მოგეხსენებათ, აღნიშნულ პერიოდამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხოლოდ ნაწილი იყო დაზღვეული, რაც გარკვეულწილად დისკრიმინაციული სელექციის ნიშნებს ატარებდა. პროგრამამ მოიცვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ის კატეგორია, რომელიც მანამდე ვერ სარგებლობდა სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევით.“** [25]

## საინფორმაციო ველი

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა და არჩევნების შესახებ ინფორმაციას გამოკითხულთა უმეტესობა ტელევიზიიდან, ნათსავებისა და მეგობრებისგან და ინტერნეტის საშუალებით იღებს. ინფორმაციის წყაროებში ასევე დასახელდა გარე რეკლამა, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა. დიაგრამაზე #38 წარმოდგენილია ყველა დასახელებული შემთხვევა.

დიაგრამა **38**. საიდან იღებთ ინფორმაციას არჩევნებისა და ქვეყანაში მომდინარე მოვლენების შესახებ




ყველაზე ხშირად სატელევიზიო არხებს შორის ტელეიმედს უყურებენ რესპონდენტები. ყველაზე ყურებადი ქართული სატელევიზიო არხების ათეული მოცემულია დიაგრამაზე #39.

[25] http://www.parliament.ge/ge/announcements-all/saqartvelos-saaxalxo-damcvelis-angarishi-2013.page



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

დიაგრამა 39. დაასახელეთ სამი ქართული სატელევიზიო არხი, რომელსაც ყველაზე ხშირად უყურებთ




აუცილებელი აღინიშნოს, რომ ყრუ და სმენადაქვეითებულ რესპონდენტებში საზოგადოებრივ მაუწყებელს 2.5-ჯერ (68,6%) მეტი მაყურებელი ჰყავს, ვიდრე სხვა ჯგუფებში უსინათლო (25%), და ეტლით მოსარგებლე (28%) რესპონდენტებს შორის.

გამოკითხულთა 70,4% საერთოდ არ უსმენს რადიოს.[26] დიაგრამაზე გამოსახულია პასუხები, რომელიც გაგვცეს რესპონდენტებმა კითხვაზე.

დიაგრამა 40. დაასახელეთ სამი რადიო არხი, რომელსაც ყველაზე ხშირად უსმენთ

[26] მონაცემები დათვლილია ყრუ და სმენადაქვეითბული რესპონდენტების გარეშე



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

საქართველოს ინსტიტუციონალური განვითარების ცენტრი




გამოკითხულთა 77%-მა აღნიშნა, რომ მას ინტერნეტზე წვდომა არა აქვს. მათ შორის ვინც სარგებლობს ინტერნეტით, ყველაზე პოპულარული საიტი გარდა facebook.com-ისა Myvideo.ge, youtube.com და odnoklassniki.ru არის. საინტერესოა, რომ ინტერნეტ საიტების ჩამონათვალში, რომელსაც უფრო ხშირად იყენებენ რესპონდენტები ბევრია საინფორმაციო სააგენტოები (psnews.ge, news.ge, pia.ge, presa.ge, interpressnews.ge, gurianews.com, netgazeti.ge) და სამთავრობო სტრუქტურების ვებგვერდები (parliament.ge, justice.gov.ge, matsne.gov.ge,).

როგორც დიაგრამა #35-დან ჩანს, რესპონდენტთა 10%-ზე მეტი ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა და არჩევნების შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციებისგან იღებს. ჩვენ ვეკითხებოდით, თუ რომელი არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ სმენიათ. რესპონდენტთა 2/3 - ს 66% არ სმენია არც ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის შესახებ. დანარჩენმა როგორც მოსალოდნელი იყო უმეტეს შემთხვევაში დაასახელა შშმ-თა პრობლემებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციები, თუმცა ამავდროულად დასახელდა სხვა ორგანიზაციებიც. ცხრილში მოცემულია ჩამონათვალი იმ ორგანიზაციებისა, რომელიც დასახელდა რესპონდენტების მიერ.

**ცხრილი 29. დაასახელეთ არასმათავრობო ორგანიზაციია, რომლისგანაც იღბთ ყველაზე ხშირად ინფორმაციას**

| ორგანიზაციის დასახელება |
|---|
| ასოციაცია "დეა" |



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

| | |
|---|---|
| ასოციაცია ტოლერანტი | |
| აფხაზეთი | |
| ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია | |
| ახალგაზრდები სამოქალაქო ინტერესებისათვის | |
| ბავშვი, ოჯახი საზოგადოება | |
| ბორჯღალი | |
| განვითარებისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი "თაირისი" | |
| გორის ინვალიდთა კლუბი | |
| დემოკრატ მესხთა კავშირი | |
| ინვალიდთა ინტეგრაციისა და ხელოვნების განვითარების ასოციაცია "ჰანგი" | |
| კედეც - ქუთაისის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრი | |
| კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის | |
| მოძრაობა ხელმისაწვდომი გარემოსათვის | |
| პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის | |
| პირველი ნაბიჯი საქართველო | |
| სამართლიანი არჩევნები | |
| სამოქალაქო მონიტორინგისა და კვლევის ცენტრი | |
| საქართველოს ინვალიდთა ფედერაცია | |
| საქველმოქმედო ასოციაცია "მოწყალება" | |
| უსინათლოთა კავშირი | |
| ქალები რეგიონის განვითარებისთვის | |
| ქართლის დედა | |
| ქუთაისის საინფორმაციო ცენტრი | |
| ყრუთა კავშირი | |
| შშმ პირები ადვოკატირებისათვის | |
| ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის | |
| ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის | |
| არ გამიგია ასეთის შესახებ | 66% |


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

## დემოგრაფია

რაოდენობრივ კვლევაში თითქმის თანაბრად მიიღო მონაწილეობა ქალმა და მამაკაცმა რესპონდენტებმა.

დიაგრამა 41. რესპონდენტთა განაწილება სქესის მიხედვით




გამოკითხულთა საშუალო ასაკი 51 წელს შადგენს.

დიაგრამა 42. რესპონდენტთა განაწილება ასაკის მიხედვით






პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

გამოკითხულთა 40% უმუშვარია შშმპ-ს სტატუსით. მეოთხედი 25% პენსიონერია, 11 % მუდმივად დასაქმებულია კერძო, ან სახელმწიფო სექტორში. 6,3% თვითდასაქმებულია საკუთარ ბიზნესში ან პროფესიასთან დაკავშირებულ საქმიანობაში.

### დიაგრამა 43. დასაქმების სტატუსი




გამოკითხულთა მეოთხედს უმაღლესი განათლება აქვს ხოლო 14,8%-ს არასრული საშუალო განათლება.

### დიაგრამა 44. განათლება






პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

დიაგრამა 45. ოჯახური მდგომარეობა






პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

## ორგანიზაციების აღწერა, რომლებიც მუშაობენ შშმ-თა საკითხებზე

ორგანიზაციიები, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა კვლევაში, დაარსებულია 1926[27]-და 2013 წლის ჩათლით[28].

დიაგრამა 46. ორგანიზაციების დაარსების თარიღი




ორი ორგანიზაციის გარდა ყველას სამართლებრივი ფორმა კავშირია, მხოლოდ ორი ორგანიზაციაა დაფუძნებული, როგორც ფონდი. უმეტესობა ორგანიზაციები წევრობაზე დაფუძნებულია. წევრების საშუალო რიცხვი 1564-ია. წევრების მინიმალური რიცხვი 145, ხოლო მაქსიმალური 13665-ია.

მათი საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს: შშმპ-თა: უფლებების დაცვა, სამართლებრივი და სოციალური დაცვა, შშმპ გააქტიურება, მათი ჩართულობის უზრუნველყოფა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ცხრილი 30. საქმიანობის მიმართულებები

| საქმიანობის სფერო | რაოდენობა |
|---|---|
| შშმპ უფლებების დაცვა, სამართლებრივი და სოციალური დაცვა | 11 |
| შშმპ გააქტიურება, მათი ჩართულობის უზრუვლყოფა საზოგადოებრივ ცხოვრებაში | 5 |
| შშმ პირთა გამოვლენა და მათი შესაძლო შრომითი, სამედიცინო, ინტელექტუალური, სოციალურ-ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია | 4 |
| შშმ პირთა, სოციალურ-ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია სამართლებრივი და სოციალური დაცვა | 3 |

[27] საქარათველოს უსინათლოთა საზოგადოება
[28] იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების რიცხვი 18-ია, ამიტომ რაოდენობრივი მონაცემები წარმოდგენილი იქნება არა პროცენტული, არამედ რაოდენობრივი განაწილების მიხედვით



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

| | |
|---|---|
| ბავშვთა ზრუნვის სერვისების პროგრამა/დაცვა/დღის ცენტრით უზრუნველყოფა | 3 |
| შშმ ბავშვების დამოუკიდებლოიბის ხარისხის გაზრდა და საზოგადოებაში ჩართულობის უზრუნველყოფა | 3 |
| საზოგადოების ინფორმირებულობა შშმპ დაკავშირებით | 2 |
| სამოქალაქო განათლება | 2 |
| საზოგადოების ცნობიერების ამაღლება შშმპ-თა მიმართ | 1 |
| სკოლამდელი განათლების განვითარების პროგრამა | 1 |
| ჯანდაცვითი და სოციალური სახელმწიფო პროგრამების ეფექტური ფუნქციონირების ადვოკატირების პროგრამის განხორციელება | 1 |
| ბავშვთა და მშობელთა განათლების პროგრამა | 1 |
| სოციალური სოლიდარობის პროგრამა | 1 |
| შშმ ქალთა საკითხების ლობირება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე | 1 |
| შშმ ქალთა განათლება/სამოქალაქო განათლება | 1 |
| შშმ ქალთა სოციალური აქტივობის ამაღლება | 1 |
| შშმ პირთა უზრუნველყოფა დღის ცენტრით | 1 |
| შშმ პირთა ინფორმირებულობის გაზრდა | 1 |
| შშმ პირთა ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა | 1 |
| არტ თერაპია | 1 |
| სოციალური საწარმო | 1 |

კვლევაში მონაწილე ორგნიზაციების უმეტესობას (16 ორგანიზაცია) აქვს მიმდინარე პროექტი და განხორციელებული აქვთ პროექტები დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით:

კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების დონორებს წარმადგენენ:

სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების რეფორმების და სწავლების ცენტრი, USAID, Oxfam, აშშ საელჩო, კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, PH international, World vision, UNAG, CoE, SIDA, ბრიტანეთის საბჭო, შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, თბილისის მერია, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები.

ცხრილი 31. განხორციელებული ორგანიზაციების რაოდენობა გრანტიორი ორგანიზაციების მიერ დაარსებიდან

| განხორციელებული პროექტები რაოდენობა | ორგანიზაციების რაოდენობა |
|---|---|
| 2-დან 5-მდე | 4 |
| 6-დან 10-მდე | 2 |
| 11-დან 30-მდე | 6 |
| 31დან-50მდე | 1 |
| 51-100-მდე | 1 |

გამოკითხული ორგანიზაციებიდან მხოლოდ ორ ორგანიზაციას არ ჰქონდა მიმდინარე პროექტი.



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების უმეტესობის, ბოლო სამი წლის ბიუჯეტი მერყეობს 100 000-დან 500 000 ლარამდე. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტების მოცულობა არამდგრადია, თუმცა მატების ტენდენცია არსებობს.

დიაგრამა 47 ბიუჯეტის დინამიკა -გამოკითხული ორგანიზაციები




გამოკითხული ორგანიზაციების უმეტესობას 66,7%-ს წყვეტა დაფინანსებაში არ ჰქონიათ, რაც ასევე მიუთითებს იმაზე, რომ ორგანიზაციებს აქვთ საშუალება მუდმივად მოიზიდონ ფონდები. რაც შეეხება ფონდების დივერსიფიკაციას, აქ თანაბრად არის წარმოდგენილი ორგანიზაციები, რომლებსაც დაფინანსების მხოლოდ ერთი წყარო აქვთ და ორგანიზაციები, რომელბსაც დაფინანსების მრავალფეროვანი წყაროები აქვთ.

ერთობლივი პროექტები არასამთავრობო ორგანიზაციებთან:

ორგნიზაციების უმეტესობას განხორციელებული აქვს ერთობლივი პროექტი სხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან

**მომავალი იწყება დღეს:** ქალი ბავშვი და სოციუმი: ანიმაციური ფილმები ბავშვებისათვის

**მომავალი იწყება დღეს:** რაიდმედი: შშმ პირთა პროფესიული ინტეგრაცია - უსინათლო მასაჟისტების სწავლება.

**მომავალი იწყება დღეს:** პოლონეთის უსინათლოთა კავშირი: დამოუკიდებლობა 2012- გარემოში ორიენტაციისა და რეაბილიტაციის სპეციალისტების მომზადება უსინათლოებთან და მცირედმხედველებთან სამუშაოდ.

**მომავალი იწყება დღეს:** უკრაინის, ქალაქ ლვოვის უსინათლოთა ასოციაცია. პოლონეთის, ქალაქ კრაკოვის Laions club: ევროპის უსინათლო მომღერლების ფესტივალი უკრაინასა და პოლონეთში



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

**ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი:** ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალი: თანაბარი შესაძლებლობები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

**ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი:** ,,ლევან მიქელაძის ფონდი'', ა/ო Youth2Georgia; ,,თანდოგომა'', ,,დემოკრატ მესხთა კავშირი'',თელავის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი'' The House'', ,,ახალქალაქის ახალგაზრდული ცენტრი'', ,,დმანისის ახალგაზრდული ცენტრი''. „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის'': ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში

**ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი:** World vision- საქართველო
ა/ო Youth2Georgia : ახალგაზრდების ინფორმირებულობა საკუთარი აზრის გამოხატვის და მოქმედებისთვის

**ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი:** ლატვია-საქართველოს თანამშრომლობის ფონდი საზოგადოებრივი კოლეჯი ,,იბერია": შშპ პირთა პროფესიული განათლების და დასაქმების საპილოტე პროგრამა.

**საქართველოს ინვალიდ ქალთა საერთაშორისო ასოციაცია:** ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია-დეა: გზა ინკლუზიისაკენ.
**საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაცია:** „ბავშვი, ოჯახი საზოგადოება: არცერთი მოსწავლე სკოლის გარეთ. ვორდ ვიჟენი: სკოლამდელი განათლება ყველა ბავშვს.

**საქართველოს უსინათლოთა კავშირი**: საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია. რეგიონული პრესის განვითარებისა და ურთიერთდახმარების ფონდი. პოლონეთის უსინათლოთა ასოციაცია: შშმ პირები ადამიანის უფლებათა დაცვის პროცესში/შშმ პირების შრომის უფლების რეალიზება.
**საქართველოს უსინათლოთა კავშირი**: აზერბაიჯანის უსინათლოთა საზოგადოება. სომხეთის უსინათლოთა საზოგადოება: ჭადრაკსა და შაშში საერთაშორისო ტურნირების ჩატარება სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მონაწილეობით.
**ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის:** - კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის: შშმ პირების საარჩევნო ხმის რეალიზება.

**ინვალიდთა კლუბი**-ქართლის დედა: მხარდაჭერა თანამშრომლობისთვის.

**ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება** : „სიდა"„მარდი": „კითხვა უკეთესი მომავლისთვის"

**ასოციაცია ,,ინვალიდთა კლუბი"**: -ქართლის დედა: მხარდაჭერა თანამშრომლობისთვის.

**ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია „დეა":**-კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის; ასოციაცია "ინვალიდთა კლუბი": საქართველოს ეტლების წარმოების ეროვნული ქსელი.

კვლევაში მონაწილეთაგან უმეტესი ორგანიზაცია არის რომელიმე კოალიციის წევრი ეს კოალიციებია:



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

1. კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის
2. "საქართველოს კოალიცია ბავშვებისა და ხალგაზრდების კეთილდღეობისათვის"
3. საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეგიონალური ქსელი
4. „კოალიცია შინ მოვლა საქართველოში"

*როგორც ვხედავთ ორგანიზაციებს აქვთ დადებითი გამოცდილება განახორციელონ ერთობლივი და კოალიციური პროექტები, რაც სამომავლო კონკურსებისთვის გასათვალისწინებელი გარემოებაა.*

## ადვოკატირების გამოცდილება

ორგანიზაციათა უმეტესობა ჩართულია ადვოკატირების პროცესში, ახდენს გარემოს ანალიზს, ახორციელებს კვლევებს, ურთიერთობს ადგილობრივ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებთან, მედიასთან, ქმნის კოალიციებს სხვა აო-ბთან, საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატივების მონაწილეა. კვლევის ფარგლებში ვთხოვდით აღეწერათ ადვოკატირების მაგალითები, რაც საშუალებას მოგვცემდა შეგვეფასებინა ადვოკატირების შესაძლებლობები.

ადვოკატირების დასახელებული მაგალითები.

> *„ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დააფინანსა პანდუსის გაკეთება ფერსათის საკვირაო სკოლისთვის, სადაც შშმ ბავშვებიც სწავლობენ." (ქუთაისი)*

> *„ღონისძიება ეხებოდა ეტლით მოსარგებლე შშმ პირთა უფლებების დაცვას ადაპტირებულ გარემოსთან მიმართებაში. განვახორციელეთ გარემოს კვლევა, გავაკეთეთ შედეგების პრეზენტაცია, შევიმუშავეთ კონკრეტული წინადადებები. ადგილობრივმა თვითმმართველობამ ბიუჯეტში შეიტანა მასზე დაქვემდებარებული ობიექტების, გზებისა და ტროტუარების შესაბამის სტანდარტებში მოყვანისთვის საჭირო თანხები, შემუშავებულია სამოქმედო გეგმა." (ზუგდიდი)*

> *„ორგანიზაციამ თავის საქმიანობის დასაწყისში გამოსცა ბროშურა „ინვალიდთა შეღავათები" რომლის მეშვეობითაც 500-მდე ბენეფიციარმა საკუთარ სახლში დაიდგა ტელეფონი." (თბილისი)*

> *„ქუჩებსა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე შემცირებულიყო კანონდარღვევით მსუბუქი ავტომობილების გაჩერება, მივმართე პარკინგის სამსახურს და ავტოტრანსპორტს, რის შედეგადაც მოწესრიგდა პროცესი." (ბათუმი)*

> *„: მეურვე დაკარგული ბენეფიციარის (დაუნის სინდრომის მქონე) უფლებების დაცვა." (თბილისი)*

> *„შშმ პირთა თემის ლოკალური მცირემასშტაბიანი გამოკითხვა, რომელიც ითვალისწინებდა შესაბამისი ასაკის თემის წარმომადგენლების ქცევისა და დამოკიდებულების განსაზღვრას, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირდებით. (თბილისი)*



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

*შედეგად – შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმაში , მუხლი VII. ჯანმრთელობის დაცვა, 2. შეზღუდული შესაძლებლობით განპირობებული ჯანმრთელობის მდგომარეობათა მართვის ნაწილში ავსახეთ –*

*2.3. რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე ცოდნის, შეხედულებების და ქცევის*

*კვლევა შესაბამისი ასაკის ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის.*

*2.4 რეპროდუქციული ჯანმრთელობის აუცილებელი ჩვევების სწავლება და სქესობრივი*

*განათლება შესაბამისი ასაკის და საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე*

*პირისათვის.“*

*„გაეროს ბავშვთა ფონდთან და სახალხო დამცველის ოფისთან თანამშრომლობით შეძლო სენაკის ბავშვთა პანსიონატში მცხოვრები 14 ბავშვის განათლების უფლების დაცვა-მათი ჩართვა ინკლუზიური განათლების სისტემაში.“*

*როგორც მაგალითებიდან ჩანს, ადვოკარირების წარმატებული მაგალითები მხოლოდ ერთეულ ორგანიზაციებთან გვხდება. მიუხედავად იმისა, რომ უმეტესობა ორგანიზაციების საქმიანობის მიმართულებას ადვოკატირება და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა წარმოადგენს, როგორც თავად ორგანიზაციები აღნიშნავენ ჯერ კიდევ სუსტია მათი შესაძლებლობები საკუთარი განახორციელონ კვლევაზე დაფუძნებული ფართომასშტაბიანი ადვოკატირების კამპანია, შესაბამისად და ამ მიმართულებით მათი ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითრება სამომავლოდ მნიშვნელოვანი იქნება.*

## ადამიანური რესურსები

არჩევნებში შშმპ-თა ჩართულობის გაზრდის კამპანიის განხორციელებას საკმაო რაოდენობის ადამიანური რესურსი სჭირდება, რასაც ყველა ორგანიზაცია ვერ შეძლებს. გამოკითხული ორგანიზაციებში საერთო ჯამში დასაქმებულია მუდმივად 205 ადამიანი, პროგრამებში დროებით 95, არაანაზღაურებად გუნდს წარმოადგენს 123 ადამიანი, ხოლო საერთო ჯამში გამოკითხულ ორგანიზაციებს 236 მოხალისე, ან სტაჟიორი ჰყავთ. ეს მონაცემები არ გულისხმობს იმას, რომ ყველა ორგანიზაცია ასეთი ადამიანური რესურსების მქონეა. გამოკითხული ორგანიზაციების უმეტესობა 10-25-მდე მუდმივანაზღაურებადი თანამშრომელი ჰყავს და 10-მე არაანაზღაურებადი მუდმივი სტაფი. მოხალისეების რაოდენობაც უმეტეს გამოკითხულ ორგანიზაციებში 50-მდეა. მხოლოდ ერთეულ ორგანიზაციებს აქვთ შესაძლებლობა ჰყავდეთ 50-ზე მეტი მუდმივანაზღაურებადი თანამშრომელი.

ცხრილი **32**. ადამიანური რესურსების განაწილება გამოკითხულ ორგანიზაციებში

| | Minimum | Maximum | Sum | Mean |
|---|---|---|---|---|



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| არაანაზღაურებადი გუნდი | 1 | 97 | 123 | 17.57 |
| მუდმივი შტატიანი ანაზღაურებადი თანამშრომელი | 4 | 131 | 205 | 34.17 |
| პროგრამებში დროებით დასაქმებული ანაზღაურებადი თანამშრომელი | 1 | 20 | 95 | 8.64 |
| მოხალისე / სტაჟიორი | 1 | 100 | 236 | 15.73 |

*დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ პროექტების დაფინანსებისას, აუცილებელია გავითვალისწინოთ ორგანიზაციის ადამიანური რესურსები და მათი დატვირთვის ხარისხი. ის ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ საკმარისი ადამინური რესურსი ან შეუძლიათ მოიზიდონ საჭიროების შემთხვევაში, მეტად ეფექტურები იქნებიან მასშტაბური საინფორმაციო კამპანიების განსახორციელებლად, თუმცა არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ არსებობს ისეთი ტიპის პროექტები, რომლებიც ნაკლებრესურსტევადია მაგალითად პროექტი მთლიანად აგებულია საინფორმაციო ტექნოლოგიებზე და მცირე რაოდენობის ადამიანური რესურსი სჭირება.*

## გარე ურთიერთობები (მედია, სახელმწიფო, სოციალური ქსელები, ბიზნესი)

სახელმწიფოსთან ურთიერთობის ფორმების კუთხით, შშმ პირთა პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციები, რომელთაც მიიღეს კვლევაში მონაწილეობა, მეტად აქტიურნი არიან. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის საზოგადოებრივი ორგანიზაციები აწვდიან სერვისს სამიზნე ჯგუფებს, რომელსაც აფინანსებს სახელმწიფო. (დღის ცენტრები ბავშვებისა და მოზრდილებისთვის).

ინფორმაციის მიწოდება სახლმწიფო სტრუქტურებისთვის თანამშრომლობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. თუმცა აუცილებელია აღინიშნოს, რომ უმეტეს ორგანიზაციებს სახელმწიფოსთან გრძელვადიანი თანამშრომლობა აქვთ და ახორციელებენ ერთობლივ პროექტებს და ჩართულები არიან ადვოკატირებისა და ლობირების კამპანიებში. ასევე სახელმწიფო ორგანიზაციები აფინენსებენ მათ პროექტებს, ღონისძიებებს და ა.შ.

ანალოგიური შეიძლება ითქვას მედიაზე, ორგანიზაციათა უმეტესობა აქტიურად იყენებს მედიასაშუალებებს საკუთარი საქმიანობის გასაშუქებლად, ნახევარზე ოდნავ მეტ ორგანიზაციას აქვს მედიასთან ურთიერთობის გრძელვადიანი სტრატეგია.

დიაგრამა 48. ურთიერთობა მედიასთან



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.




სოციალური ქსელები და ინტერნეტ აქტივობა შშმ პირებზე ორიენტირებული ორგანიზაციების საქმიანობის გავრცელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა. ორგანიზაციათა 38.9%-ს აქვს ორგანიზაციას აქვს მისამართი Facebook-ში ორგანიზაცია მუდვიმად ათავსებს ფოტოებს / ინფორმაციას რომელიც ასახავს ორგანიზაციის საქმიანობას ნახევარზე ოდნავ ნაკლები 44.4% იყენებს სოციალურ ქსელებს ამათუიმ კამპანიის დაგეგმვისთვის, განხორციელებისთვის, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის.

**დიაგრამა 49.** რა სახით იყენებს თქვენი ორგანიზაცია სოციალური მედიას






პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

ბიზნესთან ურთიერთობა გამოკითხული ორგანიზაციების პასუხების მიხედვით არ არის მყარი. კვლევის ჰიპოთეზის მიხედვით შშმ-თა საკითხებზე ორიენტირებულ ორგანიზაციებს უფრო მეტად უნდა ჰქონოდათ გრძელვადიანი თანამშრომლობა ბიზნეს ორგანიზაციებთან, თუმცა ისინი ამ მიმართულებით არაფრით განსხვავდებიან იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან, რომელთა სამიზნე ჯგუფებს შშმ-პირები არ წარმოადგენენ. [29] გამოკითხული ორგანიზაციების უმეტესობა პასუხობს, რომ მათ არა აქვთ ურთიერთობა ბიზნესთან, ორგანიზაციათა მცირე ნაწილის პასუხების მიხედვით ბიზნესი მათ ერჯერად მატერიალურ დახმარებას უწევს პერიოდულად. მხოლოდ ერთმა ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ აქვს ბიზნესთან განხორციელებული ერთობლივი პროექტი.

***დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შშმ პირებზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს საკმაოდ კარგად შეუძლიათ გარე ურთიერთობები დაამყარონ და ინფორმაციის გავრცელების ფორმებიც მრავალფეროვანი აქვთ. შესაბამისად ამ რესურსის გამოყენება მნიშვნელოვანია და წარმატებული იქნება ისეთი პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს მედიასთან, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთობლივ საქმიანობას.***

## გამოცხადებული კონკურსების თემატიკა

2012-2014 წლის მანძილზე სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარებისა და რეფორმების ცენტრის მიერ გამოცხადებული კონსურსების შესაბამისად განხორციელდა საკმაოდ მრავალფეროვანი პროექტები, შემდეგი თემატიკების შესაბამისად:

1) ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობა საარჩევნო პროცესში
2) რეგიონული მედია - ამომრჩევლის კვალიფიციური ინფორმაციის წყარო
3) ამომრჩეველთა ინფორმირებულობისა და არჩევნებში მათი ჩართულობის ზრდა რეგიონებში
4) საზოგადოების ინფორმირების კამპანია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის
5) არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუციონალური გაძლიერების ხელშეწყობა სამოქალაქო განათლების სფეროში საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად
6) არასამთავრობო ორგანიზაციების საარჩევნო სადამკვირვებლო მისიების გაძლიერების ხელშეწყობა
7) ამომრჩეველთა ინფორმირებულობისა და არჩევნებში მათი ჩართულობის ზრდა რეგიონებში
8) საზოგადოების ინფორმირების კამპანია 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის
9) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლების ინტეგრაციის ხელშეწყობა საარჩევნო პროცესში

თითქმის ყველა თემატიკა, მოიცავს პროექტების დაფინანსების შესაძლებლობას, რომელიც ფოკუსირებული იქნება შშმ ამომრჩევლის ჩართულობისკენ არჩევნებში, რაც ნიშნავს იმას, რომ საინტერესო პროექტების არსებობის შემთხვევაში ყოველი არჩევნების დროს არსებობს

[29] წინამდებარე კვლევა ჩატარდა იმ პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ არ ხორციელდებოდა საქართველოს ბანკის დაფინანსებით პროექტები.



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

შესაძლებლობა შშმ პირებზე ორიეტირებულ ორგანიზაციებმა მიიღონ დაფინანსება და სულ უფრო მეტი ბენეფიციარი მოიცვას არჩევნებიდან არჩევნებამდე.

გარდა საგრანტო კონკურსისა თავად საარჩევნო სისტემების განვითარების, რეგორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ ეწყობა ტრენინგები იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, ვინც მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე. ტრენინგები მოიცავს სარჩევნო კანონმდებლობის სიახლეების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას,, კენჭისყრის დღის პროცედურების პრაქტიკული სწავლების თვალსაზრისით მათთვის სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული სასწავლო ფილმი "კენჭისყრის დღის პროცედურები"-ის ჩვენებას, ტრენინგის მონაწილეებს გადაეცემათ სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული შესაბამისი სახელმძღვანელოები არჩევნების საკითხებთან დაკავშირებით.

გარდა საგრანტო კონკურსებისა ცენტრალური საარჩევნო კომისიაში მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების (შშმპ) საკითხებზე მომუშავე ჯგუფი, რომელიც გეგმავს წლის აქტივობებს შშმპ-თა საარჩევნო პროცესში ინტერგაციის მიზნით. რაც გამოიხატება იმაში, რომ ტარდება სისტემატიური შეხვედრები შშმ ამომრჩეველთან, ხდება უბნებზე შშმ ამომრჩევლის იდენტიფიცირება და მისი კონკრეტული საჭიროების იდენტიფიცირება. იდენტიფიცირებული საჭიროების შესაბამისად ხდება მათი გათვალისწინება სააჩევნო პროცესისას. (პანდუსების მოწყობა, გადასატანი პანდუსებით უბნების უზრუნველყოფა, მობილური ჯგუფების გამოყოფა და ა.შ.) სპეციალურ გასვლლით შეხვედრებზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს აცნობენ საარჩევნო პროცედურებს.

საარჩევნო სისტემების განვითარების რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ ცხადდება კონკურსები საგრანტო კონკურსის ფარგლებში კვლევების მიმართულებით. საგულისხმოა, რომ 2013 წელს გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა კვლევითი პროექტი, რომელიც განახორციელა ჩვენმა ორგანიზაციამ (საქართველოს ინსტიტუციონალური განვითარების ცენტრი). კვლევის შედეგებზზე დაყრდნობით შემუშავდა რეკომენდაცია, რაც საგრანტო კონკურსების მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად გულისხმობდა გარე ბორდის მოწვევას პროექტების განსახილველად და მონიტორინგის და შეფასების მექანიზმების სრულყოფას. აუცილებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ შემოდგომი საგრანტო კონკურსი უკვე ჩატარდა მოწვეული საბჭოს პირობებში და საგრანტო დებულებაში და საკონკურსო პროექტის მოთხოვნებში დევს მონიტორინგის განხორციელების დეტალური გეგმის მოთხოვნა, რაც განხორციელებული პროექტი წარმატების ერთ-ერთი ინდიკატორია.

ასევე უნდა აღინიშნოს შშმპ-თა მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი, რაც გულისხმობს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ტრენინგებს შშმ ამომრჩევლის სპეციფიური საჭიროებების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ საგრანტო პროექტებით გათვალისწინებული აქტივობები, საარჩევნო ადმინისტრაციისა და სასწავლო ცენტრის მიერ ჩატარებული ღონისძიებების გამიჯვნა ბენეფიციართა მხრიდან ნაკლებად ხდება, მათთვის რთულია მოახდინონ იდენტიფიკაცია თუ ვის მიერ დაგეგმილ ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა, თუმცა ის ბენეფიციარები, ვინც კონკრეტული არამთავრობო ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ პროექტში იყო ჩართული კარგად იცის პროექტის და მისი განმახორციელებელი ორგანიზაციის შესახებ.



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

## გრანტის ვადები, მოცულობა და საქმიანობის მიმართულებები

ბოლო ორი წლის მანძილზე გამოცხადებული კონკურსების მიხედვით, პროექტის განხორციელების ვადები მერყეობს 1.5 თვიდან 9 თვემდე, პროექტების უმეტესობა ემთხვევა წინასაარჩევნო პერიოდებს, რაც ბუნებრივია. გრანტის მოცულობასა და ვადებთან დაკავშირებით ერთსულოვანია ორგანიზაციათა უმეტესობა და თვლის, რომ ვადები და გრანტის მოცულობა გონივრულია:

> *„გამოცხადებულ კონკურსებს აქვს კონკრეტული, არჩევნებზე ფოკუსირებული ამოცანები, ამიტომ ვადები და გრანტის მოცულობა ადექვატურია იმ პროექტების, რომლებიც ხორციელდება ამ პერიოდში. ვიცით, რომ ყოველწლიურად ცხადდება კონკურსები და თემატიკაც და ვადებიც გასაგებია. ერთი რაც მექნება შენიშვნის სახით არის გადამეტებულად ბიუროკრატიული მიდგომა კონკურსანტების მიმართ. დღეს ყველაფერი ელექტრონულად ხდება და უკვე არ მესმის, რა საჭიროა სველი ბეჭდით დამოწმებული სარეგისტრაციო დოკუმენტების (მაგალითად წესდება) წარდგენა, როცა ყველაფერი შეუძლიათ ნახონ ელექტრონულად.“*

გრანტების თემატიკიდან გამომდინარე. საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ინტერვიუს შედეგად ისეთი პროექტების დაფინანსება დასახელდა პრიორიტეტულად, რომელიც მიმართული იქნება: 1) საზოგადოების დამოკიდებულებების ცვლილებებისკენ შეზღუდული შესაძლებლობების პირების შესახებ. 2) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ინფორმირებულობის გაზრდისკენ 3) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ლიდერების გააქტიურებისკენ. 4) გამოითქვა მოსაზრება, რომ თანამშრომლობა მხოლოდ ერთეულ ორგანიზაციებთან აქვს საარჩევნო ადმინისტრაციას და სასურველი იქნებოდა პარტნიორები უფრო მრავალფეროვანი გაეხადათ განსაკუთრებით ეთანამშრომლად რეგიონალურ ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საკითხებზე. 5) გამოითქვა მოსაზრება, რომ სწავლების ცენტრმა დააფინანსოს ერთობლივი პროექტები, სადაც მონაწილეობას მიიღებს ერთის მხრივ არჩევნებში ექსპერტიზის მქონე ორგანიზაცია, ხოლო მეორეს მხრივ შშმპ-თა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაცია. მოხდება გამოცდილებების გაზიარება და პროექტის აქტივობების მაღლკვალიფიციურად შესრულება 6) იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ შშმპ-ების სხვადასხვა ჯგუფების საარჩევნო საჭიროებები განსხვავდება ერთმანეთისგან, ამიტომ მნიშვნელოვანია დაფინანდეს პროექტები, სადაც ყველა ჯგუფის ინტერესი თანაბრად იქნება გათვალისწინებული 7) მნიშვნელოვანია, იმ პროექტების დაფინანსება, რომელიც გაზრდის შშმპთა ხილვადობას.

> *„ნამდვილად მისასალმებელი ის ინციატივები, რომელსაც საარჩევნო ადმინისტაცია ახორციელებს, მაგრამ როგორც რეალობა გვიჩვენებს ჯერ კიდევ დაბალია შშმ ამომრჩეველთა აქტიურობა, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია გაიზარდოს იმ პროგრამების რაოდენობა რომელიც ხელს შეუწყობს შშმპ მოქალაქებრივი თვითშეგნების ამაღლებას.“*

> *„საარჩევნო ადმინისტრაცია განსაკუთრებით რეგიონებში აქტიურად არ თანამშრომლობს შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან, რომლებმაც კარგად იციან შშმ პირებთან მუშაობის სპეციფიკა. სასურველი იქნებოდა რეგიონში მომუშავე არა მარტო ერთ ან ორ ორგანიზაციასთან, არამედ ორგანიზაციათა ქსელთან თანამშრომლობა, რადგან ყველას ჰყავს სხვადასხვა ნოზოლოგიის შშმ პირი და მათ კარგად იციან საკუთარ ბენეფიციართან მუშაობის სპეციფიკა. წინასაარჩევნოდ*



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

*დონორები, საარჩევნო ადმინისტრაცია აცხადებს საგრანტო კონკურსს და ერთერთ პირობად უყენებს განმცხადებელს არჩევნებზე დაკვირვების რამოდენიმე წლიან გამოცდილებას." შშმ პირებზე მომუშავე ორგანიზაციებს ნაკლებად აქვთ ეს გამოცდილება, მაგრამ კარგად იციან შშმ პირთა პრობლემები, საჭიროებები, მათთან მუშაობის მექანიზმები. ასევე შშმ პირებს გააჩნიათ ნდობა მათზე მომუშავე ორგანიზაციების მიმართ და ადვილად მოდიან მათთან თანამშრომლობაზე. შედეგის მომცემი იქნებოდა თუ დონორები და საარჩევნო ადმინისტრაცია, არჩევნებზე მომუშავე გამოცდილ ორგანიზაციებსა და შშმ პირებზე მომუშავე ორგანიზაციებს მისცემდა ერთობლივი პროექტების განხორციელების საშუალებას. ამით ისინი ერთმანეთს შეავსებდნენ შშმ პირთა საარჩევნო პროცესში აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებაში."*

*„საარჩევნო ადმინისტრაცია ნამდვილად არ არის ის დონორი, რომელიც მოიცავს ყველა მიმართულების დაფინასებას, რომელიც საჭიროა შშმ პირებისთვის, ცხადია პროექტები საარჩევნო თემატიკას უნდა ეხებოდეს, თუმცა მაინც მგონია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა იდენტიფიკაციის პროეტის დაფინანსება უნდა იყოს მის ინტერესში, რადგან ეს ისეთივე ამომრჩეველს წარმოადგენს, როგორც ამომრჩეველლი შეზღუდვების გარეშე. როგორც ცნობილია ზუსტი რიცხვი შეზღუდული შესაზლებლობების მქონე პირების ჯერ კიდევ არ არის ცნობილი."*

პროექტების ხანგრძლივობასთან და საქმიანობის მიმართულებებთან დაკავშირებით, დადებითი დამოკიდებულება აქვთ იმ ბენეფიციარებს, რომელთაც უშუალო მონაწილეობა მიიღეს პროექტებში, მათი აზრით ძალიან მნიშვნელოვანია მსგავსი პროექტების განხორცილება, განსაკუთრებით რეგიონებში, მაგრამ თავად ბენეფიციარების აზით პროექტის ვადა არ არის საკმარისი, მათ სურთ უფრო დიდხანს გრძელდებოდეს პროექტები და დიდხანს იყვნენ ჩართულები აქტივობებში. ეს შესაძლებელია აიხსნას იმითაც, რომ პროექტები შშმ პირებისთვის აქტივობის და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობის ერთ-ერთი საშუალებაა.

*„ჩვენ მივიღეთ მონაწილეობა, პროექტში ჩართული ვიყავით და ვცდილობთ გამოვავლინოთ მთელს რეგიონში, სოფლებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდა ამომრჩეველი და ჩავრთოთ არჩევნების პროცესში. ჩვენ იდენტიფიკაციას ვუკეთბდით თუ ვის სჭირდება მობილური ჯგუფები არჩევნებისთვის" (ბათუმი)*

*„მე მაგალითად ვმონაწილეობ მონიტორინგის პროექტში. დავდივართ და ვამოწმებთ, არის თუ არა პანდუსი საარჩევნო უბანზე. ასევე, არის თუ არა პანდუსის მდგომარეობა შესაბამისობაში სტანდარტებთან. მე ვფიქრომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ძალიან შორს ვართ საერთაშორისო სტანდარტებისგან, რაღაც მაინც კეთდება." (ახალციხე)*

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ ვადების, დაფინანსების ოდენობის და საქმიანობის მიმართულებების მიმართ გამოკითხული ორგანიზაციების დამოკიდებულება დადებითია. რაც



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

საჭიროებს ცვლილებას, მათი აზრით, ეს არის ის, რომ კონკურსების დროს ერთობლივ პროექტებს ენიჭებოდეს პრიორიტეტი.

### დაფინანსებული პროექტების არეალი

პროექტები, რომლებიც განხორციელდა ბოლო ორი წლის მანძილზე სსიპ-ის დაფინანსებით, მოიცავს მთელ საქართველოს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ამ პროექტებს, გრანტიორი ორგანიზაციების უმრავლესობა მთელი ქვეყნის მასშტაბით ან რამოდენიმე რეგიონს ფარავენ საკუთარი საქმიანობით, რაც საკმარისია, იმ არეალის დასაფარად რომელსაც ითვალისწინებს გამოცხადებული კონკურსები.

დიაგრამა **50.** გრანტიორი ორგანიზაციების საქმიანობის გავრცელების არეალი




**დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სსიპ-ის მიერ გამოცხადებული პროექტების განხორციელების არეალი შეესაბამება ორგანიზაციების საქმიანობის არეალს, თუმცა გრანტის გაცემის დროს სასურველია გათვალისწინებული იყოს ის, თუ რომელ რეგიონში საქმიანობს ორგანიზაცია და სხვა პროექტები სად აქვს განხორციელებული. ეს მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინებითაც, რომ შშმპ-თა თემი ჩაკეტილია, ხოლო თავად პროექტები მოკლევადიანია, ამიტომ ისეთი ორგანიზაციის საქმიანობაში ჩართვისთვის რომელსაც არ იცნობენ ბენეფიციარებს მეტი დრო დასჭირდებათ.**

### პროექტების განხორცილებისას გამოყენებული საქმიანობის ფორმები:

პროექტები, რომლებიც განხორციელდა გრანტიორი ორგანიზაციების მიერ აქტივობების მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა, რაც შეესაბამება საგრანტო კონკურსების თემატიკას. პროექტები ძირითადად მოიცავს საქმიანობის შემდეგ ფორმებს.

1. შეხვედრების ორგანიზება
2. ტრენინგები
3. ბეჭვდითი მასალის გავრცელება
4. ვიდეორგოლების გავრცელება



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

5. ვებგვერდის საშუალებით ინფორმაციის გავრცელება
6. მონიტორინგი

გრანტიორი ორგანიზაციების გამოკითხვის მიხედვით აღნიშნული აქტივობები შესაბამისობაშია საქმიანობის იმ ფორმებთან, რომლებსაც იყენებენ ორგანიზაციები საქმიანობის პროცესში. როგორც დიაგრამიდან ჩანს, ორგანიზაციათა უმეტესობის საქმიანობის ფორმები ემთხვევა საქმიანობის იმ ფორმებს, რომლებსაც ისინი იყენებდნენ პროექტების განხორციელებისას.

დიაგრამა **51**. გრანტიორი ორგანიზაციების საქმიანობის ფორმები



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.




გამოკითხული ორგანიზაციებიდან 5 ორგანიზაცია წარმოადგენს ისეთ ორგანიზაციას, რომელსაც არა შშმ პირების საარჩევნო უფლების რეალიზებასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების გამოცდილება არა აქვს, დანარჩენ ორგანიზაციებს აქვს აღნიშნული გამოცდილება.

ცხრილი 33. გაქვთ თუ არა შშმ პირების საარჩევნო უფლების რეალიზებასთან დაკავშირებული



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

| | ორგანიზაციათა რაოდენობა |
|---|---|
| შშმ ამომრჩეველის ხმის მიცემის პროცედურებზე ინფორმირებულობის გაზრდისკენ მიმართული საქმიანობა | 7 |
| საარჩევნო უბნებზე შშმ პირებისთვის ადექვატური ფიზიკური გარემოს უზრუნველყოფისკენ მიმართული საქმიანობა | 7 |
| შშმ ამომრჩევლის ინფორმირებულობის გაზრდა საარჩევნო საკითხებში | 8 |
| არა აქვს გამოცდილება ამ სფეროში | 5 |

**დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ატივობები, რომლებიც ხორციელდება გრანტის ფარგლებში რელევანტურია ორგანიზაციების მიერ საქმიანობის პროცესში გამოყენებული აქტივობის ფორმებისა.**

## დაფინანსებული პროექტების გავლენა

პროექტები, რომლებსაც ბოლო 2 წლის მანძილზე აფინანსებდა საარჩევნო სისტემების რეფორმების, განვითრებისა და სწავლების ცენტრი, ძირითადად ერთ მიზანს, შშმ ამომრჩეველთა განათლებას და ინფორმირებას ემსახურებოდა.

როგორც ცნობილია, ყველა პროექტი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველზე ფოკუსირებული მოიცავს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებს:

1. ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველი
2. უსინათლო და მცირედმხედველი ამორჩეველი
3. ყრუ და სმენადაქვეითებულლი ამომრჩეველი

ფოკუს-ჯგუფებში ყველა აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. ყველა მონაწილე, რომელიც ჩართული იყო ინფორმირების კამპანიაში, ან თავად იყო ინფორმირების კამპანიის ბენეფიციარი, თვლის, რომ ამ ტიპის პროექტების განხორციელება აუცილებელია. სხვა შემთხვევაში შშმ ამომრჩეველს გაუჭირდება ინფორმაციის მიღება. მონაწილეები თვლიან, რომ ზოგადად ძალიან დაბალია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ინფორმირებულობის დონე და ცხადია ეს ეხება საარჩევნო საკითხებსაც.

> **„კიდევ მეტი პროექტი უნდა ხორციელდებოდეს. მართალია უსინათლოებისთვის ადვილია მოვისმინოთ ტელევიზიით ინფორმაცია, თუ როგორ მივიდეთ არჩევნებზე და მივცეთ ხმა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მნიშვნელოვანია ვგრძნობდეთ, რომ ჩვენი ხმა მნიშვნელოვანია“** (გორი)
>
> **„ჩვენი ინფორმაციას ჟესტური ენით ვიგებთ, ამიტომ ძალიან კარგია, რომ საზოგადოებრივ არხზე არის ამის საშუალება და ინფორმაცია ჩვენთვის არჩევნების შესახებ ითარგმნება. ჩვენ ყველაფერი ამ ორგანიზაციიდან გავიგეთ და შევიტყვეთ, აქ არის თარჯიმანი და პროცედულები აგვიხსნა,**



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

როგორ უნდა მივცეთ ხმა. საარჩევნო უბანზე არავინ არ არის, ვინც იცის ჟესტური ენა და რამეს აგვიხსნის, ამიტომ რომ მივდივართ, უკვე უნდა ვიცოდეთ რას ვაკეთბთ.“ (თბილისი)

„მე მაინც მგონია, რომ ასეთი ტიპის პროექტები აუცილებელია და დადებითად შევაფასებ, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ მეტი ადამიანი უნდა მოიცვას. გარდა ამისა ძალიან მნიშვნელოვანია აქცენტი გაკეთდეს შშმ პირთა უფლებებზე. დღეს რეალობა ისეთია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებმა არ იციან საკუთარი უფლებები რაც მოწყვლადს ხდის მათ. ყველამ შეიძლება ბოროტად ისარგებლოს ამ გარემოებით, ამიტომ საარჩევნო პროცედურების სწავლებასთან და ადაპტირებული გარემოს შექმნასთან  ერთად საჭიროა უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. (თბილისი)

ის რომ  გამოკითხვის შედეგად 39%-ს სმენია რაიმე ღონისძიებიე შესახებ, ,რომელიც შშმ ამომრჩევლის გააქტიურებას ემსახურებოდა და 3% თავად იყო ჩართული ასეთი ტიპის პროექტში (დიაგრამა #34), ადასტურებს ზემოთგამოთქმულ მოსაზრებებს.  გარდა ამისა, როდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესობა 45,6% თვლის, რომ საარჩევნო გარემო გაუმჯობესდა შშმ ამომრჩევლისთვის (დიაგრამა #14), რაც ამ ტიპის პროექტების გავლენადაც შეიძლება ჩაითვალოს.

როგორც კვლევამ ცხადყო, ბენეფიციართა უმეტესობა, საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას, რომელიც მიიღო პროექტში მონაწილეობით, უზიარებს საკუთარ თემის წევრებს. ეს შედეგი დადასტურდა არაბენეფიციარ წევრებთან ჩატარებულმა დისკუსიებმა.

გამოკითხული ორგანიზაციების უმეტესობის სამიზნე ჯგუფებს, შეზღუდულის შესაძლებლობების მქონე პირები წარმოადგენს, რაც ზუსტად შეესაბამება გამოცხადებული კონკურსების სამიზნე ჯგუფებს.

დიაგრამა 52კვლევაში ორგანიზაციების  სამიზნე ჯგუფები






პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

**დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის მიღება საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან შშმ პირებისთვის მისაღებია და მნიშვნელოვანი, ისინი ენდობიან იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ შშმპ-თა საკითხებზე. ამიტომ მნიშვნელოვანია ამომრჩეველთა ინფორმირებულობაზე ორიენტირებული პროექტების განხორციელება მომავალშიც, რათა ამომრჩეველმა მიიღოს ობიექტური ინფორმაცია არჩევნების და საარჩევნო პროცედურების შესახებ და მიეცეს საშუალება მიიღოს ინფორმირებული არჩევანი.**

## საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციონალური განვითარება

მთლიანობაში კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების ორგანიზაციული განვითარების საერთო ქულა 4 ბალიან შკალაზე 2.8 ქულას შეადგენს.

კვლევაში თანაბრად არიან წარმოდგენილი II, III da IV დონის ორგანიზაციები. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ერთობლივი და კოალიციური პროექტების განხორციელების მნიშვნელოვნებას, რაც ერთის მხრივ გაზრდის შედარებით დაბალი განვითარების ორგანიზაციის შესაძლებლობებს, ხოლო მეორეს მხრივ პროექტების განხორციელების ეფექტურობა იქნება გარანტირებული. ორგანიზაციული განვითარებისთვის გამოყოფილი გრანტები საჭიროა მომავალშიც იქნას გაცემული და ორგანიზაციებმა მიიღონ საშუალება, რომ საკუთარ განვითარებას მოახმარონ სახსრები.

დიაგრამა 53. ორგანიზაციების განაწილება ორგანიზაციული განვითარების ქულების მიხედვით




## ორგანიზაციების დახასიათება ინსტიტუციური განვითარების დონეების მიხედვით

**I დონეზე** მყოფი ორგანიზაციებს აქვთ კარგად ჩამოყალიბებული ორგანიზაციული სტრუქტურა, თანამშრომლებს შორის გამიჯნულია უფლება მოვალეობები. მათ აქვთ პროექტების განხორციელების



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

დიდი გამოცდილება (50-და მეტი). ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელებული აქვთ ერთი პროექტი მაინც, რომლის ბიუჯეტი 100 000 USD-ზე მეტია. აქვთ უწყვეტი დაფინანსება მინიმუმ ბოლო 3 წლის განმავლობაში. რეგულარულად ატარებენ ორგანიზაციის ფინანსურ აუდიტს. ორგანიზაციის საქმიანობები ვრცელდება რამოდენიმე რეგიოზე ან მთელ საქართველოზე.

მდგრადი თანამშრომლობითი ურთიერთობები აქვთ საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებთან, მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ სახელმწიფოს სტრუქტურებთან, აქვთ უნარი პრობლემის გადაწყვეტილების პროცესში ჩართონ დაკავშირებული მხარეები. წარმატებით იყენებენ ადგილობრივ ან ქვეყნის მასშტაბით მაუწყებელ მასმედიის საშუალებებს საკუთარი საქმიანობაში შედეგის მიღწევისთვის. გაერთიანებული არიან სხვადასხვა ქსელებში / კოალიციებში. მათ ლიდერებს კარგად იცნობენ სფეროში მოქმედი სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, აქვთ კარგი იმიჯი. სხვა შედარებით სუსტი ორგანიზაციებისთვის წარმოადგენენ რესურსს/მხარდაჭერას. აქვთ უნარი საკუთარი ორგანიზაციის გარშემო შეკრიბონ სხვა ორგანიზაციები ამათუიმ პრობლემის წამოწევის/მოგვარებისთვის. აქვთ რამოდენიმე ერთობლივი პროექტი განხორციელებული.

აქვთ საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის რამოდენიმე წლიანი გამოცდილება.

საქმიანობის დაგეგმვის და შეფასების პროცესში იყენებს კვლევის ამათუიმ ფორმას. ბენეფიციარებს სთავაზობს მრავალფეროვან და/ან სტაბილურ სერვისს. აქვთ მუდმივად განახლებადი ვებ გვერდები და/ან ფეისბუქის გვერდები. სოციალურ მედიას იყენებენ საკუთარი იდეების და პრინციპების პოპულარიზებისთვის.

სამუშაო გარემო (ოფისი) აქვთ ადექვატურად აღჭურვილი. სამუშაო ფართი საკმარისია ყველა ძირითადი თანამშრომლისთვის. აქვთ უნარი მუდივად შეინარჩუნონ ანაზღაურებადი კადრი. პროექტებში დროებით დასაქმებული კადრის რაოდენობა სხვადასხვა დროს 7-30 ფარგლებშია.

**II დონეზე** მყოფი ორგანიზაციებს განხორციელებული აქვთ 30-50-მდე პროექტი, საქმიანობის არეალი ხშირ შემთხვევაში სცილდება ერთ რეგიონს. ყავთ საკონტაქტო პირები ან პარტნიორი ორგანიზაციები სხვადასხვა რეგიონებში. დაფინანსებაში წყვეტა არ აღემატება 2 თვეს. განხორციელებული აქვთ 50000-დან 10000 USD-მდე ბიუჯეტის მქონე რამოდენიმე პროექტი. პერიოდულად ატარებენ ორგანიზაციის ფინანსურ აუდიტს. აქვთ საკმარისი საოფისე ფართი რომელიც აღჭურვილია საჭირო ტექნიკით, თუმცა შესაძლოა აქვთ ამათუიმ ტექნიკის დეფიციტი ან ტექნიკა საჭიროებს განახლებას.

კარგი ურთიერთობები აქვთ სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან. ზოგჯერ ახერხებენ ერთობლივი საქმიანობის განხორციელებასაც. სხვა მსგავსი პროფილის საზოგადოებრივ ორგანიზაციებათან ერთად განხორციელბული აქვთ ერთი პროექტი მაინც. ორგანიზაციას კარგად იცნობენ იმ რეგიონში /ქალაქში სადაც ფუნქციონირებენ, გაერთიანებულები არიან ერთ კოალიციაში მაინც.

ორგანიზაციებს აქვთ ვებ გვერდი, თუმცა რეგულარულად არ განახლებადი. იყენებენ სოციალური მედიის საშუალებას თუმცა აქცენტი გადატანილია ღონისძებების ფოტოდოკუმენტირებაზე.

პროექტის დაგეგმვისთვის პერიოდულად მიმართავენ ბენეფიციარების საჭიროებების შესწავლას.


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

ადვოკატირებაში აქვთ წარმატებული მაგალითები. მათი ორგანიზაციის წამყვანი პირები ფლობენ საჭირო უნარჩვევებს იმისათვის რომ თანამშრომლობითი ურთიერთობები ააწყონ მასმედიასთან და ადგილობრივ თვითმმართველობის წარმოამდგენლებთან. თუმცა ამას უფრო მეტად პირადი კონტაქტების წყალობით ახერხებენ, ადგილობრივი მასმედიის საშუალებები პერიოდულად აშუქებენ მათ ღონისძიებებს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებიან მათ მიერ მოწყობილ ზოგიერთ ღონისძიებას. ხელისუფლება თავადაც იწვევს ხოლმე ამ ორგანიზაციებს, თუმცა ურთიერთობები ჯერ კიდევ არათანაბარპარტნიორულია.

**III დონეზე მყოფი** ორგანიზაციებს არსებობის მანძილზე განხორციელებული აქვთ 10-30-მდე პროექტი. აქვთ გამოციდლებაში 30000 -40 000 USD ბიუჯეტის მქონე პროექტის განხორციელების გამოცდილება, თუმცა ძირითადად მათი პროექტები დაბალბიუჯეტიანი და მოკლევადიანია. დაფინანსებებს შორის წყვეტა ბოლო ორი წლის განმავლობაში აღემატება 2 თვეს. შესაბამისად ძირითად გუნდს პერიოდულად უწევს არაანაზღაურებით მუშაობა.  ორგანიზაცია არ ატარებს ფინანსურ აუდიტს.

საქმიანობის არეალი როგორც წესი არ სცილდება იმ ქალაქს / რაიონს სადაც ფუნქიონირებენ. საკუთარ ბენეფიციარებს ვერ სთავაზობენ უწყვეტ მომსახურებას. თუმცა პროექტის დასრულების შემდეგ მაინც ცდილობენ მინიმალური დახმარება გაუწიონ თუ ეს არ არის ფინანსებთან დაკავშირებული. ამ ტიპის ორგანიზაციებს უჭირს დააინტერესონ მასმედიის საშუალებები იმ პრობლემატიკით რაზეც მუშაობენ. ხელისუფლების წარმომდგენლებთან ან არ აქვთ ურთიერთობა ან ეს ურთიერთობები შემოიფარგლება ინფორმაციის მიწოდება გამოთხოვით.

ორგანიზაციების ნაწილს აქვთ ადვოკატირების ერთჯერადი გამოცდილება. თუმცა ადვოკატირება როგორც წესი არის ცალკეული პიროვნებების მხარდაჭერა. ბენეფიციარების რომელიმე ჯგუფის ადვოკატირება არ შედის ორგანიზაციის სტრატეგიულ მიზნებში.

საქმიანობის შეფასების და დაგეგმვისთვის უფრო მეტად გამოიყენება ინტუიტიური მეთოდები და არ ეფუძნება საკუთარ კვლევებს ან სხვა ორგანიზაციების კვლევებს, ოფიციალურ სტატისტიკას.

**IV დონეზე** მყოფი ორგანიზაციებს განხორციელებული აქვთ საშუალოდ 5 პროექტი, პრეოქტების ბიუჯეტი როგორც წესი არ აღემატება 10 000$-ს. დაფინასნებებს შორის ხშირად აქვთ წყვეტა, რომელიც ზოგჯერ 1 წელსაც აღწევს ხოლმე. ფინანსები ძირითადად დონორების მხრიდან კონტროლდება, შიდა კონტროლის მექანიზმები სუსტია. ორგანიზაციების ადამიანური რესურსები შემოიფარგლება ხოლმე დამფუძნებლებით. მათი საქმიანობა არ სცილდება იმ ქალაქს / რაიონს სადაც დაფუძნებულია. არ აქვთ თანამშრომლობითი ურთიერთობები ხელისუფლებასთან. ოფისი როგორც წესი განთავსებულია ერთერთი დამფუძნებლის სახლში. საოფისე ტექნიკა ან არ აქვთ ან მოძველებულია ან მხოლოდ პირადი ტექნიკით სარგებლობენ.

ორგანიზაციებს არ იცნობენ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შესაძლოა ისინი იყვნენ რომელიმე ქსელის წევრი, თუმცა მათი წევრობა პასიურია და არათანაბარპარტნიორული. ხელისუფლებასთან არ აქვთ თანამშრომლობა ან კონტაქტი არის იშვიათი და უშედეგო.


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

ორგანიზაციები ბენეფიციარებს ვერ სთავაზობენ სტაბილურ სერვისს. მათი საქმიანობაში უფრო ხშირია საქველმოქმედო ღონისძიებების, გამოფენების მოწყობის ან მსგავსი ერთჯერადი ღონისძიებები.

ამ დონეზე მოხვდენენ ორგანიზაციები რომლებიც ან ახალი დაარსებულები ორგანიზაციები (2-3 წელი), რომელთაც ჯერ არ გაუვლიათ განვითარების ეტაპები, ან ორგანიზაციები რომლებიც დიდი ხანია არსებობენ, წინა წლებში უფრო მეტად აქტიურები იყვნენ, თუმცა ვერ მოახერხეს განვითარების შემდეგ ეტაპზე გადასვლა.

დიაგრამაზე #55 გამოსახულია შეფასებული ორგანიზაციების საერთო საშუალო ქულები ქვეკრიტერიუმების მიხედვით. როგორც ვხედავთ ორგანიზაციების განვითარების ხარისხის მიხედვით საშუალოზე მაღალ საფეხურზე იმყოფებიან თითქმის ყველა ქვეკრიტერიუმის მიხედვით, თუმცა დიაგრამაზე კარგად ჩანს, თუ სად არის სუსტი და ძლიერი მხარეები, რაც აღწერილია ზემოთ.

დიაგრამა 54. ორგანიზაციების ქულები ქვეკრიტერიუმების მიხედვით






პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

## საჭიროებები და რეკომენდაციები

შეზღუდული შესაძლებელობების მქონე ამომრჩეველი, ისევე, როგორც ყველა ამომრჩეველი ქვეყნის მასშტაბით, დაინტერესებულია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით, შესაძლებლობების ფარგლებში ჩართულები არიან არჩევნებში. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო პროცესს უფრო მეტად დადებითად აფასებენ, ვიდრე უარყოფითად, მაინც თვლიან, რომ მათი საარჩევნო უფლების რეალიზებას არსებული გარემო ხელს ნაკლებად უწყობს. შესაძლებელია ერთის მხრივ ვივარაუდოთ, რომ საარჩევნო პროცესი ქვეყანაში შშმ ამომრჩევლისთვის ზოგად კონტექსტში განიხილება და არ არის დაკავშირებული კონკრეტულად შშმ პირთა საარჩევნო უფლების რეალიზების აღქმასთან, ხოლო მეორეს მხრივ პირიქით შესაძლებელია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ფონზე შშმ ამომრჩევლები მეტად მწვავედ აღიქვამენ საკუთარ საარჩევნო პროცესში ჩართულობის შესაძლებლობებს.

ყველაზე რადიკალურები ყრუ და სმენადაქვეითებული ამომრჩევლები აღმოჩნდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური გარემო არ არის ბოლომდე ადაპტირებული და ეტლით მოსარგებლეების უმეტესობას ქუჩაში გამოსვლა და გადაადგილებაც უჭირთ, ისინი, მაინც უფრო ლოიალურები აღმოჩნდნენ საარჩევნო პროცესის შეფასებისას ვიდრე სხვა ჯგუფების ამომრჩევლები.

ზემოთაღწერილი გარემოებებიდან შესაძლებელია ვივარაუდოდ, რომ საჭიროა ისეთი პროექტების განხორციელება, რომელიც კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებზე იქნება ფოკუსირებული. ინფორმირების ზოგადი კამპანია, ვერ იქნება რელევანტური შშმპ-თა ყველა ჯგუფისთვის, ყველა ჯგუფს ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა საშუალებებით სჭირდება. ამიტომ მნიშვნელოვანია:

1. გაგრძელდეს ცესკოს მიერ განხორციელებული საქმიანობა შშმ პირთა სტრატეგიული მიმართულების შესაბამისად
2. გაგრძელდეს შშმპ-თა საკითხების მომუშავე სამუშაო ჯგუფის მუშაობა. გარდა საერთაშორისო ფონდების მოძიებისა, ეფექტური იქნება სამუშაო ჯგუფში შემავალი სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების ფინანსური რესურსები გაერთიანდეს და დასრულდეს საარჩევნო უბნების ადაპტაციის პროცესი. ცხადია ძალზე მნიშვნელოვანია ცესკოს მიერ მობილიზებული სახსრები საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით ამ მიმართულებით, თუმცა სასურველია ყევლა სახელმწიფო ორგანიზაცია ჩაერთოს პროცესში და შეუქმნას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ადაპტირებული გარემო.

   როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ არ არის ადაპტირებილი ყველა საარჩევნო უბანი, რაც დაბრკოლებებს უქმნის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლებს თავად მივიდეს საარჩევნო უბანზე და გამოხატოს საკუთარი ნება. ამ მიზნის ეტაპობრივად მისაღწევად სასურველლია საარჩევნო სიებში დაზუსტდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საარჩევნო უბნები, ჯგუფების და რაოდენობების მიხედვით: ეტლით მოსარგებლეები, უსინათლო და მცირედმხედველები, ყრუ და სმენადაქვეითებულები. რათა მოხდეს საარჩევნო უბნების ადაპტირება კონკრეტულად იმ უბნის გათვალისწინებით, სადაც არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლები. ასეთი ტიპის პროექტი განახორციელა ცესკომ IFES-ის ფინანსური მხარდაჭერით, რომელიც განახორციელა არასამთავრობო ორგანიზაციამ



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ და მოხდა 8523 შშმ ამომრჩევლის საჭიროების შეფასება საქართველოს მასშტაბით. თუმცა რიგი ექსპერტების აზრით „შშმ ამომრჩევის რიცხვი გაცილებით მეტია და საჭიროა ყველა მათგანის საჭიროების შესახებ იყოს ინფორმირებული ცესკო“ აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსის გამოყენება სოციალური სააგენტოს სახით, რაც ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტს შშმპ-თა ბაზის საკითხს. ამ გზით მოხდება სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის მიერ გაეროს კონვენციის მიხედვით აღებული ვალდებულებების შესრულებისკენ ნაბიჯების გადადგმა[30]

3. ცნობილია, რომ საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (AFES) ფინანსური მხარდაჭერით კომისიის წევრებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი შშმ ამომრჩეველთან ქცევის ნორმების შესახებ თუმცა საჭიროა ამ მიმართულებას ჰქონდეს პერმანენტული სახე. საჭიროა გაკეთდეს საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების - საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ტრენინგსაჭიროებების შესწავლა შშმპ-თა საკითხების მიმართულებით (TNA), მიღებული შედეგების საფუძველზე ტრენინგ მოდულების შემუშავება და ტრენინგების ციკლის დაგეგმვა და განხორციელება. სასურველია ტრენინგების მოულები შემუშავებული და ჩატარებული იქნას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მონაწილეობით გამოცდილ ტრენერებთან ერთად.
4. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ კვლავ აქტუალურია შეზღუდული შესაძლებლობების ყველა ჯგუფისთვის ( ეტლით მოსარგებლეები, უსინათლო და მცირედმხედველები, ყრუ და სმენადაქვეითებულები და განსაკუთრებით მენტალური შეზღუდვის მქონე პირებისთვის) სპეციალური ღონისძიებები შეიქმნა, რომლებიც მიმართული იქნება: 1) ინფორმირებულობის გაზრდისკენ 2) თანაბარი ფიზიკური გარემოს შექმნისკენ საარჩევნო ხმის უფლების რეალიზაციისთვის.
5. სასურველია გაგრძელდეს შშმ-თა დასაქმების პრაქტიკა განსაკუთრებით რეგიონებში.
6. კვლავ აქტუალურია შეხვედრების მოწყობა სამიზნე ჯგუფებთან, რადგან პირადი შეხვედრები, კომუნიკაციის და ინფორმაციის ადექვატური აღქმის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზაა.

**შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლის, საარჩევნო პროცესში ჩართულობის გაზრდისკენ მიმართული შესაძლო ღონისძიებები:**

**სმენადაქვეითებული ამომრჩევლისთვის:** ინფორმაციის მიწოდების ინტენსივობის გაზრდა. ჯგუფთან თანამშრომლობა არა მხოლოდ საარჩევნო პერიოდში, არამედ არასაარჩევნო პერიოდის განმავლობაშიც.

- მარტივი და გასაგები ენით ადაპტირებული ბროშურების გავრცელება საარჩევნო უფლებების, ხმის მიცემის პროცედურებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის შესახებ.
- არჩევნების დღისთვის სპეციალური სამახსოვრო ლიფლეტის დაბეჭდვა, სადაც მატივი სქემატური ნიშნებით იქნება დატანილი პროცედურის თანამიმდევრობა. ამ ლიფლეტის

[30] გაერთიანებული ერების კონვენცია შშმ პირთა უფლებების დაცვის შესახებ მუხლი 29 http://disability.ge/index.php?option=com_content&task=view&id=8685&Itemid=58



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

გამოყენება შეეძლება, როგორც სმენადაქვეითებულ ასე არასმენადაქვეითებულ ამომრჩეველს.

- საარჩევნო ადმინისტრაციის ცხელ ხაზზე და ვებგვერდზე სპეციალური ოფციის დამატება, სადაც შეეძლება ყრუ და სმენადაქვეითებულ ამომრჩევლებს მისწერონ ადმინისტრაციას ტექსტური შეტყობინებით შეკითხვა ან არჩევნების დღეს დარღვევის მათუ უფლების დარღვევის შესახებ.
- ვებგვერდზე მოცემული ინფორმაცია საარჩევნო პროცედურებისა და საარჩევნო კანონმდებლობის შესახებ სასურველია სურდოთაგმანით იყოს განთავსებული.
- სასურველია განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს რეგიონში მცხოვრებ ყრუ და სმენადაქვეითებულ ამომრჩეველის ინფორმირების მიმართულებით
- ეფექტური იქნება კენჭისყრის დღეს ცესკოს ბრიფინგების სურდოთარგმანით უზრუნველყოფა

**უსინათლო და მცირედმხედველი ამომრჩევლისთვის:** ინფორმირებულობის ამაღლების ღონისძიებების ინტენსივობის გაზრდა და ფიზიკური გარემოს ადაპტაცია.

- ვებგვერდზე მოცემული ინფორმაცია საარჩევნო პროცედურებისა და საარჩევნო კანონმდებლობის შესახებ სასურველია იყოს ადაპტირებული ხმოვანი პროგრამებისთვის ან ამ მასალის ხმოვანი ვარიანტების განთავსება
- უსინათლო და მცირედმხედველებისთვის სპეციალური ბილიკის უზრუნველყოფა საარჩევნო უბნებზე, როგორც შენობის პერიმერტზე, ასევე მის შიგნით კენჭისყრის ოთახის ჩათვლით
- სასურველია კვლავ დაიბეჭდოს ბიულეტებნები ბრაილის შრიფტით, მიუხედავად იმისა, რომ ბრაილის გამოყენება ყველა უსინათლომ არ იცის, მაინც ძალიან მნიშვნელოვანია ფიზიკური გარემოს ადაპტაციის მიზნით ამ საშუალების არსებობა.
- მცირედმხედველთათვის სასურველია გამადიდებელი ლინზა ფურცლის და ჩარჩო ფორმის არსებობის პრაქტიკის გაგრძელება საარჩევნო უბნებზე

**ეტლით მოსარგებლე და მოძრაობის შეზღუდვის მქონე ამომრჩევლისთვის:** ინფორმირებულობის ამაღლების ღონისძიებების ინტენსივობის გაზრდა და ფიზიკური გარემოს ადაპტაცია.

- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რეგიონში მცხოვრებ ეტლით მოსარგებლე და მოძრაობის შეზღუდვის მქონე ამომრჩევლებს. ეტლით მოსარგებლე და მოძრაობის შეზღუდვის მქონე ახალგარზდა ამომრჩეველს და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ეტლით მოსარგებლე და მოძრაობის შეზღუდვის მქონე ამომრჩეველს.
- მნიშვნელოვანია მობილური ჯგუფების არსებობის ხელშეწყობა და იმ სატრანსპორტო საშუალებების ადაპტაცია, რომელიც განკუთვნილია მობილური ჯგუფებისთვის.
- სასურველია შეიცვალოს ეტლით მოსარგებლეთა კაბინის დიზაინი (შესაძლებელი იყოს მისი ამაღლება ან დადაბლება საჭიროების შემთხვევაში) და შესაძლებელი იყოს მისი მორგება საარჩევნო უბანზე მისული ეტლით მოსარგებლეთა ყველა ამომრჩევლისთვის

**მენტალური შეზღუდვის მქონე ამომრჩევლისთვის:** ინფორმირებულობის ამაღლების ღონისძიებების გატარება. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მენტალური შეზღუდვის მქონე ამომრჩეველი ჯერ



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

კიდევ არ წარმოადგენს სამიზნე ჯგუფს, რომელთა საჭიროებებზე მორგებული საინფორმაციო კამპანია ტარდება, სასურველია დაიწყოს პროცესი ამ მიმართულებით და საარჩევნო ადმინისტრაცია ამ პროცესის ინიციატორი გახდეს. *„უნდა დაიწყოს მუშაობა ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციისთვის საერთაშორისო სამართლის დოკუმენტთან შშმ პირთა უფლებების მათ შორის საარჩევნო უფლებების დაცვის და რეალიზაციის ხელშემწყობი პირობების შექმნის მიმართულებით. ეს განსაკუთრებით ეხება არჩევნებში მენტალური შეზღუდვის მქონე პირთა მონაწილეობის უფლების საკითხს, რომელიც საქართველოში არა თუ საკანონმდებლო დონეზე, არამედ სპეციალისტთა შორისაც არ ქცეულა აქტიური განხილვის საგნად.“* (ციტატა ინტერვიუდან)

სასურველია გადასატანი ყუთით სარგებლობისას ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ ზედმიწევნით მკაცრად იყოს საარჩევნო ხმის ფარულობის დაცვის პროცედურები, რათა ამომრჩეველთა მცირე ნაწილსაც კი არ შეექმნას შთაბეჭდილება, რომ მის მიერ გაკეთებული არჩევანი შესაძლებელია იყოს ვინმესთვის ღია. ამ პრობლემის თავიდან აცილება არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლისთვის არის აქტუალური, არამედ ყველა იმ პირისთვის, ვინც ხმას გადასატანი ყუთის საშუალებით აძლევს. ამ პრობლემის მოსაგვარებლად სასურველია ტრენინგების ციკლის მოწყობა, ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის გადასატანი ყუთით მუშაობის პროცედურებში.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ იმ რესპონდენტების 43.3%, ვისაც არასდროს მიუღია მონაწილეობა არჩევნებში, იმ შემთხვევაში მიიღებს მონაწილეობას, თუ მეტი ინფორმაცია ექნება არჩევნების შესახებ და თუ მის გადაადგილებას უზრუნველყოფენ საარჩევნო უბნამდე (20%) ამიტომ ინფორმირებულობის დონის გაზრდისკენ მიმართული ღონისძიებები აქტუალობას არც მომავალში დაკარგავს.

მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო პროცესის შეფასების საერთო ქულა 5 ბალიან სკალაზე **3,17** ქულას შეადგენს, პოლიტიკური პროცესი კვლავ გავლენას ახდენს არჩევნების მიმართ ამომრჩევლის დამოკიდებულებაზე. საზოგადოების ნაწილი, რომელსაც არჩევანმა მოლოდინი არ გაუმართლა, უფრო ნეგატიურადაა განწყობილი საარჩევნო პროცესის მიმართ, ვიდრე ის ამომრჩეველი, ვინც თვლის, რომ მან სწორი არჩევანი გააკეთა. ამიტომ რომ საჭიროა საარჩევნო ადმინისტრაციის ურთიერთობა სამიზნე ჯგუფებთან კიდევ მეტად პროაქტიული გახდეს, რაც საშუალებას მისცემს ამომრჩეველს მეტად ობიექტური იყოს და არ ჰქონდეს საარჩევნო ადმინისტრაციის შეფასებისას ასოციაცია პოლიტიკურ სუბიექტებთან.

3. თანამშრომლობას ხშირი და არაოფიციალური ხასიათი აქვს. ურთიერთობები მეგობრულია, თუმცა ჯერ კიდევ არათანაბრად პარტნიორული
4. თანამშრომლობისთვის არსებობს და ხშირად გამოიყენება ოფიციალური და არაოფიციალური მექანიზმები. ურთიერთობები ისეთია, როგორც თანაბარ პარტნიორებს შორის არსებობს.

**15. თანამშრომლობთ თუ არა შემდეგ სახელმწიფო სტრუქტურებთან?**

| | ინფორმაციის გამოთხოვა სახელმწიფო სტრუქტურიდან | ინფორმაციის მიწოდება სახელმწიფო სტრუქტურისთვის | პროექტის დაფინანსება | საოფისე ან სხვა ფართით უზრუნველყოფა | ერთობლივი საქმიანობა/ პროექტის |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სამინისტროები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 2. სამინისტროების სსიპ-ები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 3. პარლამენტი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 4. მერია | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 5. საკრებულო | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 6. გამგეობა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 7. სასამართლო | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 8. სამართალდამცავი ორგანოები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 9. საჯარო სამართლის იურიდიული პირები (სსიპ) | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 10. სხვა სახელმწიფო უწყებები (ჩაწერეთ) | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |

16. თუ ორგანიზაციას გააჩნია ხელისუფლებასთან ერთობლივი საქმიანობის გამოცდილება გთხოვთ, აღწეროთ ყველაზე მნიშვნელოვანი საქმიანობა და პარტნიორი სტრუქტურა

| სახელმწიფო სტრუქტურა | საქმიანობა / ერთობლივი ღონისძიება, პროექტი |
|---|---|
| | |
| | |
| | |

17. შეგქმნიათ თუ არა რაიმე სახის პრობლემა ხელისუფლების წარმომადგენლებთან ან სტრუქტურებთან ურთიერთობისას, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს თქვენი ორგანიზაციის საქმიანობაზე?

| | აღწერეთ პრობლემა, მიუთითეთ რომელ სტრუქტურასთან გქონდათ პრობლემა |
|---|---|
| დიახ | |
| არა | 0 |

18. როგორ შეაფასებდით თქვენი ორგანიზაციის ურთიერთობას ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან ბოლო 2 წლის განმავლობაში?



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

| | |
|---|---|
| არ გვაქვს ურთიერთობა | 1 |
| ბიზნეს სექტორის წარმოამდგენლები ფინანსურად ეხმარებიან ჩვენს ორგანიზაციას | 2 |
| ჩვენი ორგანიზაცია სთავაზობს სხვადასხვა სერვისს ბიზნეს სექტორის წარმოამდგენლებს | 3 |
| განხორციელებული გვაქვს ერთობლივი საქმიანობა/პროექტი | 4 |
| სხვა | 5 |

19. თუ გაქვთ ბიზნეს სექტორთან ერთობლივი საქმიანობის გამოცდილება, გთხოვთ მიუთითოთ საქმიანობის ტიპი და პარტნიორი ბიზნეს ორგანიზაცია

| ბიზნეს ორგანიზაცია | საქმიანობა / ერთობლივი ღონისძიება, პროექტი |
|---|---|
| | |
| | |
| | |

20. როგორი ურთიერთობა გაქვთ მედიასთან?

| | |
|---|---|
| ორგანიზაციას თითქმის არ აქვს ურთიერთობა მედიასთან | 1 |
| დროდადრო მედიის ინიციატივით შუქდება ორგანიზაციის საქმიანობა | 2 |
| ორგანიზაციას აქვს კონტაქტები მედიასთან, მედიის წარმომადგენლები აშუქებენ კონკრეტულ პროექტებს | 3 |
| ორგანიზაციას ჩამოყალიბებული ურთიერთობები აქვს მედიასთან, მედიასთან ურთიერთობის სტრატეგია არსებობს, ორგანიზაცია ცდილობს საზოგადოებისთვის ცნობილი გახადოს თავისი საქმიანობა და ხელი შეუწყოს მისიის პოპულარიზაციას / მხარდაჭერას | 4 |

21. თუ გაქვთ მედიასთან ერთობლივი საქმიანობის გამოცდილება, გთხოვთ მიუთითოთ ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითი


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

| მედია | საქმიანობა / ერთობლივი ღონისძიება, პროექტი |
|---|---|
| | |
| | |
| | |

22. რა სახით იყენებს თქვენი ორგანიზაცია სოციალური მედიას

| | |
|---|---|
| ორგანიზაციას არ აქვს ანგარიში (მისამართი) სოციალურ ქსელში | 1 |
| ორგანიზაციას აქვს მისამართი Facebook-ში მაგრამ არ ხდება მისი მუდმივი განახლება (წელიწადში მხოლოდ რამოდენიმეჯერ) | 2 |
| ორგანიზაცია მუდვიმად ათავსებს ფოტოებს / ინფორმაციას რომელიც ასახავს ორგანიზაციის საქმიანობას | 3 |
| ორგანიზაცია სოციალურ მედიას იყენებს ამათუიმ კამპანიის დაგეგმვისთვის, განხორციელებისთვის, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის | 4 |

ბლოკი სერვისები და სამიზნე ჯგუფები

23. ყავს თუ არა ორგანიზაციას გამოკვეთილი სამიზნე ჯგუფები?

1. დიახ
2. არა

24. რომელ ჯგუფებს ემსახურება ორგანიზაცია ბოლო 3 წლის განმავლობაში?

| სამიზნე ჯგუფები | შემოხაზეთ |
|---|---|
| ზოგადად შშმ პირები | 1 |
| შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები | 2 |
| ფიზიკური შეზღუდვების მქონე პირები | 3 |
| სმენის პრობლემების მქონე პირები | 4 |



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

| | |
|---|---|
| უსინათლოები | 5 |
| მენტალური პრობლემების მქონე პირები | 6 |
| ფსიქიკური პრობლემების მქონე პირები | 7 |
| სხვა ჩაწერეთ | |
| სხვა (ჩაწერეთ) | |
| სხვა (ჩაწერეთ) | |
| სხვა (ჩაწერეთ) | |
| სხვა (ჩაწერეთ) | |


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

**25. თუ თქვენი ორგანიზაცია არის სერვისზე ორიენტირებული, რა ტიპის სერვისს სთავაზობთ თქვენს ბენეფიციარებს?**

| სერვისის ტიპი | ჩაწერეთ |
|---|---|
| სადღეღამისო ზრუნვა | 1 |
| ზრუნვა დღის ცენტრში | 2 |
| შშმ პირების მოსახურება სახლში | 3 |
| სამედიცინო მომსახურება | 4 |
| ფსიქოკორექცია | 5 |
| სოციალურ გარემოში ადაპტირება | 6 |
| იურიდიული კონსულტაციები | 7 |
| ეტლით უზრუნველყოფა | 8 |
| ფიზიკური რეაბილიტაცია | 9 |
| სხვა ჩაწერეთ | |
| სხვა (ჩაწერეთ) | |
| სხვა (ჩაწერეთ) | |
| სხვა ჩაწერეთ | |

**26. სამიზნე ჯგუფების ინტერესების გამოსავლენად რა ზომებს მიმართავთ?** (არ წაუკითხოთ ვარიანტები, შემოხაზეთ ის პასუხი რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება)

1. პროექტის დაწყების წინ ვატარებთ პოტენციური ბენეფიციარების გამოკითხვას საკუთარი ძალებით
2. საქმიანობის პროცესში ბენეფიციარებისგან ვიღებთ ინფორმაციას
3. ვიყენებთ სხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოგროვებულ ინფორმაციას
4. ვეყრდნობით საკუთარ ცოდნას და ინტუიციას

**27. თქვენს მიერ გაწეული მომსახურების ეფექტურობის შესამოწმებლად სამიზნე ჯგუფებთან კავშირის რა ფორმებს იყენებთ?** (არ წაუკითხოთ ვარიანტები, შემოხაზეთ ის პასუხი რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება)

1. არ გვაქვს მექანიზმი
2. ბენეფიციარებისგან ზეპირი შთაბეჭდილებების გაზიარებით (მადლობები . . .)
3. მომსახურების შემდეგ ვავსებინებთ შეფასების ბლანკს
4. ვატარებთ პროექტის შეფასებას, საკუთარი ძალებით
5. ვატარებთ პროექტის შეფასებას მოწვეული კონსულტატნტის დახმარებით



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

**28. როგორია შესრულებული საქმიანობის შეფასების პროცესი?** (არ წაუკითხოთ ვარიანტები, შემოხაზეთ ის პასუხი რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება)

1. შეფასების რაიმე ფორმალური მექანიზმი არ არსებობს. გამოიყენება ინფორმაციის ვერბალურ დონეზე შეგროვებისა და ინტუიციის მეთოდები
2. შეფასებებს არარეგულარული ხასიათი აქვს და ისიც იმ შემთხვევაში ტარდება, როდესაც ამას დონორი მოითხოვს.
3. შეფასებები ტარდება ორგანიზაციის ხელმძღვანელის ინიციატივით; თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ მათ განხორციელებაში; მმართველობის ზოგიერთი გადაწყვეტილება შეფასების მონაცემებს ეყრდნობა; მონიტორინგი და შეფასება მმართველობის ფუნქციებს შორის ჯერ კიდევ მეორეხარისხოვანი ფუნქციაა, არსებობს მიმდინარე საქმიანობის მონიტორინგის პროცედურა
4. მიმდინარე მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ფუნქციონირებს და მონაცემთა ანალიზი გადაწყვეტილების მიღების პროცესის აუცილებელი შემადგენელი ელემენტია

**29. აქვს თუ არა ორგანიზაციას საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის გამოცდილება?**

1. ორგანიზაციას არ აქვს ინტერესების დაცვის გამოცდილება
2. ინტერესების დაცვას ერთჯერადი ხასიათი აქვს, (მაგალითად კონკრეტული ბენეფიციარისთვის ფინანსური დახმარების მოძიება ...)
3. ორგანიზაციას აქვს ინტერესების დაცვის კამპანიის წარმოების გამოცდილება (საჭიროებების კვლევა, პრობლემის მოგვარებისთვის კონკრეტული კამპანიის დაგეგმვის და განხორციელების გამოცდილება)
4. ინტერესების დაცვა ორგანიზაციის საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია, ამ მიზნით ორგანიზაცია ახდენს გარემოს ანალიზს, ახორციელებს კვლევებს, ურთიერთობს ადგილობრივ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებთან, მედიასთან, ქმნის კოალიციებს სხვა აო-ბთან, საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატივების მონაწილეა

**30. თუ გაქვთ საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის გამოცდილება, აღწერეთ ერთ-ერთი შემთხვევა (სამიზნე ჯგუფი, რას ეხებოდა, რა შედეგი გამოიღო)**

__________________________________________________________________________

__________________________________________________________________________

__________________________________________________________________________

**ბლოკი -საქმიანობის მართვა / დაგეგმვა**



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

31. **როგორ გეგმავთ საქმიანობას**
    1. იგეგმება ყოველდღიური საქმიანობა
    2. საქმიანობა დაგეგმილია მხოლოდ პროექტის ფარგლებში
    3. ორგანიზაციას გააჩნია 1 წლიანი სამოქმედო გეგმა
    4. ორგანიზაციას გააჩნია გრძელვადიანი (3-4 წლიანი) სტრატეგიული გეგმა და მისი შესრულების სამოქმედო გეგმა

32. **რა სტრუქტურული ერთეულები / ფუნქციები არსებობს ორგანიზაციაში, რამდენად ქმედითია ისინი?**

| სტრუქტურული ერთეულები / ფუნქციები | არსებობს | ქმედითია |
|---|---|---|
| 1. საერთო კრება | 1 | 2 |
| 2. გამგეობა როგორც სამეთვალყურეო რგოლი | 1 | 2 |
| 3. აღმასრულებელი რგოლი (თავმჯდომარე /დირექტორი) | 1 | 2 |
| 4. მიმართულებების ხელმძღვანელები (საშუალო რგოლის მენეჯერები) | 1 | 2 |
| 5. თემატური ჯგუფები | 1 | 2 |
| სხვა (მიუთითეთ) | | |
| | | |

33. **არსებობს თუ არა ორგანიზაციაში დოკუმენტაციის წარმოებისა და შენახვის პრაქტიკა?**
    1. დიახ
    2. არა
34. **რა სახის დოკუმენტებს ინახავთ ორგანიზაციაში?**

| | შემოხაზეთ |
|---|---|
| წესდება | 1 |
| მნიშვნელოვანი შეხვედრების ოქმები | 2 |
| ფინანსური ანგარიშები | 3 |
| პროგრამული ანგარიშები | 4 |
| მიმოწერის დოკუმენტები | 5 |
| შინაგანაწესი | 6 |
| ბრძანებების წიგნი | 7 |
| შრომითი ხელშეკრულებები / კონტრაქტები | 8 |


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

| | |
|---|---|
| თანამშრომლებთან | |
| აუდიტორული შემოწმების ანგარიში | 9 |
| პროგრამული შეფასების ანგარიში | 10 |
| სტრატეგიული გეგმა | 11 |
| წლიური ანგარიში | |

**ბლოკი – რესურსები**

**35. ორგანიზაციაში მუშაობს:**

| | ჩაწერეთ რამდენი |
|---|---|
| 1. არაანაზღაურებადი გუნდი | |
| 2. მუდმივი შტატიანი ანაზღაურებადი თანამშრომელი | |
| 3. პროგრამებში დროებით დასაქმებული ანაზღაურებადი თანამშრომელი | |
| 4. მოხალისე / სტაჟიორი | |

**36. ბოლო 2 წლის განმავლობაში ორგანიზაციის თანამშრომლების რიცხვი:**

1. გაიზარდა
2. შემცირდა
3. პრაქტიკულად არ შეცვლილა

**37. ბოლო 2 წლის განმავლობაში ორგანიზაციის თანამშრომლების დაახლოებით რა ნაწილი შეიცვალა?**

1. თანამშრომელთა შემადგენლობა პრაქტიკულად არ შეცვლილა
2. 10%-მდე
3. 30%-მდე
4. 50%-მდე
5. 50%-ზე მეტი

**38. ყველაზე ხშირად რა იყო თანამშრომელთა შეცვლის მთავარი მიზეზი?**

1. შესაბამისი ანაზღაურებით უზრუნველყოფის შეუძლებლობა
2. სახელმწიფო სტრუქტურებში გადასვლა
3. სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებში გადასვლა
4. ბიზნეს ორგანიზაციაში გადასვლა



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

5. კონფლიქტი ხელმძღვანელობასთან / თანამშრომლებთან
6. სხვა

39. გაუვლიათ თუ არა თქვენ / თქვენს თანამშრომლებს ტრენინგი შემდეგ საკითხებზე?

| | |
|---|---|
| საარჩევნო პროცედურები | 1 |
| საარჩევნო კანონმდებლობა | 2 |
| საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა / ადვოკატირება | 3 |
| ორგანიზაციის საქმიანობის შეფასება / პროექტის შეფასება მონიტორინგი | 4 |
| ბენეფიციარების საჭიროებების გამოვლენა | 5 |
| სხვა მსგავსი თემატიკის ტრენინგი (ჩაწერეთ) _______________________________________________ | |

40. გააჩნია თუ არა ოფისი თქვენს ორგანიზაციას?

1. გააჩნია საკუთარი ოფისი
2. მუდმივად ქირაობს ოფისს
3. უსასყიდლოდ სარგებლობს სახელწიფო საკუთრებაში არსებული ფართით
4. ქირაობს ოფისს საჭიროების შემთხვევაში
5. ოფისი დროებით განთავსებულია თანამშრომლის / ხელმძღვანელის სახლში
6. სხვა

41. რამდენ თანამშრომელს აქვს საკუთარი სამუშაო ადგილი (სამუშაო მაგიდა)?

---

42. რამდენ თანამშრომელს აქვს საკუთარი სამუშაო ადგილი (სამუშაო მაგიდა)?

| დასახელება | რაოდენობა |
|---|---|
| 1. კომპიუტერი | |
| 2. ფაქსი | |
| 3. პრინტერი | |
| 4. ქსეროქსი | |
| 5. ტელევიზორი | |



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

| | |
|---|---|
| 6. ავტომობილი | |
| 7. ვიდეოპლეიერი | |
| 8. ვიდეოკამერა | |
| 9. სკანერი | |
| 10. DVD პლეიერი | |
| 11. სხვა | |
| 12. | |
| 13. | |

43. საკმარისია თუ არა თქვენს ხელთ არსებული ტექნიკა მიმდინარე საქმიანობის განსახორციელებლად?

1. დიახ
2. არა

44. გთხოვთ, მიუთითოთ თქვენი ორგანიზაციის შემოსავლის წყაროები გასული ორი წლის განმავლობაში

| დაფინანსების წყარო | დაფინანსების წილი მთლიან ბიუჯეტში | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1. საწევრო | 0% | 0-5% | 5 - 15% | 15 - 50% | 50-100% |
| 2. შემოწირულობა კერძო პირიდან | 0% | 0-5% | 5 - 15% | 15 - 50% | 50-100% |
| 3. შემოწირულობა ბიზნეს სტრუქტურიდან | 0% | 0-5% | 5 - 15% | 15 - 50% | 50-100% |
| 4. გრანტი | 0% | 0-5% | 5 - 15% | 15 - 50% | 50-100% |
| 5. სახელმწიფო შეკვეთა / სახელმწიფო გრანტი | 0% | 0-5% | 5 - 15% | 15 - 50% | 50-100% |
| 6. შემოსავალი სამეწარმეო საქმიანობიდან (გაწეული სერვისი, პუბლიკაციები და სხვა) | 0% | 0-5% | 5 - 15% | 15 - 50% | 50-100% |



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

| სხვა_______________________ | 0% | 0-5% | 5 - 15% | 15 - 50% | 50-100% |
|---|---|---|---|---|---|

*45.* თუ ორგანიზაციას აქვს საკუთარი შემოსავალი, მიუთითეთ კონკრეტულად რა საქმიანობიდან აქვთ შემოსავალი (მაგ.: პუბლიკაციების გაყიდვა, ფასიანი სერვისი და ა.შ.)
________________________________________________________________________________

46. როგორი იყო დაახლოებით თქვენი ორგანიზაციის ბიუჯეტი დოლარებში?

| | **2012** | **2013** | 2014 |
|---|---|---|---|
| პრაქტიკულად არ გაგვაჩნდა | | | |
| 500-მდე | | | |
| 500 – 1000-მდე | | | |
| 1000 – 5 000 | | | |
| 5000 – 10 000 | | | |
| 10 000 - 25 000 | | | |
| 25 000 - 50 000 | | | |
| 50 000 – 100 000 | | | |
| 100 000 – 200 000 | | | |
| 200 000 – 500 000 | | | |
| 500 000 -1 000 000 | | | |
| 1 000 000 და მეტი | | | |

47. რამდენად უწყვეტი იყო თქვენი ორგანიზაციის დაფინანსება ბოლო 2 წლის განმავლობაში?


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

1. პრაქტიკულად არ გვქონია წყვეტა დაფინანსებაში
2. დაფინანსებებს შორის წყვეტა არ აღემატებოდა 2 თვეს
3. დაფინანებებს შორის წყვეტა არ აღემატებოდა 6 თვეს
4. დაფინანსებებს შორის წყვეტა არ აღემატებოდა 1 წელს

48. როგორ აღწერდით ორგანიზაციის ფინანსური წყაროების მრავალფეროვნებას?

1. დაფინანსება მხოლოდ ერთი წყაროდან გვაქვს (დროის თითოეულ მონაკვეთში)
2. დაფინანსება რამოდენიმე წყაროდან გვაქვს, მაგრამ დაფინანსების 80% ერთი წყაროდან არის
3. დაფინანსების არც ერთი წყარო არ იძლევა სახსრების 60%-ზე მეტს
4. დაფინანსების არც ერთი წყარო არ იძლევა სახსრების 40%-ზე მეტს

49. როგორია ფინანსური რესურსების კონტროლის მექანიზმები? (არ წაუკითხოთ ვარიანტები, შემოხაზეთ ის პასუხი რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება)

1. ფინანსური რესურსები ძირითადად დონორების მიერ კონტროლდება. შიდა კონტროლის მექანიზმები ძალზე სუსტია.
2. ფინანსური პროცედურები დადგენილია, მაგრამ ბოლომდე სისტემატური არ არის.
3. ფინანსური პროცედურები სისტემატურ ხასიათს ატარებს და ორგანიზაციის მართვას უწყობს ხელს. დოკუმენტირებული პროცედურები აიოლებს ორგანიზაციის ფინანსების კონტროლს.
4. კონტროლი ორგანიზაციის შიდა მართვის ფუნქციაა. ორგანიზაციაში არ ითვლება, რომ კონტროლი შეიძლება ოდესმე ზედმეტი იყოს

50. ატარებთ თუ არა აუდიტორულ შემოწმებას?

1. აუდიტი არ ტარდება
2. აუდიტი ტარდება ძალზე იშვიათად
3. აუდიტი ტარდება მაგრამ არარეგულარულად
4. აუდიტი ტარდება რეგულარულად, დადგენილი წესით და სიხშირით

ბლოკი - ორგანიზაციის მომავალი გეგმები

51. როგორია თქვენი ორგანიზაციის გეგმები მომავალი 1 წლის განმავლობაში? რა საკითხებზე გეგმავთ მუშაობას, ხომ არ აპირებთ ახალი სერვისების შეთავაზებას და ა.შ. ?

____________________________________________________________

____________________________________________________________

____________________________________________________________



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

52. თქვენი აზრით რა გაზრდის შშმ პირების არჩევნებში ჩართულობას?

_______________________________________________________________________________
_______________________________________________________________________________
_______________________________________________________________________________

53. როგორ შეაფასებდით ბოლო წლებში საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტს?

_______________________________________________________________________________
_______________________________________________________________________________
_______________________________________________________________________________



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

საქართველოს ინსტიტუციონალური განვითარების ცენტრი

ქულები

| #1 | ქულა |
|---|---|
| **1. Organizational structure and management structure** | |
| 1.1 Organizational structure (ორგანიზაციული სტრუქტურის გამართულობა) | |
| 1.2 Management of activities (საქმიანობების მართვა) | |
| 1.3 Written procedures / regulations / written norms / documents (წერილობითი პროცედურები) | |
| 1.4 ფინანსური ანგარიშგების პროცედურები | |
| **2. Resources (financial, technical, human)** | |
| 2.1 Human resources (ადამიანური რესურსები, მათ შორის მოხალისეების მოზიდვის უნარი) | |
| 2.2 Office equipment resources (ოფისის ტექნიკური აღჭურვა) | |
| 2.3 Office space (საოფისე ფართი) | |
| 2.4 Funding in previous year (წინა წლების დაფინანსება) | |
| 2.5 Financial sustainability (ფინანსური მდგრადობა) | |
| **3. Activities / services (diversity and sustainability of services)** | |
| 3.1 Experience in evidence based policy-making and advocacy (ადვოკატირებაში გამოცდილება) | |
| 3.2 Sustainability and diversity of services (სერვისების მრავალფეროვნება და სტაბილურობა) | |
| 3.3 Territorial domain of activities (საქმიანობის არეალი) | |
| 3.4 კვლევების გამოყენება საქმიანობის დაგეგმვისთვის | |
| 3.5 პროექტების განხორციელების გამოცდილება | |
| **5. Partnership / external relations (with local government, other rural associations, associations operating at national level, media)** | |



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

| | |
|---|---|
| 5.1 Relations with other associations (ურთიერთობა სხვა ადგილობრივ ორგანიზაციებთან) | |
| 5.2 Relations with local authorities (ურთიერთობა სახელმწიფოსთან) | |
| 5.3 Relations with donors / international organizations (ურთიერთობა დონორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან) | |
| 5.4 Relations with media (ურთიერთობა მედიასთან) | |


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

დანართი 4. კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების სია

| # | ორგანიზაციის სახელწოდება | ორგანიზაციის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი, თანამდებობა) | საკონტაქტო ტელეფონები | საკონტაქტო მისამართი | e-mail |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ,, ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“ | მაია ბიბილეიშვილი | 577 71 56 09 | ვაჟა-ფშაველას 76 ბ | Mabibi50@hotmail.com |
| 2 | „მომავალი იწყება დღეს“–უსინათლოთა რეაბილიტაცია | მარინა მამულია | 591 13 81 52 | თბილისი. პეკინის გამზირი,41 | marina.mamulia@gmail.com |
| 3 | „საჩხერის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა“ რეგისტრირებული კავშირი | გიორგი გოგატიშვილი , გამგეობის თავმჯდომარე | (0435) 22 18 11; 551 27 45 67; 599 27 45 67 | 4000 ქ.საჩხერე, თავისუფლების ქუჩა №4 | goga72disability@gmail.com ; goga72disability@rambler.ru |
| 4 | ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი | ლია კილაძე - დირექტორი | 591 171771 (0431)251330 | ქუთაისი, გრიშაშვილის მე-4 შეს. #3 | Kutaisi.youth@gmail.com |
| 5 | აიპ „კოალიცია შინმოვლა საქართველოში“ | უჩა ვახანია, აღმასრულებელი დირექტორი | 231 62 02, 595 55 16 16 | თბილისი, ნუცუბიძის ქ. # 187ა | ucha@homecare.ge |
| 6 | ინვალიდთა ინტეგრაციისა და ხელოვნების განვითარების ასოციაცია „ჰანგი“ | რუსლან საჯაია. ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე . | 593 35 37 02 | ზუგდიდი, კ. გამსახურდიას 206 | hangi2@rambler.ru hangi35@gmail.com |
| 7 | კავშირი “მშობლების თანადგომა“ | ნათია კიკვაძე თავმჯდომარე | 591668577 | თაბუკაშვილისქ. #27 | natia_kikvadze@yahoo.com |
| 8 | კავშირი ქალი და რეალობა | თამარ მაჭარაშვილი – გამგეობის თავმჯდომარე | (+995 5) 1 004 204 | ცოტნე დადიანის 315 | t.macharashvili1@gmail.com |
| 9 | საქართველოს ინვალიდ ქალთა საერთაშორისო ასოციაცია | მანანა (მაყვალა) გალუაშვილი | +995 32 2920911: 593 535416 | თბილისი ძმ. ზუბალაშვილები 34 | gdwia@access.sanet.ge |


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 10 | საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაცია | ნინო პაატაშვილი | 593334224 | თელავი ელენე ახვლედიანის პირველი შეს. N1 | ninopaatashvili@gmail.com |
| 11 | საქართველოს უსინათლოთა კავშირი | ფრიდონ ლობჟანიძე- თავმჯდომარე | 577 449 924; 2 45 75 12 | ბ. კალანდაძის 3 | fridonlobjanidze@mail.ru |
| 12 | საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება | ანა ჯოხაძე; თავმჯდომარე | 272 95 35; 593 68 79 56. | ქ.თბილისი გურჯაანის 22 | eka-mc@mail.ru |
| 13 | საქართველოს უსინათლოთა უფლებეbი დაცვის ასოციაცია. | იმედა მოთიაშვილი ასოციაციის თავმჯდომარე | 599 39 11 22; 599 32 19 32; 593 91 39 93; | ქ. თბილისი გურჯაანის 22 | usinatlota.uplebebis.dacva2014@gmail.com |
| 14 | სტუდია "ეი-დი-სი" | გულნარა ბიბილეიშვილი | 595037038 | ვაჟა-ფშაველას 76 ბ | gunabibi@gmail.com |
| 15 | ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის | თემური კაკაბაძე | 577 574000 | ბათუმი, ფარნავაზ მეფის 12 | Gtu.dpo@gmail.com |
| 16 | გურიის რეგიონის ინვალიდთა ასოციაცია | რომან ლომაძე | 577780059 | ოზურგეთი, კოსტავას 123 | roman.lomadze@gmail.com |
| 17 | ქუთაისი ასოციაცია მოწყალება | გულიზა ჯავახაძე | 558779807 | ბუხაიძის ქ. #5 | khatuna.javakhadze@gmail.com |
| 18 | ასოციაცია "დეა" ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია | მადონა ხარებავა | 577454588 | ზუგდიდი, ლაზის ქუჩა 3 | madonnakharebava@yahoo.com |
| 19 | გორის ინვალიდთა ასოციაცია | თინა ბრეგვაძე | 599792572 | გორი, თარხნიშვილის 20 | tina-1@rambler.ru |
| 20 | საქართველოს ყრუთა კავშირი | მაია მეტონიძე | 577456615 | თბილისი. ნინო ჩხეიძის #2 | geodeaf@mail.ru |



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

## დანართი 5. სუბიექტური შთაბეჭდილებები

რესპოდენტი: 12505

რესპოდენტი თბილი და ღია ადამიანი იყო, ოპტიმისტურად განწყობილი, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. სურვილის მიუხედავად არჩევნებზე თავად მისულიყო, ყოფილიყო აქტიური, შეუძლებელია, რადგან გარემო სადაც ცხოვრობს არ არის ადაპტირებული, აქედან გამომდინარე სახლიდან ვერ გამოდის.

რესპოდენტი: 12500

რესპოდენტი არ იყო დაძაბული, გულახდილად და ღიად მპასუხობდა თუმცა თვლის, რომ ამ კვლევას არანაირი შედეგი არ მოყვება, არაფერი შეიცვლება. არჩევნებით დაინტერესებულია, აქედან გამომდინარე ხმას აძლევს ყოველთვის და არანაირი პრობლემა არ შექმნია.

რესპოდენტი: 12552

რესპოდენტი ძალიან გულახდილად მპასუხობდა. თითქმის არ ენდობა არც კერძო და არც სახელმწიფო სამსახურებს. კითხვა EL 19 არ ეთანხმება არცერთ წინადადებას, თუმცა ცდილობს აქტიურად იყოს ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში. სასიამოვნო იყო მისთვის, რომ ინტერესდებიან შშმ ადამიანებით.

რესპოდენტი: 12574

რესპოდენტი ღიად საუბრობდა. არჩევნებით არ არის ძალიან დაინტერესებული. თვლის რომ შესაფერისი კანდიდატები არ გვყავს ხმა რომ მისცეს, ამიტომ არ იღებს მონაწილეობას. კითხვა EL19-ში თითქმის ყველა კომპონენტი უარყოფითად შეაფასა. გულგრილად იყო განწყობილი ზოგადად ამ კვლევის შესახებ. თვლის, რომ ეს ყველაფერი უბრალო ფორმალობაა.

რესპოდენტი: 12553

კომუნიკაბელური, ღია რესპოდენტი იყო. იქიდან გამომდინარე, რომ სტატუსი არ აქვს მინიჭებული, არ შეუძლია ხმის მიცემა. ამიტომ ნაკლებად იყო დაინტერესებული არჩევნებით. არც მისი ეზო არ არის ადაპტირებული, რომ თვითონ შეძლოს არჩევნებზე წასვლა.

რესპოდენტი: 12549

ინტერვიუს დროს რესპოდენტი განიცდიდა დედის ზეგავლენას, რომელსაც უთანხმებდა პასუხებს ან იმეორებდა დედის ნათქვამს. თუმცა ჩემი თხოვნის შემდეგ დედამისი აღარ ესწრებოდა საუბარს. რის შემდეგაც გახდა  ღია და გულახდილი. ყველა არჩევნებში აქვს მონაწილეობა მიღებული და არანაირი პრობლემა არ შექმნია. კითხვა HR 6 თითქმის ყველა რესპოდენტისათვის არაფრის მიმცემი იყო თვითონ როგორც ამბობდნენ. ხშირად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას.

რესპოდენტი: 12535



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

კითხვარის შევსების დროს რესპოდენტი ნაკლებად იყო დაინტერესებული ამ კონკრეტული თემით. არ იყო დაინტერესებული პოლიტიკითა და არჩევნებით. არანაირ სოციალურ დაზღვევას არ იღებს, შესაბამისად მისთვის მნიშვნელოვანი და ამავდროულად პრობლემა სწორედ ეს იყო.

რესპოდენტი: 12796

რესპოდენტი ძალიან ღია და უშუალო იყო. აქტიურად არის ჩართული პოლიტიკაში, აინტერესებს არჩევნები. იღებს სოციალურ დახმარებას, აქედან გამომდინარე მადლიერი იყო სახელმწიფოს მიმართ. შესაბამისად კითხვების უმრავლესობას დადებითად უპასუხა. იყო გულწრფელი. მისთვის სასიამოვნო იყო, რომ დაინტერესდნენ შშმ პირებით.

კითხვარი 11

რესპოდენტი იყო აქტიური, კონტაქტური. იგი მღელვარებით აღნიშნავს, რომ მას მერე რაც იგი ეტლით მოსარგებლე გახდა (მხოლოდ რამდენიმე თვეა) მან ვერ მოახერხა ბოლო არჩევნებში მონაწილეობის მიღება, რადგან არ იცოდა, რომ თავად უნდა შეეტყობინებინა ყუთის ბინაზე მოტანის თაობაზე.

რესპოდენტი: 012350

რესპოდენტი არის ბავშვობიდან ინვალიდი მოძრაობის შეზღუდვით. იგი არის მეტად აქტიური, კონტაქტური, ადეკვატური. ინტელექტი და სოც. უნარები სრულად შენახული აქვს. ინტერვიუმ ჩაიარა თბილ, კეთილგანწყობილ ვითარებაში.

რესპოდენტი: 012355

რესპოდენტი არის 15 წლის ასაკიდან ეტლით მოსარგებლე. ინტელექტი და სოც. უნარები აქვს სრულად შენახული. ინტერვიუს მსვლელობის დროს იყო მეტად აქტიური, ადეკვატური, კეთილგანწყობილი.

კითხვარი N14

რესპოდენტი იყო აქტიური. კეთილგანწყობილი. ადეკვატური. ინტელექტი და სოც. უნარები სრულად შენახული ქონდა. აქვს ძირითადად დასაქმების მოთხოვნა. მისი პასუხები იყო გაშლილი, შინაარსით დატვირთული.

რესპოდენტი: 012351

რესპოდენტი რამდენიმე წელია არის ფაქტიურად ლოგინად ჩავარდნილი, გადაადგილდება პერიოდულად ეტლით. გადატანილი აქვს ინსულტი. ინტელექტი შენახული აქვს. აღქმა შენელებული. ინტერვიუ გაგრძელდა 2 საათი, იგი ითხოვდა კითხვის რამდენჯერმე გამეორებას, ასევე ითხოვდა დასვენებას, მეუღლის დახმარებას. თუმცა მისი პასუხები იყო სრულიად ადეკვატური.

რესპოდენტი: 012361


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

რესპოდენტი 20 წელია სარგებლობს ეტლით, თუმცა ბოლო დროს ძირითადად არის მწოლიარე მდგომარეობაში. ინტელექტი შენახული, აღქმა დაქვეითებული. უჭირს საუბარი, რის გამოც ინტერვიუ გახანგრძლივდა. თუმცა მისი ყველა პასუხი იყო სრულიად ადეკვატური. დამოკიდებულება იყო კეთილგანწყობილი.

რესპოდენტი: 012349

ინტერვიუს დაწყებისას რესპოდენტი იყო აგრესიული, შემითანხმდა, თუ კითხვები არ მოეწონებოდა ძალიან გაბრაზდებოდა, მაგრამ იგი თანდათან დამშვიდდა, გახდა კონტაქტური, ადეკვატური და კეთილგანწყობილი. იგი არის ეტლით მოსარგებლე, თუმცა მისი საცხოვრებელი ფართი სრულად შეუსაბამოა ეტლის ზომებთან, რის გამოც იგი ყავარჯნების დახმარებით გადაადგილდება საწოლიდან სკამზე.

რესპოდენტი: 012348

რესპოდენტი იყო კონტაქტური, აქტიური. ინტელექტი და სოც. უნარები სრულად შენახული ქონდა. ინტერვიუ ჩატარდა მშვიდად, კეთილგანწყობილ გარემოში.

რესპოდენტი: 012345

რესპოდენტი იყო კონტაქტური, აქტიური, ადეკვატური.

რესპოდენტი: 12601

გზა არ არის ადაპტირებული იმისათვის რომ გადაადგილდეს. ფსიქოტროპული წამლები ესაჭიროება, მაგრამ ვერ ახერხებს ყიდვას. ეს წამლები ძვირიც არის და რეცეპტის გარეშე ვერ ყიდულობენ. 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე გადასატანი ყუთი არ მიუტანეს. საცხოვრებელი შეიცვალა და აზრალებს ამ ფაქტს. სურვილი აქვს არჩევნებში მონაწილეობის მიღების.

რესპოდენტი: 12593

ორი შშმ პირი ცხოვრობს სახლში. მისი მეუღლე არჩენს ოჯახს. მე-2 სართულზე ცხოვრობს და იქიდანაც უჭირს გარეთ გასვლა. სადარბაზოში პანდუსი არ არის და არც ეზოა ადაპტირებული ეტლით გადაადგილებისათვის. ჯანმრთელობის საკითხი არის უმნიშვნელოვანესი ამჟამად მისთვის და ელის, რომ ჯანმრთელობის დაზღვევა მეტად დააფინანსებს. კულტურულ, სპორტულ, გასართობ ღონისძიებებზე რომ ჩაერთოს იქამდე ბევრი პრობლემა უნდა მოგვარდეს.

რესპოდენტი: 12598

მისი მდგომარეობა არის ცუდი, მხოლოდ იმიტომ რომ მასზე გაჭირვებულებიც არსებობენ. ეტლით გადაადგილება უჭირს, რადგან გარემო არ არის ადაპტირებული. ოჯახში ჰყავთ მცირეწლოვანი შვილი, რომელსაც მისი მეუღლე ზრდის. საცხოვრებელი სახლი არის ავარიული და ეშინიათ, რომ შესაძლოა დაინგრეს. მისი აზრით როგორც არჩევნების პერიოდში ზრუნავენ შშმ პირებზე, ასევე უნდა გაგრძელდეს მთელი წელი.

რესპოდენტი: 12599


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

მამაკაცს მცირეწლოვანი შვილები ყავს. უჭირს მეტყველება, მაგრამ ყველაფერი ესმის და შეძლებისდაგვარად გვპასუხობს. უკმაყოფილოა შშმ პირების მდგომარეობით საქართველოში. მისი აზრით პენსია არის მინიმალური და იმედი აქვს, რომ მოიმატებს. დედა და მეუღლე უვლიან, ამიტომ ვერ ახერხებენ მუშაობას.

რესპოდენტი: 12609

მამაკაცი მეორე ჯგუფის ინვალიდია. ინვალიდობის სტატუსი მკვეთრადაა გამოხატული, მაგრამ არ აძლევენ პირველი ჯგუფის ინვალიდის სტატუსს. 20 წუთზე დიდხანს ვერ ძლებს ეტლში. მისი საცხოვრებელი ბინა მე-7 სართულზეა. სადარბაზოში არ არის პანდუსი, ამიტომ 2000 წლიდან თითქმის სულ სახლშია. იმედოვნებს, რომ უკეთესობისკენ შეიცვლება სიტუაცია.

რესპოდენტი: 12607

ქალბატონს უჭირდა მეტყველება, მაგრამ იმდენად დაინტერესებულია შშმ პირების პირობების გაუმჯობესებით, გამოკითხვაზე უარი არ თქვა. 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე გადასატანი ყუთის მიტანას შეჰპირდნენ საარჩევნო ადმინისტრაციიდან, მაგრამ არ მიუტანეს. თავად კი შეუძლოდ არის და უბანზე ვერ გადაადგილდა. იმედოვნებს, რომ სასიკეთო ცვლილებები განხორციელდება შშმ პირების პირობების გაუმჯობესების კუთხით.

რესპოდენტი: 12611

საცხოვრებელი არ აქვს. ხელნაკეთი ეტლით გადაადგილდება. სახელმწიფოს მოხელეები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას შშმ პირებს. ელის, რომ მთავრობა შშმ პირებს ეტლით მაინც უზრუნველყოფს. სამუშაოს ეძებს დიდი ხანია, მაგრამ ვერ პოულობს. ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამამ არ აუნაზღაურა მკურნალობის ხარჯები და ელის, რომ ამ მხრივ სასიკეთო ცვლილებები განხორციელდება. 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე მოვიდა საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად. საარჩევნო გარემო სათანადოდ არ იყო მოწყობილი და სერიოზული პრობლემები შეუქმნა ამან.

რესპოდენტი: 12587

ქალბატონი პირველი ჯგუფის ინვალიდია. სახელმწიფო მოხელეებისაგან ხშირად ესმის, რომ ზრუნავენ შშმ პირებზე, მაგრამ ამას საკუთარ თავზე ვერ გრძნობს. მისი აზრით ქვეყანაში შშმ პირებისათვის საარჩევნო გარემოს გაჯანსაღებამდე მრავალი პრობლემაა, რომელთა მოგვარება უნდა მოხერხდეს. საარჩევნო ადმინისტრაციას რამდენჯერმე დაავიწყდა გადასატანი ყუთის მიტანა. იმისათვის რომ გადაადგილდეს პანდუსი ესაჭიროება. სადარბაზოს კიბეები ისეა განლაგებული ეტლით გადაადგილება არ ხერხდება. უჭირს ენდოს უცხო ადამიანებს, ამიტომ როცა რაიმე სჭირდება ახლობლებს სთხოვს მის გაკეთებას. წამლებს რეცეპტის გარეშე აღარ აძლევენ და ეს დიდ პრობლემას უქმნის. მისი აზრით მთავრობას მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს შშმ პირებს.

რესპოდენტი: 12585

ქალბატონი ქირით ცხოვრობს და არსებული გარემო არ აძლევს გადაადგილების საშუალებას. დაზღვევა არ აქვთ, ამიტომ ძალიან უჭირთ წამლებისა და ექიმთან ვიზიტის თანხის გადახდა.


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

იმედოვნებს, რომ ახლა მაინც მიაქცევს მთავრობა ყურადღებას შშმ პირებს. 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების დროს გადასატანი ყუთის თაობაზე იყვნენ მასთან მისულები და შეჰპირდნენ, რომ მიუტანდნენ, მაგრამ არ მისულან. მას სურს მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, დააფიქსიროს საკუთარი აზრი და სახელმწიფო ვალდებულია მისი ეს უფლება დაიცვას.

რესპოდენტი: 12596

იპოთეკით დატვირთა ბინა და დაკარგა. ახლა ნათესავებთან ცხოვრობს პატარა ოთახში 5 სულთან ერთად. სოციალური დახმარება მოუხსნეს, რის გამოც მნიშვნელოვნად გაუარესდა მათი ეკონომიკური მდგომარეობა. ეტლი არ ჰქონდა და ნათესავმა დაწერა განცხადება, რომ მიეცათ. ეტლი მისცეს, მაგრამ ვერ სარგებლობს.

რესპოდენტი: 12659

რესპოდენტი არის სახლში ჩაკეტილი. არჩევნებში იღებს მონაწილეობას. მასთან მიაქვთ გადასატანი ყუთი. იგი არ გამოთქვამს მნიშვნელოვან შენიშვნებს არჩევნების პროცედურების მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

რესპოდენტისათვის ყველაზე დიდი პრობლემა არის საცხოვრებელი კორპუსი. იგი ცხოვრობს მე-9 სართულზე და ლიფტში არ ეტევა ეტლი. ოჯახში მხოლოდ ჩვენი რესპოდენტი და მისი მეუღლე ცხოვრობენ. მათი შემოსავალი 150 ლარია.

კითხვარი 31

ნინო არის ძალიან აქტიური. მას სახლში ჰყავს მოსწავლეები, რომლებსაც ამეცადინებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. პროფესიით ფილოლოგია. ასევე არის არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალი და რეალობა“-ს წევრი.

ნინომ პირველად არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2012 წელს, საპარლამენტო არჩევნების დროს. მას შემდეგ ყოველთვის დადის არჩევნებზე. ის ამბობს, რომ 2012 წლამდე სურვილი არ გასჩენია არჩევნებში მონაწილეობის, რადგან იცოდა, რომ მაინც გააყალბებდნენ. იგი ყოველთვის თვითონ მიდის უბანზე. სარგებლობს კომფორტული პანდუსით და ზოგადად ძალიან დადებითად აფასებს არჩევნების პროცესს და ასევე ცესკოს თანამშრომლებს.

ნინოს აქვს შემოთავაზებები სხვადასხვა სამსახურიდან, თუმცა იმის გამო, რომ გარემო არ არის ადაპტირებული, ვერ ახერხებს სახლის გარეთ მუშაობას. სჭირდება ყოველდღიურად ტაქსი, სჭირდება დახმარება მასში ჩაჯდომისას და გადმოსვლისას. შენობებში არ არის პანდუსები და ლიფტები, ამიტომ ვერ ახერხებს სამსახურის დაწყებას.

ნინის ოჯახში 4 ადამიანი ცხოვრობს და ბინის საერთო ფართობი 18 კვ.მ-ია. ეს ბინა თავისუფალ სარგებლობაში აქვს ოჯახს. ამდენად ნინოსთვის ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს არაადაპტირებული გარემო.

რესპოდენტი: 12647



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

რესპოდენტი არის ავღანეთის ომის ვეტერანი. ვიდრე ეტლით მოსარგებლე გახდებოდა დადიოდა არჩევნებზე. ავრანეთის ომის შემდეგ ვეღარ დადის. არჩევნების წინ ურეკავენ საუბნო კომისიის წევრები და ეუბნებიან, რომ გადასატან ყუთს სახლში მიუტანენ, თუმცა აღარ მიაქვთ.

რესპოდენტის მთავარი გასაჭირი კორპუსში ლიფტის არ არსებობაა. იგი ცხოვრობს მე-5 სართულზე და იშვიათად ახერხებს სახლიდან გასვლას. როგორც თვითონ განაცხადა ჩასვლა უადვილდება, ამოსვლით კი კიბეზე ჯდება და ისე ამოდის.

ლიფტის გაკეთებას სთხოვს ყველას, რათა არჩევნებზე და სხვა ნებისმიერ ადგილზე თავისუფლად გადაადგილდეს.

ოჯახი მატერიალურად ძალიან გაჭირვებულია. რესპოდენტს ჰყავს პენსიონერი მშობლები, უმუშევარი შვილი და მცირეწლოვანი შვილიშვილი, რომლის ბაღში მიყვანასაც ვერ ახერხებს. ოჯახის ერთადერთი შემოსავალი არის პენსია.

რესპოდენტი უნდობლობას უცხადებს ყველა სამთავრობო დაწესებულებას და ასევე ცესკოს.

რესპოდენტს ასევე შეუძლია სამუშაო დაიწყოს, მაგრამ ვერ ახერხებს ისეთი სამსახურის მოძებნას, რომლის შესრულებაშიც გარემო პირობები შეუწყობს ხელს.

ოჯახი რაიმე სახის დახმარებას ითხოვს. განსაკუთრებით კი კორპუსში ლიფტის გაკეთება დაეხმარება რესპოდენტს ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში.

რესპოდენტი: 12662

რესპოდენტი პენსიონერია. 10 წელია რაც ეტლით სარგებლობს. არჩევნებთან დაკავშირებით პრობლემები არ ექმნება. ყოველთვის ურეკავენ წინასწარ და არჩევნების დღეს სახლში მიაქვთ გადასატანი ყუთი. იგი კმაყოფილია არჩევნების ამჟამინდელი პროცედურით. ის ამბობს, რომ წინა მთავრობის დროს სიიდან აგდებდნენ, ან ყუთი არ მიჰქონდათ, რადგან მთავრობის მოწინააღმდეგე იყო.

რესპოდენტისთვის ყველაზე დიდ პრობლემას მედიკამენტების სიძვირე წარმოადგენს. იგი ითხოვს, რომ კლინიკაში, რომელშიც ის დადის (ვაზისუბნის მე-4 კლინიკა) გააკეთონ მოაჯირები და ლიფტი, რათა ექიმთან ასვლა შეძლოს მე-3 სართულზე. ექიმთან მისვლისას მას უხდება ექიმზე ადრე მივიდეს კლინიკაში, რათა ეზოში დახვდეს მას. მოაჯირიც არ არის, რომ შენობაში შეაღწიოს.

კითხვარი: 34

რესპოდენტი არის ძალიან აქტიური პიროვნება. მუდმივად ტრიალებს საზოგადოებაში. დასაქმებულია საჯარო სექტორში, კერძოდ სკოლებში კითხულობს სემინარებს შშმ პირების შესახებ.

რესპოდენტი ყოველთვის თავად მიდის საარჩევნო უბანზე. ის ამბობს, რომ პანდუსი რომელიც იქ დახვდა ძალიან მოუხერხებელია, მაგრამ როგორღაც სხვების დახმარებით ახერხებს უბანზე მისვლას. 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე თვითონ იყო დამკვირვებელი. ყველაზე მნიშვნელოვანია გარემოს ადაპტირება, რათა შეძლოს ყველგან თავისუფლად გადაადგილება. იგი სახლიდან 3



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

ადამიანის დახმარებით ახერხებს მხოლოდ გამოსვლას. არჩევნებზე ყოველთვის მიდის, იმიტომ რომ უნდა ქვეყნის გაუმჯობესების საკითხში რაიმე წვლილი შეიტანოს.

კითხვარი 35

რესპოდენტი არის აქტიური პიროვნება. ყოველთვის თვითონ მიდის არჩევნებზე. იგი უკმაყოფილოა, რომ უბანზე არ ხვდება პანდუსები და არც სხვა ხელშემწყობი პირობები. რესპოდენტი დასაქმებულია კერძო სექტორში. იშვიათად გადაადგილდება ყავარჯნების დახმარებით.

რესპოდენტი: 12653

რესპოდენტი არის 6 წლის ასაკიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი. მარჯვენა ხელი და ფეხი აქვს პარალიზებული. ჩაწოლილია, ცხოვრობს მისი დის ოჯახში. აფხაზეთიდან დევნილები არიან. რესპოდენტმა ერთხელ, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა. მაშინ განცხადება დაწერეს, რომ ყუთი სახლში მიეტანათ და მიუტანეს.

სხვა დროს საარჩევნო ადმინისტრაცია არ უკავშირდება და არ სთავაზობს გადასატანი ყუთის მიტანას. განცხადების დაწერას კი ყოველთვის ვერ ახერხებენ მისი ოჯახის წევრები.

ოჯახი ქირით ცხოვრობს. რესპოდენტი საერთოდ არ გადის სახლიდან მის კორპუსში არსებულ ლიფტში არ ეტევა ეტლი. ამდენად რესპოდენტი ვერ ახერხებს ხმის მიცემას თუ არ დაწერა განცხადება.

რესპოდენტი: 12727

ცხოვრობენ ერთ შვილთან ერთად ადაპტირებულ ბინაში (პანდუსით, მოაჯირებით, შესაბამისი ფართით). ასევე ჰყავთ საკუთარი ავტომობილი. ქალბატონი, მიუხედავად იმისა, რომ გაიარა სასწავლო კურსები (შეისწავლა კოსმეტოლოგია), ვერ იწყებს მუშაობას, რადგან ამის გამო მის ოჯახს დახმარება შეუწყდება. თვითონ კი დარწმუნებული არ არის, რომ სამსახურში დახმარებაზე მეტი ანაზრაურება ექნება. ოჯახი სიფრთხილეს იჩენს და დახმარების აღებას ამჯობინებს. მეუღლე აქტიური ადამიანია და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ გეგმიური ოპერაციები ჩაიტარონ საზღვარგარეთ (უკრაინაში).

რესპოდენტი: 12728

ცხოვრობს მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად. სხვადასხვა ოპერაციების შედეგად მისი მდგომარეობა უმჯობესდება. მისი პრობლემა ავტოსაგზაო შემთხვევით მიღებული ტრავმაა. ბ-ნი კმაყოფილია საყოველთაო ჯანდაცვით, ბოლო ოპერაცია ამ პროგრამით გაიკეთა. ბ-ნი ოპტიმისტურადაა განწყობილი, ელოდება გამოჯანმრთელებას და მდგომარეობის გაუმჯობესებას.

რესპოდენტი: 12698

ცხოვრობს მრავალსულიან ოჯახში (მეუღლე, შვილი, რძალი, შვილიშვილები), თუმცა მიუხედავად ამისა დაბალია ოჯახის წევრებისგან მხარდაჭერის ან მათი ჩართულობის ხარისხი მის პრობლემასთან დაკავშირებით. აქვს მხოლოს ტელევიზორი ინფორმაციის მისაღებად. ასევე ძალიან დაბალია ინფორმირებულობის დონე (მაგალითად ჩემგან შეიტყო, რომ შეუძლია ისარგებლოს სოც.


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

მომსახურების სააგენტოს სხვადასხვა სერვისით. მისი თქმით, მას აინტერესებს ბევრი რამ, მაგრამ რადგან შეზღუდული შესაძლებლობა აქვს არაფერს აკეთებს, მხოლოდ წევს და ოჯახის წევრების რაიმეთი შეწუხებაც არ სურს. არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ოჯახმა შეძლო მისთვის ეტლის ყიდვა, თუმცა ეტლს ძირითადად ექიმთან კონსულტაციის შემთხვევაში იყენებს. მისი თქმით ოჯახს აქვს საშუალება უზრუნველყოს მისი გადაადგილება/ტრანსპორტირება.

რესპოდენტი: 12705

ბ-ნის  ფუნქციონირების დონე საკმაოდ მაღალია. ის მუშაობს, ჩართულია სხვადასხვა აქტივობებში. აქვს ურთიერთობა მეზობლებთან (ვიზიტისას მეზობელთან ერთად უყურებდა ფეხბურთს). მე-5 სართულიდან ჩამოსვლას თვითონ დამოუკიდებლად ახერხებს, აქვს ფეხის პროთეზი, რითაც აქტიურად სარგებლობს (ორივე ფეხის ამპუტაცია მუხლს ქვემოთ). ასევე ყავს მანქანა, რომელსაც თვითონ მართავს. ბ-ნი  აზრით გარემოს მოწესრიგების მცდელობები შეიმჩნევა, მაგრამ ფიქრობს, რომ დაუდევრად და უგულისყუროდაა გაკეთებული. მაგ: სასამართლოში, სადაც ხშირად უწევს მას მისვლა, არის მხოლოდ პანდუსი და არ არის მაგალითად მოაჯირი, რომელიც მისთვის ძალიან საჭიროა. ასევე ფიქრობს, რომ ადამიანები ხელს არ უწყობენ და არ ზრუნავენ ერთმანეთზე (მაგ: იგივე სასამართლოს მანქანების სადგომზე, ეტლით მოსარგებლე მძღოლებისათვის მანქანების ადგილზე მუდმივად სხვა მანქანებია გაჩერებული და ეს ძალიან აწუხებს. მისი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომ ქვეყანა ვერ უზრუნველყოფს ერთდროულად იმუშაონ ადამიანებმა და თან დახმარებაც მიიღონ. მაგალითად მან მომიყვა, რომ რამდენიმე ხნის წინ საჯარო ბიბლიოთეკამ გამოაცხადა ვაკანსია შშმ პირებისათვის საზაფხულო პერიოდში, ანაზღაურებაც ნორმალური იყო, დაახლოებით 500 ლარი. თუმცა 1-2 თვე გრძელდებოდა ეს სამსახური. ადამიანი არჩევანის წინაშე დგებოდა თუ დასაქმდებოდა მას მოეხსნებოდა სოც. დახმარება და დაახლოებით 6 თვე ვეღარ აღუდგებოდა. ამიტომ მისმა მეგობრებმა ურჩიეს მუდმივი დახმარება დროებით სამსახურს.

რესპოდენტი: 12708

ცხოვრობს მოხუც დედასთან ერთად. აქვს ტელევიზორი, კომპიუტერი და ხელმისაწვდომი ინტერნეტი. ძირითად დროს მწოლიარე მდგომარეობაში ატარებს და გარეთ იშვიათად გადის, მიუხედავად იმისა, რომ აქვს ეტლიც, გადასაადგილებელი საყრდენებიც, ცხოვრობს მე-5 სართულზე, ულიფტო კორპუსში და ძალიან რთულია მისთვის დამოუკიდებლად კიბეებზე გადაადგილება. როდესაც ექიმთანაა წასასვლელი მეზობლებს სთხოვს დახმარებას. ბ-ნი კახას თქმით 2011-12 წლებში მისთვის უნდა მოეტანათ საარჩევნო ყუთი, მაგრამ არ მოუტანეს. 2014 წელს მოიტანეს ყუთი, მაგრამ როგორც თვითონ ამბობს ფარულობა არ იყო დაცული, ის იწვა და მისი კარნახით სხვებმა შეავსეს ბიულეტენები.

ანკეტა 43

აქვს ცერებრალური დამბლა. დამოუკიდებლად ვერ მოძრაობს. ვერ მეტყველებს. უვლის მოხუცი დედა. ასევე უჭირს დამოუკიდებლად ჭამა. ცოტა ხნის წინ მას ეტლი გაუტყდა და მას მერე მხოლოდ წევს. დედამ დაწერა განცხადება ეტლის მოთხოვნაზე და ამჟამად ელიან ვაუჩერს, რითაც ეტლს მიიღებენ. დავითს აქვს თავისი ოთახი. ინფორმაციის მისაღებად მხოლოდ ტელევიზორი აქვს, მთელ დროს მასთან ატარებს. ზაფხულობით დედასთან ერთად მიდის სოფელში, სადაც ძალიან აქტიურადაა


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

ჩართული ადამიანებთან ურთიერთობაში, დიდ დროს ატარებს გარეთ და მისთვის ძალიან სასიამოვნოა სოფელში ყოფნა. მიუხედავად იმისა, რომ ვერ მეტყველებს, მან თავისუფლად შეძლო კითხვარის შეკითხვების გაგება და პასუხის გაცემა მიმიკით და ტუჩების მოძრაობით. კეთილგანწყობილი იყო კითხვარის შევსების დროს და არ გამოუხატავს გაღიზიანება ან აგრესია.

ანკეტა 44

ქ-ნი  პოლიომელიტითაა დაავადებული. ცხოვრობს ნათესავებთან, საკუტარი ოჯახი არ ჰყავს. კითხვარის შევსებისას შეკითხვებზე პასუხის გაცემა ძალიან უჭირდა. სიტუაციას ისიც უწყობდა ხელს, რომ საკმაოდ დაქვეითებული აქვს სმენა. ეტლი არ აქვს. მიუხედავად იმისა რომ პირველ სართულზე ცხოვრობს, ეზოში ჩასვლის სურვილი არ აქვს. ძირიტადად მის სანახავად მიდიან მეზობლები სახლში. დღის ძირითად ნაწილს ატარებს პატარა ოთახში, მჯდომარე, და ტელევიზორს უყურებს. ძალიან მრავალრიცხოვან ოჯახში ცხოვრობს. არიან მცირეწლოვანი ბავშვები და როგორც შეუძლია ზრუნავს მათზე. მისი ოჯახის წევრებს ძალიან აწუხებთ რომ ადამიანს არ აქვს შესაძლებლობა ერთდროულად პენსიაც აიღოს და სტატუსის მიხედვით დანიშნული დახმარებაც. ეკონომიკურად ძალიან უჭირს ოჯახს და წამლებზეც ვერ ჰყოფნით ფული. ასევე ოჯახმა განაცხადა, რომ ადამიანების დამოკიდებულება ძალიან დამამცირებელია. მაგალითად გამგეობა ერთჯერადად არიგებდა სურსათს. პასუხისმგებელი პირები ძალიან ცინიკურები იყვნენ და ხალხმრავლობას რომ გამკლავებოდნენ ხმამაღლა გამოუცხადეს ზიზღით, რომ ამ პურსა და მაკარონს ჩვენ არ შევჭამთ, რაში გვჭირდებაო. ოჯახი განიცდის დამცირებას და პატივისცემით მოპყრობას მოითხოვს.

ანკეტა 45

10 წელია რაც ეტლით მოსარგებლეა. ოჯახში ყავს ხანდაზმული, ინვალიდი მშობელი. ოჯახი სოც. დახმარებას იღებს. ყველაზე მეტად გადაადგილების პრობლემა აწუხებს. განსაკუთრებით უჭირს კორპუსიდან ხშირად გასვლა. უკმაყოფილოა იმით, რომ სოც. სააგენტოდან მისცეს ეტლი, მაგრამ საერთოდ არ იყო ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებული და ვერ ისარგებლა. ამიტომ თვითონ მოუწია შესაფერისი ეტლის მოძიება. სახლში აქვს კომპიუტერი, სარგებლობს ინტერნეტით. ხშირად შედის და ეძებს ინფორმაციას შშმ პირების მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციების ვებ გვერდებზე. საუბრის ინიციატივას ნაკლებად იჩენს. მოკლედ პასუხობს კითხვებს.

კითხვარი 46

1988 წელს დაცემის შედეგად მიიღო ტრავმა, ხერხემლის დაზიანება, მას შემდეგ ეტლით მოსარგებლეა. ცხოვრობს მოხუც დედასთან ერთად. მისი სახლი ადაპტირებულია, აქვს შესაბამისი პანდუსი გარეთ გასასვლელად. კეთილგანწყობილია, იჩენს საუბრის ინიციატივას. მისი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები მისი აზრით პროფესიონალურად იქცეოდნენ, თვითონ მიაკითხეს და გამოიკითხეს რა საჭიროება ჰქონდა და ყუთიც თვითონ მიუტანეს. ამჟამად ეტლი გატეხილი აქვს და პირველი საჭიროება მათ ოჯახში ეტლის შოვნაა. მას წინასაარჩევნო შეხვედრაზე დაპირდნენ ეტლს, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ მიუტანიათ. ბ-ნი  უკმაყოფილოა მცირე პენსიის გამო. ამბობს, რომ ძალიან მიზერულია და ძალიან უჭირს იმყოფინოს რაიმეში. ოპტიმისტურადაა განწყობილი და უკეთესი ცვლილებების იმედი აქვს. მისი თქმით ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თვითონ შშმ პირების დამოკიდებულებებს, განწყობებსა და მონდომებას.


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

კითხვარი 47

აქვს სურვილი რომ ქონდეს კომპიუტერი, რადგან მეტად ინფორმირებული იქნებოდა. მისი აზრით სოც. დახმარება რასაც იღებენ შშმ პირები არ არის საკმარისი. მნიშვნელოვანია მისთვის, რომ სოც. მუშაკებმა შეაფასონ მისი ფიზიკური მდგომარეობა.

კითხვარი 48

ცხოვრობს მე-4 სართულზე. ეტლით ვერ ჩადის ქვემოთ და მისთვის მნიშვნელოვანია პანდუსის ან ლიფტის არსებობა კორპუსში.

რესპოდენტს ავადმყოფობის გამო უჭირდა საუბარი, რის გამოც ოდნავ გართულდა ანკეტის შევსება. მისი მეგობარი ერთვებოდა ხოლმე ინტერვიუს პროცესში და თუ სრულად გაუგებარი იყო რესპოდენტის ნათქვამი, მიმარტავდა მის სიტყვებს.

კითხვარი 49

რესპოდენტი კითხვებზე პასუხებს დედის დახმარებით მცემდა, რადგან ავადმყოფობის გამო უჭირდა საუბარი.

კითხვარი 50

რესპოდენტი ითხოვს, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს შშმ პირებისათვის ისეთი გარემოს შექმნა, რომ მათ მოახერხონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა. ასევე ითხოვს, რომ ეტლით მოსარგებლეთათვის აუზი იყოს უფასო.

რესპოდენტი არ იყო დაინტერესებული არჩევნებითა და ზოგადად პოლიტიკური მოვლენებით. შესაბამისად ინერტულად პასუხობდა კითხვებს.

კითხვარი 51

რესპოდენტის მოთხოვნაა რომ მეტი ყურადღება მიაქციონ შშმ პირებს. ასევე მისი აზრით სოციალური დახმარება არ არის საკმარისი. წინათ, წითელი ჯვრის ასოციაციის მუშაობის დროს უკეთესი სიტუაცია იყო.

კითხვარი 52

1. პანდუსის მონტაჟის შესაძლებლობა

2. უფასო სამედიცინო მომსახურება სახლში მისვლით

4. მეტი ყურადღება ინვალიდებს

5. მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება

კითხვარი 53



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

რესპოდენტს სურს ეტლის და ფეხის პროთეზის შეცვლა. მისი აზრით მნიშვნელოვანია ახალგაზრდა შშმ პირების დასაქმება

კითხვარი 54

რესპოდენტს არ აქვს ეტლი, არ აქვს მისი შეძენის საშუალება და სურს რომ მისცეს სახელმწიფომ. იგი არის ეტლით მოსარგებლე, ასევე უსინათლო. დამბლა აქვს დაცემული. რთულად მეტყველებს. რესპოდენტის დედა მეხმარებოდა პასუხების გაგებაში.

კითხვარი 55

ადრე ქონდათ სოციალური დახმარება და გაუუქმეს ბოლო 3 წელია. ოჯახი უკიდურესი გაჭირვების ზღვარზეა. სიამოვნებით მიიღებდა რაიმე ისეთ აქტივობაში მონაწილეობას, რომელიც დაეხმარებოდა ფიზიკურ რეაბილიტაციაში. უნდა რომ კორპუსში იყოს პანდუსი. ცხოვრობს მე-2 სართულზე.

კითხვარი 56

ქალბატონი მაია ცხოვრობს სამეგრელოს ერთ-ერთ რაიონში. მან ჩამოაყალიბა საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაცია. ის ამბობს, რომ რაიონებში ბევრად რთული სიტუაციაა შშმ პირებისათვის. მათ ყურადღებას არავინ აქცევს.

მაია ამბობს, რომ ადრე ფიზიკური გარემო არ აძლევდა საშუალებას, რომ მისულიყო არჩევნებზე თვითონ. ახლა კი ამას ახერხებს. იგი ამბობს, რომ სურს მაგალითად იქცეს სხვა ეტლით მოსარგებლე ადამიანებისათვის. მას უნდა, რომ გარეთ გამოვიდეს ყველა შშმ პირი და აქტიურად ჩაერთოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

კითხვარი 57

რესპოდენტი ახლომხედველია. ხედავს თვალთან ძალიან ახლოს. დაახლოებით 2-3 სანტიმეტრში. თუ მიიახლოვებს საგანს, მაშინ არჩევს სილუეტს. არჩევნებზე ყოველთვის თვითონ დადის ოჯახის წევრების დახმარებით. საარჩევნო ბიულეტენი სახესთან ახლოს მიაქვს და ისე ხაზავს სასურველ კანდიდატს. ის ამბობს, რომ ტექსტის ამოკითხვის პრობლემა აქვს მხოლოდ. სხვა არანაირი პრობლემა არ ექმნება არჩევნების პროცესში.

კითხვარი 58

რესპოდენტი არის არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი საქართველოს  იგი აქტიურად საქმიანობს. ეს არასამთავრობო ორგანიზაცია მხედველობადაქვეითებული ადამიანების კავშირია. ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს მხედველობის პრობლემების მქონე ადამიანების საზოგადოების საზოგადოებრივი ცხოვრების გააქტიურებისათვის.

რესპოდენტი ყოველთვის თვითონ მიდის საარჩევნო უბანზე. მას სურვილი აქვს ყუთი მიუტანონ სახლში, მაგრამ არავინ არ უკავშირდება. მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე ვერ ახერხებს განცხადების დაწერას და ყუთის მოთხოვნას. ხოლო საარჩევნო ადმინისტრაცია ყურადღებას არ იჩენს მის მიმართ.



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

საარჩევნო უბანზე ახლობლების დახმარებით მიდის და ბრაილის შრიფტით დაწერილ ბიულეტენს იყენებს.

კითხვარი 59

რესპოდენტი ჯანმრთელობის პრობლემების მიუხედავად მაინც თვითონ მიდის საარჩევნო უბანზე. ყოველთვის იღებს მონაწილეობას არჩევნებში. ის არ იყენებს გადასატან ყუთს, რადგან თვითონ სურს საზოგადოებაში გავიდეს და გაისეირნოს.

არჩევნების პროცესს ნეიტრალურად აფასებს. კაბინაში მისთვის სანდო ადამიანთან ერთად შედის და ისე აფიქსირებს თავის სურვილს.

კითხვარი 60

ქალბატონი ნახევრად ჩაწოლილია და უსინათლო. ის ვერ ახერხებს საარჩევნო უბანზე მისვლას ჯანმრთელობის პრობლემების გამო. წინა არჩევნების დროს მასთან მიჰქონდათ ყუთი და ასე იღებდა მონაწილეობას არჩევნებში. ამ ბოლო არჩევნების წინ დაურეკეს და შეპირდნენ, რომ მიუტანდნენ ყუთს, თუმცა შემდეგ არ მიუტანეს. მთელი დღის განმავლობაში ელოდებოდა, მაგრამ არავინ მისულა მასთან.

ქალბატონი მეგი ძალიან გაჭირვებულად ცხოვრობს. მარტოხელაა და პენსიის და დახმარების თანხა წამლებზეც არ ყოფნის.

კითხვარი 61

რესპოდენტი ვერც ერთ არჩევნებში ვერ იღებს მონაწილეობას. მას ურეკავენ და ჰპირდებიან, რომ ყუთს მიუტანენ, მაგრამ არ მიაქვთ.

რესპოდენტს უჭირს კომუნიკაცია. ავად არის, ასევე ქართულად საუბრის პრობლემა აქვს.

მისი შვილიშვილის დახმარებით შევეცადე მიმეღო ინფორმაცია და ის მითარგმნიდა რესპოდენტის ნათქვამს.

კითხვარი 62

თანმხლებ პირთან ერთად თვითონ მიდის ხოლმე არჩევნებზე. მას არ ექმნება არანაირი განსაკუთრებული პრობლემა საარჩევნო უბანზე. ამბობს, რომ გადასატანი ყუთით სარგებლობა არც უფიქრია, რადგან თვითონ შესწევს უნარი მივიდეს უბანზე და ისე მისცეს ხმა.

კითხვარი 64

რესპოდენტი თვითონ მიდის საარჩევნო უბანზე ოჯახის წევრთან ან სხვა ნდობით აღჭურვილ პირთან ერთად და ასე იღებს მონაწილეობას არჩევნებში.

მას არც უფიქრია, რომ გადასატანი ყუთი მოითხოვოს. არჩევნებში მონაწილეობა მისთვის რაიმე პრობლემასთან არ არის დაკავშირებული.


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

კითხვარი 65

რესპოდენტი თვითონ მიდის საარჩევნო უბანზე თანმხლებ პირთან ერთად. მას არ ექმნება განსაკუთრებული პრობლემა საარჩევნო უბანზე.

ზოგადად არჩევნებთან დაკავშირებით ფიქრობს, რომ არც ადრე ექმნებოდა პრობლემა და არც ახლა. მნიშვნელოვანი ცვლილებები არჩევნების პროცესში არ მომხდარა ამ ბოლო პერიოდში.

კითხვარი 66

რესპოდენტი ახლობლების დახმარებით მიდის საარჩევნო უბანზე. იგი ბრაილის შრიფტით დაბეჭდილ საარჩევნო ბიულეტენს იყენებს. რესპოდენტს მნიშვნელოვანი პრობლემები არ ექმნება არჩევნებში ხმის მიცემასთან დაკავშირებით.

კითხვარი 68

არჩევნებზე ყოველთვის თვითონ მიდის. ის იყენებს გადასატან პანდუსებს, რომლებიც მისთვის კომფორტულია. ასევე ეხმარება მობილური ჯგუფი. ანა ამბობს, რომ მნიშვნელოვანი პრობლემა არ ექმნება თავისი საარჩევნო უფლების რეალიზებისათვის.

კითხვარი 69

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების მიმართ წუხს. ქვეყანაში სახელმწიფო მოხელეების მუდმივი კონფლიქტი მოსაბეზრებელია. გაუთავებელი დაჭერების ფონზე სამართლიანობის აღდგენა მაინც არ ხერხდება. უმჯობესია მიხედონ ქვეყანას. ელის, რომ მთავრობა მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგავს და მორჩება პარტიებს შორის კინკლაობა. HR7 კითხვაზე უმჯობესი იქნებოდა „ნაწილობრივ ვეთანხმები" პასუხის არსებობა.

კითხვარი 70

მისი აზრით სახელმწიფო არ ცაგრავს, მაგრამ არც უქმნის სათანადო პირობებს. სახელმწიფოს მოხელეებმა არ იციან რა სჭირდებათ შშმ პირებს. ეს რომ იცოდნენ ალბათ გააკეთებდნენ მათთვის.

საარევნო უბანზე მისულს არ დახვდა ის, რასაც მოელოდა. მრაილის შრიფტით დაბეჭდილი ბიულეტენი არ მისცეს. საარჩევნო უბანზე პროფესიონალი არ იყო უბნის წევრი. საარჩევნო პროცედურებტან დაკავშირებით მეორეს ეკითხებოდა და ამის გამო დააგვიანდა ხმის მიცემა.

მისი აზრით ტროტუარი არ არის ადაპტირებული მისი შესაძლებლობის მიხედვით.

კითხვარი 71

კითხვაზე: „სახელმწიფო უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სამედიცინო, პროფესიულ და სოციალურ რეაბილიტაციას" მისი აზრით მხოლოდ კი ან არა პასუხი არ უნდა იყოს. იგი თვლის, რომ მეტ-ნაკლებად ხორციელდება და პასუხების სვეტში უნდა იყოს შესაბამისი პასუხი.

წინა საარჩევნო შეხვედრაზე რაც მოისმინა ყველაფერი მნიშვნელოვანი იყო და ახლა ელოდება, რომ შესრულდება დაპირებები.



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

კითხვარი 72

საარჩევნო პროცესებში აქტიურად არის ჩართული. ხშირად ყოფილა დამკვირვებელი საარჩევნო უბანზე. მისი აზრით საარჩევნო კანონი დასახვეწია და უნდა მოერგოს ყველა ადამიანს. საქართველოს ყველა მოქალაქეს, მიუხედავად მათი სპეციალური საჭიროებებისა აქვს უფლება ხმის მიცემის და ეს უნდა იქნას გათვალისწინებული.

კითხვარი 74

ეს არჩევნები უსინათლოებისთვის მორგებული იყო. ბრაილი იყო, თუმცა არასაკმარისი. მას შეხვდა ბრაილის შრიფტის ბიულეტენი და დამოუკიდებლად შეძლო კაბინაში შესვლა, რათა თავისი მოქალაქეობრივი ვალი მოეხადა.

ზოგიერთ უბანზე იყო პრობლემები. უსინათლოებს, რომლებსაც სჭირდებოდათ კაბინაში დამხმარე არ შეაყოლეს, ამიტომაც მათ ცარიელი ბიულეტენები ჩააგდეს ყუთში.

წინასაარჩევნო შეხვედრას დაესწრო, თუმცა მისი აზრით დაპირებები უფრო იყო. მას კი საქმიანი წინადადებები აინტერესებს.

კითხვარი 75

პენსიები და ხელფასები არის დაბალი და უჭირს თავის რჩენა.

კითხვაზე: „რამდენად ენდობა ქვემოთ ცამოტვლილ ადამიანებს, რომ ისინი თავისი სამუშაოს შესრულების დროს პატიოსნად მოექცევიან ტქვენნაირ ადამიანებს, მშენებლები, სანტექნიკოდები.... მიპასუხა, რომ ცდილობს ისეთ ადამიანს სთხოვოს დახმარება, ვისაც ენდობა. ნებისმიერს არ ეძახის რამის შესაკეთებლად.

უსინათლოების დიდი პრობლემაა დამოუკიდებლად გადაადგილება. ფონიჭალაში არ უჭირთ გადაადგილება, მაგრამ უბანს ვერ სცდებიან. აუცილებელია ხმოვანი ავტობუსებისა და შუქნიშნების არსებობა, რათა დამოუკიდებლად შეძლოს უსინათლომ გადაადგილება.

კითხვარი 76

ქალბატონი არის დიასახლისი. იგი მეუღლეს ეხმარება გადაადგილებაში.

საარჩევნო უბნამდე მისასვლელი გზა მისთვის შედარებით ადაპტირებულია. რაც შეეხება მეუღლეს, მას უჭირს დამოუკიდებლად გადაადგილება. საარჩევნო უბნამდე მეუღლე მას მიჰყავს. საარჩევნო უბანი მათ სახლთან ახლოს არის, ამიტომ არ უჭირს გადაადგილება. მისი ნაცნობები მოშორებით საარჩევნო უბანზე აძლევენ ხმას. ეს მათთვის არის ძალიან ძნელი. უმჯობესი იქნება, თუ საარჩევნო ადმინისტრაცია ამას გაითვალისწინებს და უსინათლოების საარჩევნო უბანი მათ სახლთან იქნება ახლოს.

კითხვარი 77



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

ქალბატონი არის დიასახლისი. მისი აზრით საარჩევნო ადმინისტრაცია ცდილობს ხმის მიცემის პროცესი გახადოს მოსახერხებელი. ეს ცვლილება შესამჩნევია, მაგრამ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. პირველ რიგში საარჩევნო უბანზე პროფესიონალები უნდა მუშაობდნენ, რომლებიც არ გაგრძნობინებენ, რომ რაღაცით გამორჩეული ხარ სხვებისგან. ხშირად ისე იბნევიან, მასაც დისკომფორტს უქმნიან. უმჯობესი იქნება, თუკი უსინათლოებს ან შშმ პირებს ეყოლებათ გამცილებელი კაბინამდე და ნაკლებ პრობლემებს გადააწყდებიან.

კითხვარი 78

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებით მეტ-ნაკლებად კმაყოფილია. აქტიურად არის ჩართული პოლიტიკურ პროცესებში. თვლის, რომ ხმის მიცემა არის ყველა მოქალაქის ვალდებულება. საარჩევნოდ ინფორმაციის მისაღებად ესწრება სპეციალურად ორგანიზებულ შეხვედრებს. მისი აზრით გადასატანი ყუთით ფარულობა არ არის დაცული. წინა საარჩევნო შეხვედრებს ხშირად ესწრება და ეცნობა ამა თუ იმ კანდიდატის პროგრამებს. მოხარულია, რომ დღეს მთავრობა ზრუნავს შშმ პირთა საჯარო დაწესებულებაში დასაქმებაზე. თვლის, რომ ეს კვლევა ახალგაზრდა შშმ პირებთან უნდა ჩატარდეს და მათი აზრი უნდა იქნას გათვალისწინებული.

კითხვარი 79

ქალბატონი არის დიასახლისი. მისი მეუღლე არის უსინათლო და იგი ეხმარება გადაადგილებაში. ფონიჭალაში, სადაც ისინი ცხოვრობენ უსინათლოთა საზოგადოებაა. ამიტომ სხვა უბნებთან შედარებით აქ უსინათლოს გადაადგილება უადვილდება. საარჩევნო უბნამდე თავად გადაადგილდება და მეუღლეც მიჰყავს. წინა საარჩევნო შეხვედრებს დროის უქონლობის გამო ვერ ესწრება. ახალი პირადობის მოწმობებთან დაკავშირებით წუხს, რომ სავალდებულოა მისი აღება. თვლის, რომ ალტერნატიული პირადობის მოწმობები უნდა დაიშვას.

კითხვარი 80

რესპოდენტი იყო აქტიური, კეთილგანწყობილი, იგი არის მცირე მხედველი, უჭირს დაუხმარებლად, დამოუკიდებლად ქუჩაში სიარული. ინტელექტი შენახული.

კითხვარი 81

მიუხედავად ხანდაზმულობისა რესპოდენტი იყო ადეკვატური, თუმცა იგი იმ მომენტში თავს შეუძლოდ გრძნობდა, რის გამოც მისი პასუხები იყო შენელებული, ძნელად გასაგები, მჭირდებოდა კითხვის რამდენჯერმე გამეორება, ამის გამო ინტერვიუ მეტად გახანგრძლივდა.

კითხვარი 82

რესპოდენტი იყო აქტიური, ადეკვატური. ინტერვიუ ჩატარდა მშვიდ და კეთილგანწყობილ ვითარებაში.

კითხვარი 83


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

რესპოდენტთან კონტაქტი იყო მძიმე. იგი იყო პერიოდულად არაადეკვატური. მისი ვაჟის ინფორმაციით მას რამდენიმე თვის წინ გარდაეცვალა შვილი, რის გამოც მისი ფსიქო-ემოციური მდგომარეობა დამძიმდა და ჩემი კითხვები მისთვის მომაბეზრებელი იყო, თუმცა მისივე თხოვნით და მობოდიშებით მან შეძლო ყველა კითხვაზე ეპასუხა. თუმცა ინტერვიუ მეტად გახანგრძლივდა.

კითხვარი 84

რესპოდენტი იყო აქტიური, ადეკვატური, იგი არის მცირე მხედველი, გადაადგილდება დამოუკიდებლად.

კითხვარი 85

მიუხედავად ასაკისა რესპოდენტი არის აქტიური და პოლიტიკურ პროცესებში ჩართული. უჭირს დამოუკიდებლად გადაადგილება, მაგრამ შვილის დახმარებით ახერხებს იყოს ადეკვატური გარემოსთან.

კითხვარი 86

ინტერვიუს დასაწყისში რესპოდენტი იყო მშვიდი, ადეკვატური, კეთილგანწყობილი, თუმცა რამდენიმე კითხვის მერე იგი გაბრაზდა და მისი პასუხები გახდა ძნელად გასაგები, მეტად მოკლე და უარი თქვა დიალოგის გაგრძელებაზე. ჩემი თხოვნით მან გააგრძელა პასუხების გაცემა, თუმცა იყო აგრესიული. იგი არის მცირე მხედველი, უჭირს დამოუკიდებლად ქუჩაში გასვლა.

კითხვარი 87

რესპოდენტი არის მეტად მძიმე ფსიქიურ და ფიზიკურ მდგომარეობაში. მას აქვს ტოტალური სიბრმავე და ორივე ფეხის ამპუტაცია. ცხოვრობს ღრმად მოხუც, ავადმყოფ დედასთან ერთად. მისი დამხმარე კვირაში ორჯერ არის მონასტერთან არსებული დამხმარე ორგანიზაცია. მასთან კონტაქტი საკმაოდ რთულია. მისი ყოველი პასუხი იყო მღელვარებით სავსე, თუმცა ადეკვატური.

კითხვარი 88

ინტერვიუ ჩატარდა მშვიდ და კეთილგანწყობილ ვითარებაში. რესპოდენტი იყო ადეკვატური.

კითხვარი 89

რესპოდენტი იყო მეტად აქტიური. ინტელექტი და სოც. უნარები ბოლომდე აქვს შენახული. იგი არის მცირედ მხედველი, რომელიც თავისუფლად ახერხებს დამოუკიდებლად გადაადგილებას. იგი აქტიურად იღებს ინფორმაციას ტელევიზიიდან. ამბობს, რომ ყველაფერს ვერ ხედავს, მაგრამ ყოველთვის უსმენს.

კითხვარი 90

რესპოდენტი იყო მეტად აქტიური, კონტაქტური, კეთილგანწყობილი. იგი არის მცირედმხედველი, რომელიც გადაადგილდება დამოუკიდებლად და ითხოვს უსინათლოთა საზოგადოებრივ პროცესებში მეტ ჩართულობას. ინტელექტი და სოციალური უნარები ბოლომდე აქვს შენახული.


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

კითხვარი 91

აქტიური ქალბატონია. შეუძლია დამოუკიდებლად ფუნქციონირება. ხშირად გადის გარეთ (ეზოში, სოფელში და ა.შ). ოჯახის მნიშვნელოვანი პრობლემა უმუშევრობაა. ოჯახის წევრებიდან მხოლოდ ერთი ადამიანია დასაქმებული. თვლის, რომ სახელმწიფო ძალიან ცოტას აკეთებს შშმ პირებისთვის. არ არის დახმარება საკმარისი. თან ხანდაზმულობის პენსიას რომ იღებს, შშმპ სტატუსის პენსია მოეხსნა და ამით უკმაყოფილოა. მისი თქმით საარჩევნო უბანიც არ იყო მოწესრიგებული. უბანი მოუხერხებლად ასასვლელ კიბეებიან შენობაში იყო, რამაც ძალიან გაართულა გადაადგილება. როგორც სხვებმა უთხრეს უბანზე იყო სპეც კაბინაც ეტლით მოსარგებლეებისათვის, მაგრამ ასასვლელ კიბეზე ვერც ერთი ეტლიანი ვერ შეძლებდა ასვლასო. ქალბატონმა ელენამ არ იცის ბრაილის შრიფტის გამოყენება. ამ არჩევნებზე პირადად მივიდა საარჩევნო უბანზე და ნათესავის დახმარებით დააფიქსირა თავისი არჩევანი.

კითხვარი 92

ქ-ნი ზეინაბი ცხოვრობს შვილებთან ერთად. ცოტა ხნის წინ დაქვრივდა. თვალზე რამდენიმე ოპერაციის შემდეგ, ერთ თვალში მთლიანად აქვს დაკარგული მხედველობა, მეორე თვალით მხოლოდ გამოსახულებას ხედავს. ოჯახის ყველაზე მძიმე პრობლემა ამ ეტაპზე უმუშევრობაა. მისი შვილები არ მუშაობენ და მხოლოდ მოხუცის პენსიაა ოჯახის შემოსავლის წყარო. დასაფარი აქვს ოჯახის ბანკიდან აღებული ვალი. 2014 წლის არჩევნებზე მონაწილეობა ვერ მიიღო, იმიტომ რომ ყუთი არ მიუტანეს. მან არ იცოდა, რომ აუცილებელი იყო დარეკვა და ფიქრობდა, რომ კომისია თვითონ გაითვალისწინებდა ამას, როგორც წინა შემთხვევაში.

კითხვარი 93

ბატონ ნიკოლოზს მხედველობის პრობლემა ინსულტის გადატანის დროს შეექმნა. წლების განმავლობაში მხედველობა ნელ-ნელა აღდგება. ამჟამად მცირედ მხედველია. შეუძლია დამოუკიდებლად ფუნქციონირება. ის აქტიურია წერს მოთხრობებს და აქვეყნებს სხვადასხვა გაზეთებში. გამოცემული აქვს რამდენიმე კრებულიც. ოჯახს ყველაზე მეტად აწუხებს, რომ მათ ახლოს მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში, კერძოდ კახეთის გზატკეცილზე, ვარკეთილის მე-3 მასივის პირველი კვარტლის გადაკვეთაზე არ არის მოაჯირები, რაც ძალიან ართულებს მის გადაადგილებას. ბატონი ნიკოლოზი სახლიდან მხოლოდ აუცილებელი ვიზიტებისას გადის. ძირითად დროს წერას უთმობს.

კითხვარი 94

27 წლისამ ავტოავარიის შედეგად დაკარგა მხედველობა. არ მუშაობს. ფუნქციონირების დონე მაღალია, შეუძლია დამოუკიდებლად კერძების მომზადება, გადაადგილება ბინაში და სხვა საჭირო პროცედურების შესრულება. ქ-ნს ყავს დამხმარე ადამიანი, რომელიც კვირის განმავლობაში საჭიროებისამებრ აკითხავს და ეხმარება საოჯახო საქმეებში. ყველაზე მეტად აწუხებს, რომ საკუთარი ბინა არ აქვს, ნათესავების ბინაში ცხოვრობს და საკუთარი არაფერი გააჩნია. ის ძნელად ენდობა ადამიანებს. მისი თქმით ყველა სარგებლობს მისი უსინათლობით და არავის უყვარს პრობლემური ადამიანი. არ იცის და არც აქვს სურვილი ისწავლოს ბრაილის შრიფტის გამოყენება. ის ცოტა ხანი იყო უსინათლოთა კავშირის წევრი, მაგრამ მალევე დატოვა. ფიქრობს, რომ იქაც განუკითხაობაა და



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

ყველაზე თანაბრად არ ზრუნავენ, მხოლოდ პრივილეგირებული წევრები სარგებლობენ სხვადასხვა სიკეთით. ქ-ნს აქვს კომპიუტერი და ინტერნეტს აქტიურად მოიხმარს.

კითხვარი 95

ქ-ნი დაბადებიდან მცირედმხედველი გახლდათ. ამჟამად მხოლოდ ლანდებს ხედავს და სინათლეს. ძალიან აქტიური ქალბატონია, ამჯამად მუშაობს უსინათლოთა სკოლა-პანსიონში. ცხოვრობს შვილებთან ერთად. ბოლო ერთი წლის განმავლობაში აღმოაჩნდა სიმსივნური წარმონაქმნი მკერდზე, საყოველტაო ჯანდაცვის პროგრამით დაფინანსებული რთული ოპერაციის შედეგად მისი მდგომარეობა სტაბილურად კარგია და თვითონაც ძალიან ოპტიმისტურადაა განწყობილი. ყველაზე მეტად რაც მას აწუხებს არის ხალხის არასწორი დამოკიდებულება და მათი შიშები შშმ პირებთან ურთიერთობისას. იგი ამბობს, რომ არც ის და არც მისი ნაცნობი უსინათლო ადამიანები არასდროს სარგებლობენ სპეც ჩარჩოთი და არც ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ბიულეტენით, იმიტომ რომ მათ მიაჩნიათ, რომ ამით მათი იდენტიფიცირება, როგორც უსინათლოსი, ძალიან ადვილია და შეიძლება ვინმემ ბოროტად გამოიყენოს მათი ხმა. ამიტომ ისინი ყოველთვის ახლობლებტან ერთად მიდიან არჩევნებზე, მათ ენდობიან და მათი დახმარებით ხაზავენ სასურველ კანდიდატს. ქ-ნს ასევე ძალიან აწუხებს, რომ ავტობუსებს აქვთ მოთხოვნით გაჩერება, რაც მას ძალიან ურთულებს თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობას, უწევს გაჩერების გადათვლა, ხშირად ცდება და ვერ აღიქვამს ადგილმდებარეობას. ძალიან სთხოვს მერიას, რომ ან ყველა გაჩერებაზე გაჩერდეს ავტობუსი, ან ხმოვანი გამცხადებელი იყოს ავტობუსებში.

კითხვარი 96

ბატონს ინსულტის შედეგად განუვითარდა უსინათლობა. მას უჭირს მეტყველებაც. ასევე აქვს შაქარი. მარჯვენა თვალით ვერ ხედავს, მარცხენა თვალით მცირედ. 18 წელია, რაც ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნა. ცხოვრობს მეუღლესთან ერთად. ფუნქციონირების დონე დაბალია. ვერ მეტყველებს, უჭირს გადაადგილება, დამოუკიდებლად საქმიანობის შესრულება. ოჯახი იღებს შშმპ სტატუსის პენსიას, მხოლოდ ეს არის მისი საარსებო წყარო. ოჯახის ძირითადი პრობლემა არის წამლებზე და ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა. ბ-ნ თეიმურაზს ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა აქვს. როგორც ოჯახი ამბობს საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ექიმები თავს არიდებენ პასუხისმგებლობის აღებას და ეუბნებიან პირდაპირ, რომ მკურნალობას ხელს ვერ მოკიდებენ. ოჯახმა მთელი წლის განმავლობაში მიიღო ერთჯერადი დახმარება მედიკამენტების სახით.

კითხვარი 98

ბოლო 1 წელია სიმსივნე აქვს. ის ამჟამად ჩაწოლილია, მისი მდგომარეობა მძიმეა. ოჯახს უჭირს მატერიალურად. წამალზე ფული არ ჰყოფნის. ოჯახი მრავალრიცხოვანია.

კითხვარი 99

ქალბატონს დაბადებიდან აქვს მხედველობის პრობლემები. გაიკეთა რამდენიმე ოპერაცია, ამჟამად მხოლოდ ერთ თვალში აქვს მცირე მხედველობა. შეუძლია გადაადგილება ქუჩაში (ახლომდებარე ტერიტორიაზე თავად, შორს-ახლობელთან ერთად) აქვს უსინათლოს ხელჯოხი. იყენებს აქტიურად, თუმცა ფიქრობს რომ საზოგადოება საერთოდ არ არის ჰუმანური შშმ პირების მიმართ. ამჟამად


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

ცხოვრობს მარტო. ოჯახის წევრები აკითხავენ კვირის განმავლობაში. უყვარს ხელსაქმე (ქსოვა). დღის დიდ ნაწილს ქსოვს. ყველაზე მეტად აწუხებს, რომ ქუჩებში, შუქნიშნებზე ძალიან იშვიათად არის ხმოვანი სიგნალი. ისიც ხშირად არ მუშაობს. ძალიან უნდა, რომ გადასასვლელებში იყოს მოაჯირები.

კითხვარი 100

ბატონი  აქტიური ადამიანია. უყვარს ხელსაქმე. ბევრ დროს ატარებს სოფლად. პოზიტიურად უყურებს და აფასებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. მიაჩნია, რომ ბევრი რამე თვითონ ადამიანის მონდომებაზეა დამოკიდებული და სახელმწიფო რომც დაეხმაროს ხალხს, ხალხმა მაინც თვითონ უნდა სცადოს საქმის კეთება. ხალისიანად და ვრცლად აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებას ყველა თემაზე.

კითხვარი 101

რესპოდენტი ღია და გულახდილი იყო. ცდილობს იყოს აქტიური. პოზიტიურად უყურებს მომავალს. თუმცა ფიქრობს, რომ რეალური მდგომარეობა ზოგადად ქვეყანაში ძალიან ცუდია. შშმ პირებს შესაძლებელია აქვთ კანონით გათვალისწინებული უფლებები, მაგრამ რეალურად არაფრის უფლება არ აქვთ მაინც. ცდილობს აქტიურად მიადევნოს თვალი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს.

კითხვარი 102

რესპოდენტი ცოტა აღელვებული იყო, მისი აზრით სახელმწიფო არაფერს აკეთებს შშმ პირთა დასახმარებლად. ხშირ შემთხვევაში უჭირდა პასუხის გაცემა კითხვებზე. საქართველოში მიმდინარე პროცესებითა და არჩევნებითაც  ნაკლებად არის დაინტერესებული. თუმცა უსინათლობის მიუხედავად ყოველთვის თავად მიდიოდა საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად. პესიმისტურად არის განწყობილი ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე.

კითხვარი 103

რესპოდენტი გულახდილად საუბრობდა. მისი აზრით ეს ყველაფერი უბრალო ფორმალობა იყო და არაფერი შეიცვლებოდა მაინც. იქიდან გამომდინარე, რომ გარეთ არ შეუძლია გამოსვლა, ნაკლებად აქტიურია. ბევრ შეკითხვაზე უჭირდა პასუხის გაცემა, რადგან შეხება არ ჰქონია. ხმის მიცემასთან დაკავშირებით პრობლემები არ შექმნია, ყუთი მიჰქონდათ ყოველთვის.

კითხვარი 104

რესპოდენტი გულახდილად საუბრობდა. განაცხადა, რომ პოლიტიკით არ არის დაინტერესებული. ხმას არ აძლევს. იმიტომ რომ ყუთი არ მიაქვთ. თავად კიდე სახლიდან არ გასულა უკვე წლებია. თუმცა თუ მიუტანენ საარჩევნო ყუთს, სიამოვნებით მისცემს ხმას. მისთვის სასიამოვნო იყო, რომ დაინტერესდნენ შშმ პირებით, თუმცა უკმაყოფილება გამოთქვა, რომ რეალურად სხვა პრობლემები აწუხებთ (სოც. დახმარება, სიღარიბე და ა.შ.)

კითხვარი 105


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

პოლიტიკით დაინტერესებულია და არჩევნებზეც დადის. უბრალოდ ბოლო არჩევნებზე ყუთი არ მიუტანეს და შესაბამისად ვერ მისცა ხმა. თავად უჭირს გარეთ გამოსვლა. თუმცა ფიქრობს, რომ შშმ პირთა გარკვეული უფლებები დაცულია.

კითხვარი 106

რესპოდენტი არ არის დაინტერესებული არჩევნების საკითხებთან დაკავშირებით. ზოგადად პოლიტიკით. თუმცა ხმას ყოველთვის აძლევდა. 2014 წლის არჩევნებზე უბრალოდ ყუთი არ მიუტანეს და ვერ შეძლო ხმის მიცემა. თავად მისვლა არ შეუძლია, რადგან გადაადგილება უჭირს. კითხვა არ ეთანხმება შშმ პირთა მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულებას.

კითხვარი 107

საქართველოში მიმდინარე პროცესებით, არჩევნებით ძალიან არის დაინტერესებული. ხმის მიცემასთან დაკავშირებით არ ექმნება პრობლემა, თუმცა ბოლო არჩევნებზე ყუთი მოითხოვა. არ მოუტანეს. ამიტომ იძულებული გახდა თავად წასულიყო. კითხვა HR6-ზე ფიქრობს, რომ თითქმის ყველა უფლება დაცულია.

კითხვარი 108

რესპოდენტი გულახდილად საუბრობდა. თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ უსინათლოა და სმენის პრობლემაც დაერთო თან, ნაკლებად არის ჩართული არჩევნების პროცესში. ხმის მისაცემად თავად მიდის საარჩევნო უბანზე, თუმცა ბლანკის შევსება უჭირს, რადგან ვერ ხედავს.

კითხვარი 109

რესპოდენტისათვის საინტერესო იყო კითხვარი. მპასუხობდა ღიად და გულახდილად. არჩევნებში ხმის მიცემასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ შექმნია. კითხვა L19 თითქმის ყველა წინადადებას ეთანხმება. ფიქრობს, რომ მომავალში გაუმჯობესდება ზოგადად საქართველოს მდგომარეობა.

კითხვარი 110

რესპოდენტი გულახდილად საუბრობდა. არანაირი პრობლემა არ შექმნია არჩევნებში ხმის მიცემასთან დაკავშირებით, გარემო ყველანაირად უწყობდა ხელს. უბრალოდ 2014 წელს ყუთი აღარ მიუტანეს, ამიტომ ვერ შეძლო ხმის მიცემა. სასიამოვნო იყო მისთვის, რომ დაინტერესდნენ შშმ ადამიანებით.

კითხვარი 111

რესპოდენტი გულახდილად საუბრობდა და პასუხობდა კითხვებს. თუმცა არც საარჩევნო გარემო და არც საცხოვრებელი გარემო არ უწყობს ხელს თავისუფლად გადაადგილებაში. კითხვა EL 19-ის უმეტესობა პასუხებისა უარყოფითი გამცა. არ ეთანხმება არც ერთ წინადადებას.

კითხვარი 112


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

კონტაქტში რთულად შემოდის. კითხვებს უხალისოდ პასუხობს. გულგრილია და არ ინტერესდება ამა თუ იმ საკითხით. სახლიდან დიდი ხანია არ გასულა. უვლიან ნათესავები. ძირითადად წევს. სჭირდება ოპერაცია, რომელსაც საყოვლეთაო ჯანდაცვით ვერ გაიკეთებს. თანხას ვერ უზრუნველყოფს ოჯახი. ელოდება ვინმეს შემწეობას.

კითხვარი 113

რესპოდენტი ღიად და თავისუფლად საუბრობდა. დაინტერესებულია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებით, არჩევნებით, აქედან გამომდინარე ხმას ყოველთვის აძლევს. ხმის მიცემის დროს არანაირი პრობლემა არ შექმნია. ყუთი ყოველთვის მოჰქონდათ სახლში. მისთვის სასიამოვნო იყო, რომ დაინტერესდნენ შშმ პირებით, თუმცა სხვა პრობლემები უფრო მეტად აწუხებთ.

კითხვარი 114

დამოუკიდებლად ვერ ახერხებს სახლიდან გასვლას. გვირჩია, რომ უსინათლოთა შესახებ ინფორმაცია უსინათლოთა კავშირიდან მივიღოთ, რადგან უფრო ზუსტი ბაზა აქვთ. ყველაზე მნიშვნელოვანი უსინათლოთათვის არის პენსია. 2014 წლის არჩევნების წინ მისთვის ცესკოდან დაურეკავთ და შეუთავაზებიათ ყუთის სახლში მიტანა და სპეციალური დახმარება, მაგრამ უარი თქვა, რადგან არ ენდობა არჩევნებს.

კითხვარი 115

ოჯახის ექიმის გარდა სხვა ექიმებთან არ მიუწვდებათ ხელი მატერიალური მდგომარეობის გამო. რეაბილიტაციის ცენტრის მუშაობის გამო ძალიან კმაყოფილები არიან. მათგან მიიღეს ეტლი. პოლიტიკის შესახებ კითხვებს რთულად პასუხობდა. მისი თქმით საკუთარი პრობლემების გარდა უჭირთ სხვა რამეზე ფიქრი. შესაბამისად ბევრ კითხვაზე ინდეფერენტული, ნეიტრალური პასუხია გაცემული.

კითხვარი 116

სახლის კიბეები იმდენად ავარიულ მდგომარეობაშია, რომ ეტლით ჩასვლა შეუძლებელია. ითხოვს სოციალური მუშაკების მეტ ყურადრებას. უნდა რომ შეაფასონ მისი მდგომარეობა. მას ესაჭიროება პამპერსები და შეძენის საშუალება არ აქვს. ტელევიზორს ვერ უყურებს მხედველობის პრობლემების გამო. რესპოდენტი რუსულ ენაზე საზრობდა და მისი რძალი გვეხმარებოდა ინტერვიუს დროს.

კითხვარი 117

მეუღლეს აქვს კატარაქტა და ოპერაციას ვერ იკეთებს. გართულდა ინტერვიუს პროცესი, რადგან ძირითადად თავიანთ პირად საჭიროებებზე და პრობლემებზე საუბრობდა.

კითხვარი 118

რესპოდენტის დედამ გამოთქვა შენიშვნა, რომ როცა ინტერვიუ ტარდება, რესპოდენტს უნდა ეძლეოდეს ანაზღაურება. რესპოდენტი არის პირველი ჯგუფის უსინათლო. 4 შვილის დედა. მისი აზრით მაგალითი უნდა აიღონ პოლონეთის ქალაქ პოზნანის უსინათლოთა კავშირიდან.


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

უსინათლოებს მოუხსნეს 22 ლარიანი დახმარება და მოეხსნათ ყველანაირი შეღავათი 2005 წლიდან, მაშინ, როცა ეტლით მოსარგებლეები დახმარებას იღებენ. რესპოდენტს მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ შეიქმნას სპეციალური სამუშაო ადგილები უსინათლოებისათვის. 2014 წელს ვერ ისარგებლა დაზღვევით. არ გადაუხადეს საკეისრო კვეთის თანხა. ამის მიზეზად დაასახელეს, რომ ის გაწევრიანებული იყო არქიმედეს გლობალ ჯორჯიაში. რესპოდენტი ითხოვს თუნდაც წელიწადში ერთხელ მატერიალურ დახმარებას.

კითხვარი 119

სახლის ტელეფონი უნდა იყოს უსინათლოებისათვის უფასო, რადგან კომუნიკაციის ერთადერთი საშუალებაა. რესპოდენტი უსინათლოთა კავშირის წევრია. უნდა არსებობდეს უსინათლოთა ცალკე სკოლა, შემდეგ იგივე სკოლაში მასწავლებლად რომ დაიწყონ მუშაობა. ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს კომპიუტერული პროგრამების ხმოვანი შემსწავლელი კურსი. უსინათლოები არ უნდა იყვნენ გათანაბრებულები სხვა პენსიონერებთან. მათ უნდა ქონდეთ დახმარება.

კითხვარი 120

მარტოხელაა. უსინათლო. მარტო პენსიის ამარა არის და არ აქვს სოც დახმარება. აქვს სიმსივნე და არ აქვს 10 % რომ შეიტანოს სამკურნალოდ. იმისთვის, რომ უსინათლოების მდგომარეობა გაუმჯობესდეს მნიშვნელოვანია ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და მოხდეს მკაცრად გაყოფა 1-ლი და სხვა ჯგუფის ინვალიდებისა. რამოდენიმე აუცილებელი ოპერაცია აქვს გაკეთებული და არც ერთი არ აუნაზღაურებია დაზღვევას.

კითხვარი 121

წამლებისათვის ფული არ ჰყოფნის, მნიშვნელოვანია, რომ დაზღვევამ წამლების ფულიც დაფაროს. იმისათვის, რომ უსინათლოები აქტიურად ჩაებან საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანია მათი დასაქმება.

რესპოდენტმა რამოდენიმე წლის წინ გაიკეთა თვალებზე ოპერაცია, რის შემდეგაც გაუმჯობესდა მისი მხედველობა. შესაბამისად დამოუკიდებლად შეუძლია გადაადგილდეს. რესპოდენტი აქტიურად არის დაინტერესებული ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებით, მათ შორის არჩევნებით. ყველა არჩევნებში აქვს მონაწილეობა მიღებული და მნიშვნელოვნად მიიჩნევს ყველა მოქალაქემ (მათ შორის შშმ პირებმა) მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა.

კითხვარი 122

რესპოდენტის აზრით უსინათლოთა კავშირი უფრო აქტიურად უნდა მუშაობდეს. დაზღვევა არ ფარავს წამლებს. წლიური 100 ლარი არ მისცეს შარშან. არჩევნებზე ლუპის საშუალებით მისცა ხმა. რომელიც საარჩევნო უბანზე მისცეს. დამატებით დახმარება მნიშვნელოვანია უსინათლოებისათვის. სმენის პრობლემაც აქვს რესპოდენტს, დაზღვევა არ ფარავს ყურის დიაგნოსტიკის ხარჯებს.

კითხვარი 123



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

სხვის ბინაში ცხოვრობენ. აქვთ სოციალური დახმარება. უსინათლოთა კავშირთან არ აქვთ შეხება. ბოლო 2 არჩევნებზე ყუთი მოითხოვეს და არ მიუტანეს. ინტერვიუს პროცესში აქტიურ მონაწილეობას იღებდა რესპოდენტის მეუღლე. ძირიტადად კითხვებს ის პასუხობდა. რესპოდენტი და მისი მეუღლე ძალიან სკეპტიკურად არიან არჩევნებისადმი განწყობილი.

კითხვარი 124

ბოლო წლებში მოუხსნეს უსინათლოთა 22 ლარიანი და დენის ფულის დახმარებაც. ონკოლოგიური დაავადების მქონეა და წამლებზე აქვს შეღავათი. დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდება. სამუშაო ადგილების შექმნას ითხოვს. ითხოვს რომ პენსიები იყოს დიფერენცირებული საჭიროებების მიხედვით.

კითხვარი 206

თბილისშია ჩაწერილი და ამჯამად ამის გამო ვერ მისცა ხმა. ოჯახში 5 ადამიანი ცხოვრობს. 14 წელია რაც კიდურები აქვს პარალიზებული. მოძრაობა შეეზღუდა ტრავმის შედეგად. აქტიური ადამიანია. მუშაობს საჯარო სექტორში. ასევე არის არასამტავრობო ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი. მისი ორგანიზაცია ცდილობს ხელი შეუწყოს კახეთში მცხოვრებ შშმ პირებს. 2010-13 წლებში ცესკოსთან თანამშრომლობდნენ და მუშაობდნენ არჩევნებში მონაწილეობის გაზრდაზე. დღეისათვის მიმდინარეობს მუშაობა გამგეობასთან ერთად, რომ რეგიონში მეტი დაწესებულება იყოს ადაპტირებული შშმ პირების შესაძლებლობის შესაბამისად. რესპოდენტმა ვერ მოახერხა არჩევნებში მონაწილეობის მიღება, რადგან ჩაწერილია თბილისში და ცხოვრობს თელავში. მეორე ტურში აპირებს მონაწილეობის მიღებას. აქამდე ყველა არჩევნებში მიიღო მონაწილეობა და მომავალშიც აპირებს თავისი მოქალაქეობრივი ვალის მოხდას.

კითხვარი 207

7 წელია ეტლით მოსარგებლეა. ავარიის შედეგად. 4 ადამიანი ცხოვრობს ოჯახში. ავარიის დროს მიღებული ტრავმის შედეგად 7 წელია ქვედა კიდურები პარალიზებული აქვს. მისი სახლი სრულად ადაპტირებულია. ლიფტში არის მოაჯირები. არის პანდუსი. ოჯახში 4 ადამიანი ცხოვრობს. წევრების უმრავლესობა დასაქმებულია. ბატონს ყველაზე მეტად უმუშევრობა აწუხებს. რამდენჯერმე იყო მისი მუშაობის დაწყებისათვის ხელშეწყობა. ერთხელ 10 თვეც გაატარა სტაჟირებაზე, მაგრამ შემდეგ რომ არაფერი შეიცვალა თვითონ წამოვიდა იქიდან. ამბობს, რომ მხოლოდ პირდებიან და რეალურად ჯერ არავინ ეხმარება. ჰქონდა რამდენიმე ეტლი. ერთი ეტლი აჩუქა თავის მეგობარს, შშმ პირს. აქვს სახლში კიდევ ერთი ეტლი.

კითხვარი 209

ბავშვობიდან ცალ თვალში მხედველობა საგრძნობლად მცირე ქონდა. მე-2 თვალი კი ჯანსაღი, თუმცა სხვადასხვა დაავადებების შედეგად ამჟამად მეორე თვალში მხოლოდ გამოსახულებას ხედავს. ცხოვრობს უმუშევარ შვილთან ერთად. ოჯახის ძირითადი შემოსავლის წყარო არის მისი პენსია.

კითხვარი 210


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

ცხოვრობს მეუღლესთან ერთად. შვილის 8 წელია პატიმრობაშია. ოჯახი ელოდება ამნისტიას. ბ-ნი 28 წელია უსინათლოა. ბადურის ჩამოშლის შედეგად თითქმის მთლიანად დაკარგული აქვს მხედველობა ორივე თვალში. არჩევნებში მონაწილეობა დამოუკიდებლად შეძლო. მეუღლე დაეხმარა სასურველი კანდიდატის შემოხაზვაში.

კითხვარი 211

ის 5 წელია ჩაწოლილია. ინსულტის შედეგად მოხდა კიდურების პარალიზება. ოჯახი არ ჰყავს. უვლის შორეული ნათესავი. დღის უმეტესი დრო მარტოა. ჭირდება ოპერაცია. რომელზეც საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებაზე უარი უთხრეს. ეტლი რამდენიმე წლის წინ იყიდა შეგროვებული ფულით. პირველივე დღეს როცა ეტლი რამდენიმე ხნით ეზოში იყო გაჩერებული, დაამტვრია მაღალი სიჩქარით მოძრავმა ავტომობილმა.მძღოლმა პასუხისმგებლობა არ აიღო. მას შემდეგ ეტლი არ აქვს. როგორც თავად აღნიშნავს ექიმებიც ძალიან უპასუხისმგებლოდ და გულგრილად ექცევიან. უბნის ექიმი ბინაზე მისვლას თავს არიდებს. სხვა ექიმები კი ძალიან ზედაპირულად სინჯავენ. გამოწერილი წამლებით მდგომარეობა გაუმჯობესების ნაცვლად უარესდება.

კითხვარი 214

5 წელია ჩაწოლილია. ოჯახში 6 წევრია. მათ შორის 2 ბავშვი. შემოსავლის წყარო არის პენსია.

კითხვარი 215

30 წელია რაც უსინათლოა. ერთ თვალში სრულად დაკარგა მხედველობა, მეორეში მცირედ. ბატონი ბრძანდება უსინათლოთა კავშირის თელავის წარმომადგენელი. იგი აქტიურადაა ჩართული გარემოს ადაპტაციის ხელშეწყობის საკითხებში, ქალაქ თელავში. ხშირად მართავენ შეხვედრებს საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან უსინათლოთა საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით.

კითხვარი 218

20 წელია ბადურის ჩამოშლის შედეგად მხედველობა ორივე თვალში დაკარგული აქვს სრულად. ცხოვრობს 2 შვილთან ერთად. ეკონომიკურად ოჯახს არ უჭირს. ბატონს არჩევნებში მონაწილეობის სურვილი აქვს, თუმცა შევარდნაძის მმართველობის მერე ან ოჯახის, ან თავისი ან საარჩევნო უბნის გულგრილობის გამო არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია. ბატონი ძალიან წუხს ასევე, რომ უსინათლოთა კავშირის წარმომადგენლები პერიოდულად უკავშირდებიან მას, ჰპირდებიან სხვადასხვა ნივთებს, რომელიც აუცილებელია უსინათლოთათვის (ხელჯოხი, ხმოვანი წნევის აპარატი) ხოლო შემდეგ არ მიაქვთ. ასე გრძელდება 2-3 წელია. ბატონი ბრაზობს, ამბობს, რომ მასხრად იგდებენ და ტყუილ დანაპირებს აძლევენ.

კითხვარი 219

22 წელია უსინათლოა. თვალის ნაწილობრივი ატროფია აქვს. ცალი თვალით ხედავს ბუნდოვნად, ჩრდილებს და გამოსახულებებს. ოჯახში ცხოვრობს 5 ადამიანი. აქედან მუშაობს მხოლოდ 1. ამ ადამიანის ხელფასი და ბატონის პენსიაა ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო. ბატონი ყოველ არჩევნებზე მეუღლის დახმარებით მიდის. უნდა აღინიშნოს, რომ მის საარჩევნო უბანზე მისთვის



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

არავის მიუწოდებია ინფორმაცია უსინათლო პირების შესაბამისი რესურსის შესახებ. ჩარჩო ფორმის და ა.შ. თვითონ აქტიური ადამიანია. ისწავლა ხელჯოხით სიარული. ცდილობს აქტიურად იყოს ჩართული საზოგადოებრივ აქტივობებში.

## დანართი 6.

### სააპლიკაციო განაცხადი

### ზრუნვაზე (შშმპ-თა საკითხებზე) ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების კვლევაში მონაწილეობის მისაღებად.

*კვლევაში მონაწილეობა შეუძლიათ ორგანიზაციებს, რომელთა სამიზნე ჯგუფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები წარმოადგენენ.*

საქართველოს ინსტიტუციონალური განვითარების ცენტრი (GIDC) საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს კვლევით პროექტს, შშმპ-თა საარჩევნო საჭიროებების კვლევა საქართველოს მასშტაბით, რომლის მიზანია შეისწავლოს შშმ ამომრჩეველთა საარჩევნო საჭიროებები ქვეყნის მასშტაბით.

კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციები და საჭიროებების ჩამონათვალი საშუალებას მისცემს საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრს დაინახოს ის სურათი, რომელსაც ქმნის მათ მიერ მხარდაჭერილი პროგრამების ერთობლიობა შშმ ამომრჩევლის განათლების კუთხით და საარჩევნო ადმინისტრაციას მისცემს საშუალებას გააუმჯობესოს შშმ ამომრჩეველთა საარჩევნო გარემო.

გთხოვთ შეავსოთ აპლიკაცია და გამოაგზავნოთ მითიებულ მისამართზე, რითაც გამოთქვამთ თქვენს მზაობას ჩაერთოთ კვლევაში.

*შენიშვნა: შევსება შეგიძლიათ თქვენთვის მოსახერხებელი ფორმით, მონიშვნით, აღნიშვნის ჩასმით, ფერის შეცვლით და ა.შ.*

| | |
|---|---|
| ორგანიზაციის სახელწოდება (ქართულად, ინგლისურად და ორგანიზაციის აბრევიატურა (არსებობის შემთხვევაში) | |
| ორგანიზაციის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი, | |



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

| | |
|---|---|
| თანამდებობა) | |
| საკონტაქტო ტელეფონები | |
| საკონტაქტო მისამართი | |
| ელ-ფოსტის მისამართი | |
| ვებ-გვერდის მისამართი (არსებობის შემთხვევაში) | |
| ორგანიზაციის დაარსების თარიღი | |
| ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა | |

საქმიანობა

1. რა არის თქვენი ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები? (მიუთითეთ, ჩაწერეთ)

2. ორგანიზაციის მიმდინარე პროექტი / პროექტები (საკმარისია სამი პროექტის დასახელება, სასურველია ჩამონათვალში მოხვდეს შშმ ამომრჩეველა საკითხებზე ორიენტირებული პროექტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | ჩაწერეთ |
|---|---|
| 1. პროექტი (სახელწოდება | |
| დონორი | |
| ხანგრძლივობა (თვე) | |
| ბიუჯეტი | |
| სამიზნე ჯგუფი | |
| 2. პროექტი (სახელწოდება | |
| დონორი | |



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

| | |
|---|---|
| ხანგრძლივობა (თვე) | |
| ბიუჯეტი | |
| სამიზნე ჯგუფი | |
| 3. პროექტი (სახელწოდება) | |
| დონორი | |
| გრანტის მიღების თარიღი | |
| ხანგრძლივობა (თვე) | |
| ბიუჯეტი | |
| სამიზნე ჯგუფი | |

4. ჩამოთვალეთ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ან მიმდინარე პროექტი / პროექტები ბოლო 3 წლის განმავლობაში, რომლის საქმიანობის სფერო იყო არჩევნებში შშმ ამომრჩევლების ჩართულობის ხელშეწყობა

| | |
|---|---|
| 1. პროექტი (სახელწოდება) | |
| **დონორი** | |
| გრანტის მიღების თარიღი | |
| ხანგრძლივობა (თვე) | |
| ბიუჯეტი | |
| განხორციელების თარიღი (წელი) | |

2. სულ რამდენი პროექტი აქვს განხორციელებული ორგანიზაციას არსებობის მანძილზე?

| | მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი |
|---|---|
| 1 | 1 |
| 2-5 -მდე | 2 |
| 6-10-მდე | 3 |



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

| | |
|---|---|
| 10-30 -მდე | 4 |
| 30-50 -მდე | 5 |
| 50-100 -მდე | 6 |

3. რა ტერიტორიაზე ვრცელდებოდა თქვენი ორგანიზაციის საქმიანობა ბოლო სამი წლის განმავლობაში? (მხოლოდ ერთი პასუხი)

| | მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი |
|---|---|
| ქალაქი, სადაც ფუნქციონირებს | 1 |
| მთლიანი მუნიციპალიტეტი, სადაც ფუნქციონირებს | 2 |
| მთლიანი რეგიონი, სადაც ფუნქციონირებს | 3 |
| რამოდენიმე რეგიონი | 4 |
| ქვეყანა | 5 |
| ქვეყნის ფარგლებს გარეთ | 6 |
| სხვა (ჩაწერეთ) ___________________________________ | |

4. რამდენი შშმ ბენეფიციარი ჰყავს თქვენს ორგანიზაციას? -----------
5. გაქვთ თუ არა თქვენი ბენეფიაციარები სია?

1. კი
2. არა

## დანართი 7. შეხვედრის დღის წესრიგი

# მოწვევა

# „შშმ ამომრჩევლის საარჩევნო საჭიროებების კვლევა საქართველოს მასშტაბით „

# რაოდენობრივი კვლევის შედეგების განხილვაზე

**16. 08.2014**


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

საქართველოს ინსტიტუციონალური განვითარების ცენტრი

თბილისი, სასტუმრო "ჰოლიდეი ინ"

**ააიპ. საქართველოს ინსტიტუციონალური განვითარების ცენტრი (GIDC)**

*"პროექტი დაფინანსებულია საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ ორგანიზებულ საგრანტო კონკურსის ფარგლებში"*

# შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლების ინტეგრაციის ხელშეწყობა საარჩევნო პროცესში

**შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლების საარჩევნო საჭიროებების კვლევა საქართველოს მასშტაბით**

## დღის წესრიგი

16. 08.2014

თბილისი, სასტუმრო "ჰოლიდეი ინ"

**13:00-13:30 –რეგისტრაცია, სტუმრების მიღება**

**13:30 -13:45 შეხვედრის გახსნა, მისასალმებელი სიტყვა**

1. ხათუნა ნაჭყებია - GIDC გამგეობის წევრი, პროექტის დირექტორი
2. ნათია ზაალიშვილი - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენრტის დირექტორის მოადგილე
3. მაია ბიბილეიშვილი -„ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება" - პროექტის, „შშმ ამომრჩევლის საარჩევნო საჭიროებების კვლევა საქართველოს მასშტაბით „- მოწვეული ექსპერტი

**13:45 - 14:45 რაოდენობრივი კვლევის ძირითადი შედეგების პრეზენტაცია**



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

საქართველოს ინსტიტუციონალური განვითარების ცენტრი
ხათუნა ნაჭყებია,  GIDC  - გამგეობის წევრი,  პროექტის დირექტორი

14:45-15:15  ჩაი, ყავა

15:15 – 16:15 დისკუსია:

თემა:  შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლის საარჩევნო საჭიროებები, გამოწვევები, რეკომენდაციები.

მოდერატორი - ქეთევან ხარატიანი, მარინა იმერლიშვილი GIDC - რაოდენობრივი კვლევების მიმართულების ხელმძღვანელი, თვისებრივი კვლევის ხელმძღვანელი

16:15-17:15 სადილი


პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

## დანართი 8. წერილი ჯანდაცვიდან

http://172.17.8.32/nom_2_0/2/nomfileserver/GetFile?file_id=958115...

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA
Legal Entity of Public Law
SOCIAL SERVICE AGENCY

KA030426802185114

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049
144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/39632

14 / მაისი / 2014 წ.

ააიპ – საქართველოს ინსტიტუციონალური განვითარების ცენტრი პროექტის დირექტორს ქალბატონ რუსუდან ნაჭყებიას

თბილისი, ფალიაშვილის N2 ჰ2

ქალბატონო რუსუდან,

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოში განხილულ იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან გადმოგზავნილი თქვენი განცხადება, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ პირის თანხმობის გარეშე.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს მიეკუთვნება საიდუმლო ინფორმაციას (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ნ" ქვეპუნქტი).

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, პერსონალურ მონაცემს წარმოადგენს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს, ხოლო პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე.

2 1 of 2

5/14/2014 1:04 PM



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსთან დაკავშირებით წარმოადგენს კერძო პირთა პერსონალური მონაცემებს და საჯარო დაწესებულება, რომელიც კანონით დადგენილი წესით, თავისი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით აგროვებს ან ინახავს ამა თუ იმ პირთა შესახებ ასეთ ინფორმაციას, ვალდებულია, უზრუნველყოს საჯარო დაწესებულებებისა და კერძო პირებისაგან ამ ინფორმაციის დაცულობა.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან ადგილი არ აქვს კანონმდებობით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებს გარდა ამისა, სახეზე არ გვაქვს მონაცემთა დამუშავების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრული საფუძველი, სააგენტო მოკლებულია თქვენი თხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს.

პატივისცემით,

დირექტორის მოადგილე — იოსებ ლობჟანიძე

ი. ლობჟანიძე



პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.